გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
19 აგვისტო პარასკევი 2011
№ 194 (13491) ფასი 80 თეთრი

## ზაიზენბახერმა სამსოფლიო საქართველო დაასახელა

↳10

CHAMPIONNATS DU MONDE JUDO 2011 PARIS

# ზესტაფონმა თავისი გაიტანა სამწუხაროდ, ბრიუგემაც, რომელსაც მსაჯიც წაეხმარა




↳2

# დასანანი მარცხი ათენში და თბილისური შანსი: აეკ-ის გავლა შეიძლება




↳3

EuroBasket 2011 LITHUANIA

## ყველაფერი ევრობასკეტის შესახებ

144 გვერდი
სპეციალური კრებული

ლიტვა 2011
ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში

კალენდარი
ჩვენი მეტოქეები
საქართველოს ნაკრების გზა

40 გამარჯვება
56 კალათბურთელი
76 თამაში




20 აგვისტოს!
ლელო-სთან ერთად!

ფასი: 3 ლარი.
(ლელოსთან ერთად 3 ლარი და 80 თეთრი)

ქართული ფეხბურთი

ევროპის ლიგა. პლეი ოფი.

# სამადლობელი საქმე

## გამარჯვება გვინდოდა, მაგრამ ბრძოლითაც ვისიამოვნეთ

18.08. თბილისი. ბ. პაიჭაძე.
20 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ზესტაფონი | 3 |
| ბრიუგე | 3 |

0:1 აკპალა (27), 0:2 რაფაელოვი (30), 1:2 გელაშვილი (59), 2:2 დვალი (63), 2:3 ჰოფკენსი (72), 3:3 გელაშვილი (83)

| ზესტაფონი 4-4-2 | ბრიუგე 4-4-2 |
|---|---|
| რ. კვასხვაძე | კუსემანსი |
| თ. ლონლაძე | ჰოფკენსი |
| მ. კობახიძე | დონკი |
| სავჩაია | ალმებეკი |
| ელიავა | ჰოგლი |
| აფციაური | ოჯიჯა |
| გორგიაშვილი | ვასკესი |
| ძარია | ზიმლინგი |
| ბრიგალაშვილი | დირარი |
| დვალი | რაფაელოვი |
| გელაშვილი | აკპალა |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| გ. ქიაბრიშვილი | ა. კოსტერი |

**ზესტაფონი**

57. ლონლაძე – **ბენაშვილი**
74. დვალი – **ნინამძღვრიშვილი**
80. ძარია – **ბაბუნაშვილი**

*სათადარიგოები: მამალაძე, გაგოშიძე, ალადაშვილი, ჭანკოტაძე*

**ბრიუგე**

60. ოჯიჯა – **ვან აკერი**
69. რაფაელოვი – **ლესტიენი**
80. აკპალა – **მუნიე**

*სათადარიგოები: კუიოვიჩი, დეშილდერი, ჯ. დე იონგი, ვანსტეენკისტე*

გაფრთხილება: ლონლაძე (29), დვალი (30), ვასკესი (69), ბენაშვილი (90)
არბიტრი: ჰ. ლეხნერი (ავსტრია)

საევროთასო მატჩისთვის საშინაო ფრე, მით უმეტეს, უხვგოლიანი, დადებითი შედეგი ვერ არის, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რა ამბები დატრიალდა წინა დღეებში საქართველოს ჩემპიონთა ბანაკში და როგორ წარიმართა თვით ეს შეხვედრა, "ზესტაფონის" მიმართ აუგის სათქმელად ენა ვერ მოგვიბრუნდება. ფეროელთა თამაში იდეალურისგან შორს იყო, მაგრამ "ზესტაფონმა" გვაჩვენა ის, რასაც ქართული გუნდებისგან განებივრებულები ნამდვილად არ ვართ – ლამაზი ფეხბურთი, საოცარი ნებისყოფა და უტეხი ხასიათი.

**გია გეგუჩაძის** გადადგომის შემდეგ "ზესტაფონი" დროებით მის ყოფილ თანაშემწე **გიორგი ქიაბრიშვილს** ჩააბარეს, რომელიც უდიდეს პასუხისმგებლობას ღირსეულად გაუმკლავდა და მთავარი მწვრთნელის წასვლისა და სხვა არანაკლებ უსიამოვნო მოვლენების მიუხედავად, გუნდი უპირველესად, ფსიქოლოგიურად მოამზადა – ეს იყო ქიაბრიშვილის პროგრამა-მინიმუმიცა და პროგრამა-მაქსიმუმიც, თორემ ამ უმოკლეს დროში გუნდის ტაქტიკა-სტრატეგიაში რევოლუციას ვერავინ მოახდენდა.

იქნებ, პირწმინდად ჩაგდებული პირველი ტაიმი სწორედ გადატანილი უსიამოვნებების გამოძახილი იყო, მაგრამ ქიაბრიშვილის სასახელოდ უნდა ვთქვათ, რომ შესვენებისას "ზესტაფონს" მან საბრძოლო სული შთაბერა და დაუვიწყარი მეორე ნახევარის მომსწრენი გავხდით, თორემ შესვენებისას მაყურებლებში განადგურების არცთუ უსაფუძვლო შიშმა დაისადგურა.

ქიაბრიშვილის "ზესტაფონი" გეგუჩაძის გუნდისგან დიდად არ განსხვავდებოდა, მაგრამ მცირე სიახლეები მაინც შევნიშნეთ, საიდანაც უმთავრესი, ვფიქრობთ, სტანდარტული მდგომარეობების უფრო ეფექტიანად გამოყენება და გახშირებული შორეული დარტყმები იყო. ამით არაფერი წაგვიგია – პირიქით, ორივე კომპონენტისგან საკმაო ხეირი ვნახეთ.

უარყოფითი კი, უპირველესად, ქართული დაცვის სისუსტე იყო. გვარიანად სცოდავდა ბელგიელთა უკანა ხაზიც, მაგრამ ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ – "ზესტაფონის" დაცვის ცენტრი არაოპტიმალური იყო და თუკი ცენტრალურმა დუეტმა, ასე თუ ისე, დამაკმაყოფილებლად ითამაშა, გაცილებით უარესი შთაბეჭდილება დატოვეს განაპირა მცველებმა. ყველაზე მეტი საფრთხე სწორედ მათი პოზიციიდან გვექმნებოდა, "ბრიუგეს" მესამე გოლისას კი "ზესტაფონის" მთელმა უკანა ხაზმა უპატიებელი შეცდომა დაუშვა.

შესანიშნავი იყო **გელაშვილი-დვალის** ნაცადი დუეტი. ხაზგასასმელია, რომ ნიკამ "შტურმთან" გადატანილი პირადი იმედგაცრუება ღირსეულად გადაიტანა და გუშინ დაამტკიცა, რომ მაღალი კლასის ფორვარდია. ნახევარდაცვა, ტრადიციულად, მოძრავი და კრეატიული იყო. შუა ხაზიდან **თორნიკე აფციაურს** გამოვყოფთ, რომელსაც თამაში აშკარად წაუვიდა და ჩვეული პასებით მეტოქის დაცვას დიდი თავსატეხი გაუჩინა. დამაჯერებელი იყო **ბუბა დაუშვილის** შემცვლელი **თორნიკე გორგიაშვილიც.**

მწვრთნელის აქტივში უნდა შევიტანოთ მეორე ტაიმში განხორციელებული ცვლილებაც – **ალექსი ბენაშვილი** მარჯვენა მცველის პოზიციაზე გაამწესეს, მაგრამ მან მთელი ფლანგი აითვისა და მოედანზე ახალშესულმა გოლში ლომის წილიც დაიდო.

ობიექტურად უნდა ვთქვათ, რომ მეტოქემაც დიდი სიმპათიები დაიმსახურა – "ბრიუგე" "შტურმზე" უფრო შემტევი გუნდია და მატჩის დრამატული სცენარიც სწორედ სტუმარ-მასპინძლის სათამაშო მანერამ განაპირობა.

გოლები ალბათ, ყველა თქვენგანმა ნახა, მაგრამ მოკლედ მაინც გავიხსენოთ: სტუმართა პირველი ორი ბურთი ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებოდა. „ბრიუგემ" ორივეჯერ ჩვენი დაცვის მორღვევით ისარგებლა და მარტივი კომბინაციები დააგვირგვინა.

აზრიან კომბინაციას მოჰყვა გელაშვილის ორივე გოლი, დვალმა ეფექტური შორეული დარტყმით გაიტანა, "ბრიუგეს" მიერ გატანილი მესამე ბურთი კი ზემოთ გავიხსენეთ.

გოლების გარდა, უნდა გავიხსენოთ დვალის დაცემა "ბრიუგეს" საჯარიმოში, რომელიც პენალტს ჰგავდა, გელაშვილის მიერ ბადისთვის გარედან გარტყმული ბურთი და **როინ კვასხვაძის** კარგი რეაქცია 89-ე წუთზე, როცა მან პირისპირ გასულ მეტოქეს არ გაატანინა.

გუშინ ზესტაფონელმა და საერთოდ, ქართველმა ქომაგებმა სტადიონი ამაყად დატოვეს, რაც იმის შედეგი იყო, რომ ქართულმა გუნდმა არცთუ უნაკლო, მაგრამ მაინც ნაღდი ფეხბურთი ითამაშა. ვაღიაროთ, "ბრიუგე" გუშინდელ მატჩამდეც ფავორიტი იყო და 3:3-ით კიდევ უფრო კომფორტულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის შანსი არც ქართველებს დაგვიკარგავს, ქართული ფეხბურთით...



ჯაბა დვალს საჯარიმოში ეუხეშნენ

მატჩის შემდეგ

### ჩემი დღე 3:0-ზე იქნებოდა...

**როგორც წესია, ჯერ მასპინძელი გუნდის მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც "ზესტაფონს", ბუნებრივია, გიორგი ქიაბრიშვილი წარმოადგენდა.**

– განსხვავებული ორი ტაიმი ვიხილეთ. პირველ ტაიმში სუსტად ვითამაშეთ, შესვენების შემდეგ კი გუნდმა თავისი თამაში იპოვა და მარცხს თავი დააღწია.

ძალიან ძლიერ გუნდს ვეთამაშეთ, რომელიც ლოგიკურად მიიჩნევა წყვილის ფავორიტად. დღევანდელმა შედეგმა მისი სტატუსი განამტკიცა, მაგრამ უშანსოდ არც ჩვენ ვართ, წინ კიდევ ორი ტაიმია და იმ აზრზე ვრჩები, რომ ამ ბარიერის გადალახვა შეგვიძლია.

**– შესვენებისას ფეხბურთელებს რა უთხარით?**

– განსაკუთრებული არაფერი, შევახსენე, რომ უკეთესი ფეხბურთის თამაშიც შეეძლოთ.

**– თამაში რომ ახლა იწყებოდეს, თქვენს გუნდში რას შეცვლიდით?**

– ვეტყოდი, რომ თამაში პირველივე წუთიდან იწყებდა და არა 46-ედან. მთავარი იყო, რომ მუხტი გვეპოვა, რაც შევძელით. ახლა მთავარია, ეს მუხტი მეორე მატჩისთვის შევინარჩუნოთ.

**– ეს თქვენი დღე იყო?**

– პირადად მე განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია, ყველაფერი ბიჭების დამსახურებაა. კმაყოფილი კი ნამდვილად არ ვარ. ჩემი დღე იმ შემთხვევაში იქნებოდა, სამი გოლი ისე გაგვეტანა, რომ საერთოდ არ გაგვეშვა.

### მოედანს გავლენა არ მოუხდენია

**"ბრიუგეს" თავკაცმა ადრი კოსტერმა შედეგს ლოგიკური უწოდა.**

– როცა ჯერ 2:0-ს იგებ და მერე 3:2-ს, ვალდებული ხარ, გამარჯვება შეინარჩუნო, ჩვენ კი ეს ვერ შევძელით. პირველი ტაიმი კარგად ჩავატარეთ, მეორეში კი ფეხბურთს აღარ ვთამაშობდით და დაცვაში უხეში შეცდომები დავუშვით, გოლებიც ლოგიკურად მივიღეთ. თუმცა მეოთხე გოლის გატანა მაინც შეგვეძლო.

**– ამ ეტაპის დაძლევის როგორი შანსი გაქვთ?**

– ფეხბურთი მოულოდნელი შედეგებითაა აღსავსე და ამიტომ აქ ასპროცენტიანი გარანტია არ არსებობს, თუმცაღა "ბრიუგეს" ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის უკეთესი შანსი აქვს.

**– მოედანი ხარისხიანი რომ ყოფილიყო, თამაში რა შედეგით დასრულდებოდა?**

– პირველ ტაიმში ჩვენთვის იყო უკეთესი მოედანი, მეორეში კი "ზესტაფონისთვის". ეს ხუმრობით, ისე კი, ცუდმა გაზონმა, ცხადია, ორივე გუნდს ხელი შეუშალა, თუმცა მას შედეგზე გავლენა არ მოუხდენია.

**ლევან ჯანეზაშვილი**
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



გელაშვილის დარტყმა და მესამე გოლი ბრიუგეს კარში

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384.* *ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ევროპის ლიგა. პლეი ოფი

# ვისი ესპანელი აჯობებს, თბილისში გამოჩნდება

18.08. ათენი. სპიროს ლუისი.
20 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| აეკ | 1 |
| დინამო | 0 |

1:0 ხოსე კარლოსი (87)

| აეკ | დინამო |
|---|---|
| 4-2-3-1 | 4-3-3 |
| კონსტანტოპულოსი | ლორია |
| მანოლასი | ოდიკაძე |
| დელასი | თომაშვილი |
| გეორგეასი | კაკუბავა |
| კარაბელასი | რეხვიაშვილი |
| კაფესი | ალვარო |
| ხოსე კარლოსი | კვეკვესკირი |
| მაკოსი | კოშკაძე |
| ბელეკი | ჩისკო |
| გუდიონსენი | იაგუე |
| ლიბეროპულოსი | კახელიშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| მ. ხიმენესი | ა. გარსია |

**აეკ**

32. კალა - **დელასი**
56. ლეონარდო - **ლიბეროპულოსი**
81. ლაგოსი - **გუდიონსენი**

*სათადარიგოები: არაბაცისი, ნიკოლცისი, კლონარიდისი, გენცოგლუ.*

**დინამო**

61. კოტო - **კახელიშვილი**
83. ფირცხალავა - **კოშკაძე**
89. ლეკვთაძე - **ჩისკო**

*სათადარიგოები: ნადირაძე, პომოლა, თექთურმანიძე, ბერაია.*

გაფრთხილება: იაგუე (8), მაკოსი (46), **ჩისკო** (65), გეორგეასი (66), მანოლასი (67), კოშკაძე (79), კარაბელასი (86), ხოსე კარლოსი (87), კაფესი (91)
არბიტრი: ს. ევანსი (უელსი)

ათენში „სპიროს ლუისზე“ ფეხბურთის მუზებს, თუ ასეთები არსებობენ, ღრმად ეძინათ, მაგრამ ჩვენ ეს ნაკლებად გვაწუხებდა - თბილისის „დინამო“ ევროპის ლიგის კარიბჭესთან დგას და საბერძნეთიდან სასურველი ანგარიში მოჰქონდა - 0:0, მაგრამ სულ ცოტა ვეღარ გაძლო. 87-ე წუთზე მასპინძელთაგან აშკარად საუკეთესო **ხოსე კარლოსს** ამოუვიდა ყელში სტანდარტულების შესრულება და თანაგუნდელ შემტევთა უნიათობით შეწუხებული თავად დაიძრა „დინამოს“ საჯარიმოში. არაფერი ისეთიც არ ხდებოდა, იქ **თომაშვილი** დაჯარიმდა, კარიდან საკმაოდ შორს იყო, ბერძნებმა ბურთი გაითამაშეს და მარჯვნიდან ურიგოდ არ ჩამოუწოდებიათ, 178 სმ სიმაღლის ხოსე კარლოსს კი ვერ აუხტა მასზე მაღალი **ოდიკაძე** და... სრულიად დაუმსახურებელი 1:0 მივიღეთ. ის კი არა, დამატებით წუთებში სულაც მეორე გოლს გადავრჩით, კიდევ ერთმა ახალგაზრდა ესპანელმა, მცველმა **კალამ** თავით გაიტანა, უკვე ზეიმობდა კიდევაც, როცა თანამსაჯის ალამი შენიშნა. ამ ალამმა, სხვათა შორის, რამდენჯერმე იხსნა ჩვენი გუნდი სახიფათო მომენტისგან და საერთოდაც მსაჯთა ბრიგადაზე სამდურავი არ გვეთქმის, აი, ბერძნებს კი მუდამ პრეტენზიები უჩნდებოდათ.

ძალიან დასანანია, როცა მივხვდით, რომ ის აეკ-ი არაა, რასაც ველოდით, როცა მეტოქეს ალღო ავუღეთ, თამაში ტაატით მიდიოდა, მომენტები ჩვენს კართან არ იქმნებოდა (პირველ ტაიმში მხოლოდ ერთხელ დაგვირტყეს ზუსტად), ჩვენ საერთოდ არ ვაწუხებდით მათ გოლკიპერს, აეკ-ის ერთ დროს სახელოვანი ფეხბურთელების ლანდები (**დელასი, გუდიონსენი, ლიბეროპულოსი**) კომიკურ პერსონაჟებს ჰგავდნენ, ყველაფერი მართლაც ლოგიკური 0:0-ისკენ მიდიოდა, როცა მასპინძელი გუნდი ოდნავ სჯობს სტუმარს, მაგრამ იმდენად არა, რომ რეალურად რაიმე დაუშავოს... და, აი, ამ დროს მართლაც დასანანია, რომ სადღაც ტყუილად დავჯარიმდით, სადღაც ვერ ავუხტით დროულად და მეტოქეს (თამაშიდან გამომდინარე) მაქსიმალურად კარგი ანგარიშით მოვაგებინეთ.

„დინამოელთაგან“ საუკეთესო **ჩისკო მუნიოსი** გვგონია. მარტო იმიტომ არა, რომ სახელიანი ფეხბურთელია და პრიმერაში უთამაშია, ის გამოცდილი და ჭკვიანი მოთამაშეა და მალევე მიხვდა ასეთ თამაშს, როგორი სტილი შეეფერებოდა. მოკლედ, ლამის მთელი თამაში ისე გავიდა, ან ჩისკოს ეუხეშებოდნენ, ან თავად ყოფილი ლევანტელი აგროვებდა მცირე-მცირე ფოლებს. ტაიმები რომ გავარჩიოთ, უდავოდ პირველში უკეთ ვითამაშეთ, მეორეში კი ერთი-ორჯერ დავიბენით, ეს მაშინ ხდებოდა, როცა მასპინძლები ტემპს უმატებდნენ, კიდევ კარგი, რომ ეს ძალზე იშვიათი მოვლენა იყო გუშინ „სპიროს ლუისზე“. მეტოქემ 4-ჯერ დაარტყა ჩვენ კარში ზუსტად და ოთხიდან 2-ჯერ **ლორიამ** დამაჯერებლად ითამაშა, ერთხელ (კამერუნელი **ბელეკის** დარტყმის შემდეგ) ბურთი წინ გაუვარდა, მაგრამ ჩვენმა მცველებმა მიუსწრეს, ერთხელ კი გოლი გავიდა, „დინამომ“ ერთხელ დაარტყა კარში ზუსტად, ეს ალბათ სტატისტიკისთვის, ბერძენთა მეკარემ გამოიდო თავი, თორემ ჩისკოს შორეული გასროლა კარში არ მიდიოდა. მეტოქემ 6 ყვითელი ბარათი მიიღო, ჩვენ - 3.

მოგეხსენებათ, აეკ-ს „სევილიადან“ გაშვებული **მანოლო ხიმენესი** წვრთნის, მეტოქე გუნდშიც ირიცხებიან ესპანელი ფეხბურთელები, მოკლედ, სიტუაცია „დინამოს“ ანალოგიურია. ახლა, სწორედ თბილისურ მატჩზეა დამოკიდებული ყველაფერი, „ეროვნულზე“ უნდა გამოჩნდეს ვისი ესპანელები სჯობს. ვფიქრობთ, „დინამო“ საქართველოში გაცილებით სწრაფ და შემტევ ფეხბურთს შემოგვთავაზებს, ვიდრე ეს წუხანდელმა მასპინძლებმა შეძლეს და მაშინ, ვინ იცის, იქნებ გაილოს კიდეც ევროპული კარიბჭე, ჩვენ ხომ მის ზღურბლზე ვდგავართ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ხოსე კარლოსი

საქართველოს ჩემპიონატი



ნიკა გუშარაშვილი

# როგორც იქნა დაბინავებულები

## გუშარაშვილი საჩხერეში, ორნი – სპარტაკში

თბილისის "ლოკომოტივის" ყოფილი კაპიტანი **ნიკა გუშარაშვილი** კარიერას საჩხერის "ჩიხურაში" გააგრძელებს.

ფეხბურთელი, რომელსაც ყველა ასაკობრივ ნაკრებში უთამაშია და საკმაოდ კარგი მცველის სახელი ჰქონდა, მთელი ერთი სეზონი უგუნდოდ იყო. არადა, შარშან, ზაფხულში რუსთავის "ოლიმპიც" იწვევდა და უმაღლესი ლიგის სხვა კლუბებიც, მაგრამ მიზეზთა გამო ვერავის შეუთანხმდა და ახლა პირველ ლიგაში მოუწევს თამაში.

უქმობის მიუხედავად, 26 წლის მცველი ინდივიდუალურად ვარჯიშობდა. უმაღლესი ლიგის კლუბები ახლაც იწვევდნენ, მაგრამ გორის "დილაში" გასინჯვა არ ისურვა, ბოლნისის "სიონი" კი მაშინ დაუკავშირდა, როდესაც "ჩიხურასთან" ურთიერთობა გარკვეული ჰქონდა.

ან უკვე საჩხერელმა გუშარაშვილმა სათასო შეხვედრაში სწორედ თბილისის "ლოკომოტივის" წინააღმდეგ ითამაშა. "ჩიხურამ" 5:0 მოიგო, ყოფილი კლუბის კარში გუშარაშვილმაც გაიტანა.

ცხინვალის "სპარტაკმა" ფეხბურთში 27 წლის **ირაკლი სამხარაძე** დააბრუნა. თავის დროზე "მეორე ქინქლაძედ" მონათლული სამსახარაძე 15 წლის იყო, როდესაც მასში ფრანგული "რენი" 250 ათას დოლლარს იხდიდა. სამწუხაროდ, უნიჭიერესი მოთამაშის კარიერა ისე ვერ აეწყო, როგორ იმედებსაც იძლეოდა - თბილისის "დინამოსა" და "ლოკომოტივის" ყოფილ პლეიმეიკერს წელიწადზე მეტი გაუცდა და ფორმის აღდგენას ახლა ცდილობს.

"სპარტაკში" ითამაშებს თბილისის "დინამოსა" და ასაკობრივ ნაკრებთა ყოფილი თავდამსხმელი **ზვიად ქანთარია**, რომლითაც ზაფხულში რამდენიმე კლუბი დაინტერესდა – ერთი კვირა "ზესტაფონში" იყო, ერთი თვე — "ჩიხურაში", მერე კი, "ვიტ ჯორჯიასთან" კონტრაქტს რომ გეგმავდა, სწორედ მაშინ შესთავაზეს უკეთესი წინადადება ცხინვალელებმა და როგორც იქნა, დაბინავდა.

გუნდი მოძებნა "სპარტაკის" ყოფილმა პლეიმეიკერმა **ვალერი ბოლქვაძემ**. "სიონის" მწვრთნელებს მისი ძალიან ეიმედებათ. იმავეს ვიტყვით **გიორგი გუგავაზეც** – როგორც იქნა, ეს ნიჭიერი მოთამაშეც დაუბრუნდა მოედანს.

**მერაბ მამულაშვილი**

ამბავი

# ქაისერი არ გამოვიდა, ინტერი დღეს გადაწყდება

"ვიტ ჯორჯია" თურქულ "ქაისერისფორთან" ამხანაგური მატჩის ჩატარების თაობაზე მოლაპარაკებას აწარმოებდა, მაგრამ ეს საქმე არ გამოვიდა. "ქაისერის" ქართველ მწვრთნელ **შოთა არველაძეს** თავისი გუნდის თბილისში ჩამოყვანისა და ვეტერინარებთან სპარინგის დიდი სურვილი ჰქონდა, მაგრამ იმის გამო, რომ "ქაისერის" რამდენიმე ფეხბურთელი ეროვნულ ნაკრებებში გამოიძახეს, არველაძეს სრულფასოვანი გუნდი ვეღარ ჩამოჰყავდა და ვიზიტიც ამიტომ ჩაიშალა. შეხვედრა სექტემბრის დასაწყისში, სანაკრებო პაუზისას უნდა გამართულიყო.

სამაგიეროდ, დიდია იმის შანსი, რომ ამავე პერიოდში "ვიტ ჯორჯიასა" და ბაქოს "ინტერის" ამხანაგური მატჩი ვიხილოთ. შეგახსენებთ, "ინტერს" **კახა ცხადაძე** წვრთნის, გუნდის შემადგენლობაში კი რამდენიმე ქართველი თამაშობს. "ინტერის" სტუმრობის საკითხი დღეს უნდა გაირკვეს.

ბაქოელებს საქართველოში რამდენიმე დღით ჩამოსვლა და მცხეთაში ვარჯიში სურთ. თუ შეთანხმება შედგა, "ვიტ ჯორჯია" და "ინტერი" ერთმანეთს "მცხეთა პარკზე" გაეჯიბრებიან.



ბაქოს ინტერი მოსამზადებლად თბილისში ჩამოდის

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ქართული ფეხბურთი

### საქართველოს თასი. 1/16 ფინალი. პირველი მატჩები



**სიონი–ნორჩი დინამო 1:1**

17.08. ბოლნისი. თ. სტეფანია. 200 მაყურებელი

1:0 გ. ოქროპირიძე (8, პენალტით), 1:1 ი. ჩახვაშვილი (47)

სიონი: ვ. ზუხბაია, მ. კობაური, დ. სვანიძე, გ. თარგამაძე (68. გ. ქუცურუა), ლ. ჩხეტიანი, გ. ოქროპირიძე, ვ. უგრეხელიძე, ვ. ბოლქვაძე, მ. კობერიძე (62. შ. გაბრიჭიძე), ვ. ისიანი (40. მ. ოქროპირიძე), გ. რეხვიაშვილი

*სათადარიგოები: ვ. ლობჟანიძე, ლ. ჯინჭარაძე, ს. ადამაშვილი, ლ. ალფაიძე*

მწვრთნელი: ვ. ჩაგელიშვილი

ნ. დინამო: ა. ბილიხოძე, გ. ბერიშვილი, გ. ლომაია, ზ. ძაგანია, ა. ჩუენსუ, გ. თანიაშვილი, გ. ქაჯაია (69. ბ. შუბითიძე), თ. ჩარგეიშვილი, ი. ქავთარაძე, ვ. ჭანტურიშვილი (62. გ. ჩუბინიძე), ი. ჩახვაშვილი (65. ბ. ბეროშვილი)

*სათადარიგოები: მ. ნონოსი, ზ. ქარდავა, გ. ოქროუაშვილი, ლ. ელიზბარაშვილი*

მწვრთნელის ასისტენტი: ირაკლი შენგელია

გაძევება: გ. ბერიშვილი

არბიტრი: თ. გვანცელაძე (სამტრედია)

**აეტი (სოხუმი)–დილა (გორი) 0:2**

17.08. სპორტკომპლექსი „შატილი". 100 მაყურებელი

0:1 გ. თოდუა (50), 0:2 ლ. ჩაგელიშვილი (71)

აეტი: ლ. ეზიეშვილი, ლ. ბიწაძე, ლ. ჯობავა, დ. ლობჟანიძე, ლ. როსტობაია, გ. ვასაძე (55. გ. ბაკურაძე), ნ. მამრაში, ვ. ჭაბუკიანი, გ. ნარსია, ლ. გაბელაია (19. ზ. ჭადაშვილი, 55. გ. გრიგალაშვილი), გ. ჯაჭვლიანი

*სათადარიგოები: გ. ცხაკაია, გ. გაბელაია, ლ. ჭეჟია, ლ. ჩუხუა*

მწვრთნელი: ო. სოხაძე

დილა: ბ. შეყრილაძე, დ. ჭითანავა, ნ. მაჭავარიანი, ლ. ჩაგელიშვილი, დ. ბაქრაძე, ვ, ჯოჯუა, თ. სტეფნიაშვილი (70. ნ. ნოზაძე), ო. ცარიელაშვილი (46. დ. რაჟამაშვილი), რ. ახალკაცი, გ. თოდუა, რ. გოგინაშვილი (46. დ. ჩაგელიშვილი)

სათადარიგოები: მ. მერლანი, ი. ლომიძე, გ. ქარქუზაშვილი, რ. ქიტიაშვილი

მწვრთნელი: გ. ცეცაძე

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი (თბილისი)

**სპარტაკი–ზოოვეტი 4:0**

17. 08. თბილისი. „ოლიმპიკი". 200 მაყურებელი

1:0, 2:0 ზ. მეტრეველი (23, 39), 3:0 ვ. კილასონია (45), 4:0 რ. ჯიქია (58).

სპარტაკი: ლ. ძაგანია, გ. ციმაკურიძე, ფ. ბოიომო, გ. ტეტუნაშვილი, ნ. მაისურაძე, ვ. კილასონია, თ. შონია (46. ი. სამხარაძე), კ. კაკაშვილი (76. დ. ზერეკიძე), კ. შალამბერიძე, რ. ჯიქია, ზ. მეტრეველი (59. ზ. ქანთარია).

*სათადარიგოები: ნ. დაუშვილი, გ. სეფიაშვილი, უ. ბურძენაძე, დ. გელაშვილი*

მწვრთნელი: ბ. კვარაცხელია

ზოოვეტი: მ. ძიძიგური, თ. ჯიმშელეიშვილი, ი. ალასანია, შ. გალეგაშვილი, თ. კოჩაძე (42. შ. ფარულავა), გ. ხუციშვილი, უ. მამულაშვილი (46. ს. ლორთქიფანიძე), ი. ჯოჯიშვილი, ზ. ტიელიძე, გ. კუხალაშვილი, ი. სვანიძე (64. ლ. ბარათაშვილი)

*სათადარიგოები: მ. ბაბაიანი, ი. მაისურაძე, ლ. ლობჟანიძე*

მწვრთნელი: ჯ. გუგუშვილი

არბიტრი: ბ. ნინუა (ქუთაისი)

**ვიტ ჯორჯია–სტუ 2:1**

17.08. „მცხეთა-პარკი". 100 მაყურებელი

1:0 ბ. ჩიმაკაძე (4), 2:0 ი. სიხარულიძე (25), 2:1 ა. მიქაბერიძე (54, საკუთარ კარში)

ვიტ ჯორჯია: ა. მიქაბერიძე, დ. ხურცილავა, გ. ადამაძე, ლ. კასრაძე, რ. ღანიაშვილი, გ. ვასაძე (65. გ. კორიფაძე), გურ. გურეშიძე, გიორ. გურეშიძე (46. გ. ვაშაკიძე), გ. ჯანელიძე (73. დ. მაისაშვილი), ბ. ჩიმაკაძე, ი. სიხარულიძე

*სათადარიგოები: გ. ძაძამია, ჯ. გოგიაშვილი, ი. ხუჭუა, გ. ოთარიშვილი*

მწვრთნელი: ზ. ბერიძე

სტუ: ა. აბულაძე, ლ. თვალავაძე, გ. კვახაძე, ნ. მაღრაძე, ნ. ბიწკინაშვილი (32. ზ. ჭავჭავაძე), ლ. ცაბაძე, ა. ლაღაძე, გ. ბიბილეიშვილი, ნ. მახვილაძე (67. ლ. ცხოიძე), გ. ჯიშკარიანი (53. კ. კოდუა), ლ. ჯიქიძე

სათადარიგოები: გ. სიჭინავა, ა. ლეჟავა, ლ. ციკოლია, დ. ბითარიძე

მწვრთნელი: გ. ჟორჟოლიანი

არბიტრი: ლ. სილაგავა (თბილისი)

**ბათუმი–მერცხალი 3:0**

17.08. ადელი. 500 მაყურებელი

1:0 თ. ბერიძე (5), 2:0 მ. ჟვანია (50), 3:0 მ. ჯორბენაძე (78)

დინამო: შ. მამინაშვილი, მ. ფარტენაძე, ნ. ხუხია, ა. ბაჯელიძე, კ. მაკარიანი, მ. ჟვანია, ზ. ლობჟანიძე, ა. მუჯირი, დ. სამსეიშვილი (30. მ. ჯორბენაძე), თ. ბერიძე (80. ნ. დიასამიძე), ლ. გაბრიჭიძე (46. ა. ბაციკაძე)

*სათადარიგოები: ნ. ნასუაშვილი, ვ. თევდორაძე, ლ. რამიშვილი, თ. კაკალაძე*

მწვრთნელი: ი. ნასუაშვილი

მერცხალი: გ. გოგუა, ზ. ტულუში, მ. ქობულაძე, სერგო გ. ჩიგოგიძე, სერგო ვ. ჩიგოგიძე, ლ. ჩხაიძე (59. ვ. რამიშვილი), ნ. მაჭავარიანი, ლ. ათუაშვილი (46. ი. ბაჯელიძე), კ. ნაკაიძე (46. გ. ხამაშურიძე), რ. ჭეიშვილი, გ. ტყეშელაშვილი

სათადარიგო: თ. ჩხატარაშვილი

მწვრთნელი: ხ. ჩხატარაშვილი

არბიტრი: კ. ჭაჭუა (ქუთაისი)

**სამტრედია–სულორი (ვანი) 1:1**

17.08. სამტრედია. „ე. მანჯგალაძე". 500 მაყურებელი

1:0 პ. შათირიშვილი (9), 1:1 ნ. გიორგაძე (42)

სამტრედია: ი. შენგელია, ზ. მიქელთაძე, ლ. ხაჭიპურიძე, ა. გუბელაძე, რ. ნინუა, შ. კერძევაძე (46. კ. ბროლაძე), გ. რუხაძე, ი. ხვადაგიანი (68. ს. მიქაძე), ტ. რუხაია (46. გ. ნემსაძე), პ. შათირიშვილი, დ. ჩხიკვაძე

*სათადარიგოები: ნ. ბანძავა, ბ. ახობაძე*

მწვრთნელი: კ. მიქაძე

სულორი: დ. ხურციძე, ლ. გაბუნია, ვ. ნუცუბიძე, ა. ქებულაძე, მ. დვალიშვილი, ს. კიკაბიძე (46. კ. ჯოხაძე), ნ. გიორგაძე (80. ბ. დვალიშვილი), თ. ძაგნიძე, თ. მალლაკელიძე (56. ნ. ბრეგვაძე), გ. დიაკონიძე, ბ. სულაბერიძე

*სათადარიგოები: პ. ბელთაძე, გ. ბრეგვაძე, ბ. ნიკოლეიშვილი, ი. დვალიშვილი*

მწვრთნელი: გ. ბრეგვაძე

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

**ბაია –ჩხერიმელა 0:1**

17.08. ზუგდიდი. „გ. თუთბერიძე". 300 მაყურებელი

0:1 დ. კოსტავა (53, პენალტით)

*მე-60 წუთზე ი. ქობალიამ (ბაია) ვერ გამოიყენა პენალტი*

ბაია: გ. სომხიშვილი, რ. კანკია, გ. პაჭკორია, თ გერგედავა, ნ. შონია, გ. სამუშია (46. ნ. ნარმანია), ზ. სიხარულია ლ. კუკავა (69. თ. ჟიშკარიანი), ი. ქობალია, ა. ენდელაძე, ი. ვეკუა (46. ლ. ქანთარია)

*სათადარიგოები: ა. მაქაცარია, ზ. მალანია, ა. ფარჯიკია, გ. ბერიშვილი*

მწვრთნელი: ე. ქომეთიანი

ჩხერიმელა: ი. კუჭუხიძე, დ. ბერუაშვილი, ი. ჭანკვეტაძე, ი. გვარჯალაძე, ა. ქაშაკაშვილი, ო. გიორგობიანი, გ. ზაქარაშვილი (9. ბ. ახალაია), დ. კოსტავა (90. ლ. გუმბერიძე), ლ. კირკიტაძე, ა. დოლონაძე, გ. თურმანიძე (46. გ. ბოხუა)

*სათადარიგოები: ჯ. არევაძე, მ. ლომსაძე*

მწვრთნელი: მ. ხუნდაძე

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

**ტორპედო–მესხეთი 2:0**

17.08. ქუთაისი. ცენტრალური. 500 მაყურებელი

1:0 გ. იოსელიანი (24), 2:0 ვ. ტაბატაძე (73)

ტორპედო: მ. ქვილითაია, რ. ქემოკლიძე (46. ს. თოდუა), თ. ფარულავა, გ. იოსელიანი., თ. ჩიკვილაძე, გ. სეთურიძე, გ. დათუნაიშვილი, ვ. ტაბატაძე (73. დ. ბოლქვაძე), დ. კირკიტაძე, რ. გოცირიძე (46. გ. მეგრელაძე), ნ. საბანაძე

*სათადარიგოები: ო. მიგინეიშვილი, დ. ფოფხაძე, გ. გურული, გ. დოლიძე*

მწვრთნელი: გ. კიკნაძე

მესხეთი: ლ. ოქრომელიძე, მ. ლეკიშვილი, დ. ლეკიშვილი, ო. დარჩია, ზ. სუდაძე (76. გ. ქურდაძე), მ. მურმანიშვილი, გ. მურადაშვილი (88. ფ. გევორქიანი) ზ. ბარძიმაძე, კ. ხანიშვილი, გ. წინამძღვრიშვილი, ი. ცნობილაძე

სათადარიგო: დ. ინასარიძე

მწვრთნელი: პ. გოგოლაძე

არბიტრი: ი. ურუშაძე (ლანჩხუთი)

**კოლხეთი (ხ)–კოლხეთი (ფ) 2:1**

17.08. ხობი. ცენტრალური. 400 მაყურებელი

1:0 ი. კუტალია (18), 2:0 მ. ჭკადუა (68), 2:1 ლ. ქებაძე (74)

კოლხეთი (ხ): დ. ხარძეიშვილი, ვ. ფირცხალავა, გ. გოგენია, ლ. გოგენია, ო. ფიფია, ი. კუტალია (78. ბ. ბუკია), მ. ბესარაშვილი, ლ. მეფიშვილი (89. ლ. ჩაჩიბაია), მ. ჭკადუა, ც. ბუკია, პ. ბაკარანძე (73. გ. ლომაია)

*სათადარიგოები: ზ. გელაშვილი, დ. ნარსია, ლ. ქაშიბაძე, რ. ცობეხია*

მწვრთნელი: კ. ხურცილავა

კოლხეთი (ფ): მ. ბობლიაშვილი, გ. კილასონია (62. დ. ციცხვაია), პ. ცხვიტარია, ლ. თედიაშვილი, გ. ლემონჯავა, ვ. ლომაშვილი, გ. ცხადაია, ლ. ქებაძე, ლ. გულუა (46. ლ. შავგულიძე), ბ. გელაჭეიშვილი (46. ლ. გვალია), ლ. მდივნიშვილი

*სათადარიგოები: ლ. ნადირაშვილი, კ. ბარამიძე, ა. ქორჩილავა, მ. რუსია*

მწვრთნელი: ს. ფილია

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი (ყვარელი)

**გურია–ჭიათურა 0:0**

გურია: დ. კეკელიძე, რ. კუკულაძე, გ. ნათენაძე, ა. დვალიშვილი, ზ. რაზმაძე (83. გ. შეწირული), ი. კილაძე, გ. მელქაძე, იაგო დეისაძე (89. ს. ფირცხალაიშვილი), ჯ. გოგიბერიძე, ტ. კუკულაძე, გ. კვერენჩხილაძე (89. ლ. რუსიეშვილი)

*სათადარიგოები: ნ. ებრალიძე, მ. გოგუაძე*

მწვრთნელი: გ. იმნაძე

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, გ. მეცხოვრიშვილი (87. ლ. კუჭაშვილი), ლ. ცუცქირიძე, გ. ბრეგვაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ი. ტყებუჩავა, ო. გაგნიძე (60. ზ. ნოზაძე), გ. ქირია, დ. ქირია (72. გ. სამყურაშვილი), დ. სევასტოპულო, ზ. ხაჭიპერაძე

*სათადარიგოები: ლ. მაჩაიძე, ა. ბაბლიძე, ნ. ბაირამოვი, ზ. ჯაფარიძე*

მწვრთნელი: მ. კიპაროიძე

არბიტრი: შ. ქუხილავა (სოხუმი)

**მერანი–სქური 0:0**

17.08. მარტვილი. ცენტრალური. 800 მაყურებელი

მერანი: ჯ. შეროზია, თ. კაკუშაძე, გ. დიდავა (46. გ. ჟვანია), თ. შალიკაშვილი, ლ. ჭაფოძე, გ. მანწკავა (68. ო. ტორაძე), დ. ქამუშაძე, ჟ. იატრო (46. გ. მემარნიშვილი), გ. ამბროლაძე, ლ. ჩალაძე, გ. სამადაშვილი

*სათადარიგოები: გ. შენგელია, ი. მონიავა, რ. კიკალიშვილი, კ. მელიავა*

მწვრთნელი: მ. ჟვანია

სქური: ნ. ჯოლოგუა, კ. ყურუა (66. ზ. გახარია), შ. გაბუნია, ი. ფაცაცია, ზ. მოლაშხია, ბ. სვანიძე, ლ. გაბუნია, ლ. ბოჯგუა, გ. სართანია, ა. მიქენაია, გ. ჭკუასელი (58. გ. შელია)

*სათადარიგოები: ტ. ხარჩილავა, გ. წურწუმია, ზ. ლარიბაშვილი*

მწვრთნელი: ნ. ბოჯგუა

არბიტრი: გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**ჩიხურა –ლოკომოტივი 5:0**

17.08. საჩხერე. ცენტრალური. 500 მაყურებელი

1:0 თ. მუმლაძე (2), 2:0 ნ. გუშარაშვილი (10), 3:0 ლ. ჭელიძე (21), 4:0 ნ. კვასხვაძე (27), 5:0 გ. სილაგავა (74)

ჩიხურა: რ. თევდორაძე, ლ. ჩიკვაიძე, ნ. გუშარაშვილი (45. გ. ცარციძე), ლ. ჭელიძე, ი. ზაბახიძე (76. ლ. ვაშაკიძე), ლ. ბაკურაძე, ლ. ნოზაძე (73. ე. ზივზივაძე), გ. სილაგავა, ა. ივანიშვილი, თ. მუმლაძე, ნ. კვასხვაძე.

*სათადარიგოები: ზ. მწყერაშვილი, გ. ქიმაძე*

მწვრთნელი: ს. ფრუიძე

ლოკომოტივი: ი. ხომერიკი, დ. საჯაია, გ. მჭედლიშვილი, ნ. ჭანტურია, დ. მიქავა გ. შარანგია (67. მ. ცინცაძე), დ. ბაქრაძე (40. დ. დარციმელია), გ. გოროზია, ა. გუგუშვილი, დ. ჯიქია გ. კაპანაძე (57. ა. ძიძიგური)

*სათადარიგოები: ბ. საჯაია, გ. გაბაძე, გ. ბაქრაძე, ნ. შერაზადაშვილი*

მწვრთნელი: გ. ჩიტაური

არბიტრი: ჯ. ხორავა (ხობი)

### ლეგიონერი

# დაჩია უკვე წარსულია, მძიმე და აუხსნელი

## ლევან კორღალიძე: სახლში მინდა

**ლევან კორღალიძეს კიშინიოვის „დაჩიას" დატოვება რომ სურდა, რადგან ბუქარესტის "სტიაუა" იწვევდა, ეს "ლელოს" "ზესტაფონი"-"დაჩიას" სკანდალურ შეხვედრამდე, ივლისში უთხრა. ანუ მანამდე, ვიდრე "დაჩიას" ხელმძღვანელები და მწვრთნელები ქართველ მოთამაშეებს გადაეკიდებოდნენ.**

**Uefa.com-ის ვერსიით მოლდოვის წინა ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი, 30 წლის კორღალიძე 13 გოლით კლუბის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, ხოლო ჩემპიონატში მეორე იყო. თან 14 საგოლე გადაცემაც მიითვალა და მისი აღიარება ბუნებრივი იყო – "დაჩია" ჩემპიონი მისი კარგი თამაშის წყალობითაც გახდა.**

**გუშინ ლევან კორღალიძეს დავუკავშირდით.**

**- როგორც შევიტყვეთ, "დაჩია" დატოვე.**

- ასეა, პრეზიდენტთან შევედი და გათავისუფლების ფურცელი ავიღე.

**- „ზესტაფონი"- "დაჩიას" შემდეგ მოლდოველები ამტკიცებდნენ, ქართველებმა თამაში გაყიდესო.**

- ამ სისულელეების არავის სჯერა. აქილევსის მყესი მქონდა დაზიანებული, ბოლო ერთი თვე ვერც ვვარჯიშობ და ამ შეხვედრებთან არანაირი კავშირი არ მაქვს. ან გამეზარდაშვილს რას ერჩოდნენ? მწვრთნელმა გვერდში ისეთი კაცი დაუყენა, ერთი წელი არ უთამაშია და იმდენჯერ შეცდა, დათო მისი შეცდომების გამოსწორებას ვერ ასწრებდა.

**- აბა, გუნდი რატომ დატოვე?**

- გამეზარდაშვილის მიმართ წაყენებული აბსურდული ბრალდებების გამო. კლუბის მეპატრონე ადლან შიშხანოვს შეხვედრა ვთხოვე, რადგან დათო ჩემი ჩაყვანილია. ვუთხარი, წაგებაში მისი დადანაშაულება სირცხვილია, "დაჩიაში" თამაში კი აღარ მინდა, აქ გამჩერებელი არ ვარ და ან გამათავისუფლეთ, ან ფეხბურთს შევეშვები-მეთქი. ჩვენს ლაპარაკს გამეზარდაშვილიც ესწრებოდა.

ეტყობა, ისე ემოციურად ვლაპარაკობდი, გათავისუფლების ფურცელი მოგვცა, არადა, ჩემი გაშვება არ სურდა. გეკითხებით, მე ჩვენს სიმართლეში დარწმუნებული რომ არ ვყოფილიყავი, პრეზიდენტს შევხვდებოდით და ასე თამამად ველაპარაკებოდი? გამორიცხულია!

**- როგორ დაშორდით ერთმანეთს?**

- ნორმალურად, ადამიანურად, მაგრამ იქით გახედვა აღარ მინდა. არ შეიძლება, წაგების გამო ადამიანს ცილი დასწამო. ჩვენი წამოსვლის შემდეგ გულშემატკივრებმა სტადიონზე ბანერი გადმოფინეს, სადაც ჩემი და დათოს საქომაგო ფრაზები ეწერა. სხვათა შორის, ჟურნალისტების მხადრაჭერასაც ვგრძნობდით.

**- 'ზესტაფონთან" წაგება რა ისეთი პრინციპული იყო, მოლდოვაში ანტიქართული ისტერია რომ გამოიწვია? ეს განწყობა ახალგაზრდული ნაკრებების 10 აგვისტოს მატჩისასაც იგრძნობოდა.**

- მოლდოვაში ქართველებს პატივისცემით გვეპყრობიან და მიმაჩნია, რომ "დაჩიას" მთავარი მწვრთნელის შეცდომების გამო ჩვენი ურთიერთობები არ უნდა გაფუჭდეს. თუმცა მომხდარის ახსნა მეც მიჭირს. სხვათა შორის, მერე დამტკიცდა, გამეზარდაშვილი მართალი რომ იყო, პრეზიდენტი დაუკავშირდა, ეჭვებისთვის მოუბოდიშა და "დაჩიაში" დაბრუნება სთხოვა. თუმცა დღემდე ვერ გავიგე, ვისგან მოდიოდა ეს ეჭვები. მე წუთიც არ მითამაშია და თურმე ვილაც ჭორებს ავრცელებდა, კორღალიძემ თამაში გაყიდაო.

**- ჩემი აზრით, "ზესტაფონი" შემდეგ წრეში დამსახურებულად გავიდა. შენი აზრით?**

- ზესტაფონში აშკარად გვაჯობეს, მაგრამ კიშინიოვში ცოტა დაგვაკლდა და გამოვაგდებდით. თუმცა უნდა ვალიარო, რომ შემდეგ ეტაპზე გასვლას "ზესტაფონი" უფრო იმსახურებდა.

**- როგორ არ ვახსენოთ ისიც, რომ „დაჩიამ" კიშინიოვში საეჭვო გოლების წყალობით მოიგო.**

- ამაში ნამდვილად ვერ დაგეთანხმებით, გამეორებისას ჩანდა, რომ პირველი გოლისას ბურთმა კარის ხაზი ერთი მეტრით გადაკვეთა, პენალტიც ასპროცენტიანი იყო. თუმცა მსაჯს "დაჩიას" მიმართ სიმპათია ეტყობოდა, ამის უარყოფა უაზრობა იქნება.

**- კვლავაც ვერ ვარჯიშობ?**

- სამწუხაროდ, ერთი თვეა, მოედანს არ გავკარებივარ და ვმკურნალობ. თბილისში ამის გამო ჩამოვედი.

**- კარიერის რუმინეთში გაგრძელებას აპირებდი.**

- სეზონის დასრულების შემდეგ გითხარით, რომ ბუქარესტის "სტიაუა" მიწვევდა, კონტრაქტს მთავაზობდა და ეს ტრანსფერი გადაწყვეტილი მეგონა, მაგრამ ტრავმირებულს ასეთ გუნდში როგორ ამიყვანდნენ?!

**- იგივე პრობლემაა "დინამოსთანაც"?**



- რა თქმა უნდა. მე ესპანელი მწვრთნელი არ მიცნობს და ტრავმირებული რომ მივიდე, თავი როგორ მოვაწონო? ბოლომდე ჯერ არაფერი გადაწყვეტილა, თუმცა მოლაპარაკება მიმდინარეობს.

**- ახლა მეორე რუმინული კლუბი — "გაზ მეთანი" გიწვევს.**

- მოლაპარაკებები მართლაც დავიწყეთ, კონტრაქტის ყველა დეტალიც შევათანხმეთ და ხელშეკრულებას ჩემი ხელმოწერაღა აკლია, მაგრამ ჯერ ტრავმა უნდა მოვიშუშო. "გაზ მეთანი" მკურნალობის შემდეგ მელოდება, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, წასვლა აღარ მინდა, საქართველოში დარჩენა მირჩევნია.

**- ზოგადად, ფეხბურთელები ასე არ ფიქრობენ.**

- მეც არ ვფიქრობდი, მაგრამ ჯერაც პატარა ვიყავი, ლატვიაში რომ წავედი და მას შემდეგ, "ზესტაფონში" გატარებულ სეზონს თუ არ ჩავთვლით, სულ უცხოეთში ვცხოვრობ. დამღალა გამუდმებულმა მომთაბარეობამ. მინდა, ჩემს ქალაქში, ჩემს ოჯახთან ერთად ვიცხოვრო. თუ ძალიან სერიოზული ვარიანტი არ გამოჩნდა, საქართველოში ვითამაშებ, თუ არა და, მოვმჯობინდები და "გაზ მეთანში" გადავალ.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი



# გამეზარდაშვილი ბეითარში ვარჯიშობს

## დაჩიას მეპატრონემ ქართველს ეჭვებისთვის მოუბოდიშა

ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „ზესტაფონთან" წაგების შემდეგ „დაჩიაში" განტევების ვაცი იპოვეს – ქართველი მცველი **დავით გამეზარდაშვილი**, რომელიც კიშინიოვურმა გუნდმა ტრანსფერზე დააყენა.

თუმცა მერე ვითარება შეიცვალა: "დაჩიას" პრეზიდენტმა **ადლან შიშხანოვმა** 28 წლის ქართველს გათავისუფლების ფურცელი მისცა.

გამეზარდაშვილი ამჟამად ისრაელშია და იერუსალიმის "ბეითარში" ვარჯიშობს, მაგრამ კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია.

"დათომ "დაჩიასგან" გათავისუფლების ფურცელი აიღო და გუნდი თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა. ახლა ის "ბეითარში" ვარჯიშობს და საკითხი მალე გაირკვევა. როგორც ვიცი, ებრაელებს დათოს მიწვევა ჯერ კიდევ მისი რიგის "სკონტოში" თამაშისას სურდათ, მაგრამ მაშინ გარიგება ვერ შედგა," – ეს ამბავი **ლევან კორლალიძემ** გვაცნობა.

თავად გამეზარდაშვილმა "მოლდოვასპორტს" უთხრა:"ყველას აინტერესებს, რატომ დავტოვე კლუბი. ეტყობა, გაჩნდა მოლოდინი, რომ "ზესტაფონთან" ორჯერ უკეთ ვითამაშებდით, ვიდრე რეალურად შეგვეძლო. მაგრამ წავაგეთ და სუსტად გამოვიყურებოდით, მათ შორის, მეც. ამიტომ მივედი ხელმძღვანელობასთან და გათავისუფლება ვთხოვე. მადლობა გულშემატკივრებს მხარდაჭერისთვის, ბევრი ბედნიერი წუთი მახსენდება, გავხდით ჩემპიონები, სუპერთასიც მოვიპოვეთ, მაგრამ ახლა წასვლა აჯობებს. ფეხბურთში ყველაფერი ხდება, როგორც ამბობენ, ჩვენს პროფესიაში "ჩემოდნებზე ჯდომა" ჩვეულებრივი მოვლენაა. მოლდოვაში ბევრი მეგობარი მყავს, თუმცა წასვლას არ ვნანობ. რაც მოხდა, ძალიან საწყენი იყო. კონკრეტულად არავის ვადანაშაულებ, რაც იყო, იყო".

როგორც კორლალიძემ გვითხრა, გამეზარდაშვილს ადლან შიშხანოვი დაუკავშირდა, ეჭვებისთვის მოუბოდიშა და დაბრუნება სთხოვა., მოლდოველები დარწმუნდნენ, რომ გამეზარდაშვილი უბრალოა, თუმცა მას გუნდში დაბრუნება აღარ სურს.

მოლდოვაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ "დაჩიამ" ქართველებს ხელფას-პრემიები ჩამოაჭრა. ჩვენი ცნობით კი, კლუბს მთელი გუნდის დავალიანება დაუგროვდა და არა მხოლოდ ქართველებისა, რომლებიც სხვებთან ერთად ელიან კუთვნილ თანხას.

**მერაბ მამულაშვილი**

ამბები

## ხუბუა სპარტაკში

ცხინვალის "სპარტაკმა" კიდევ ერთი ფეხბურთელი დაიმატა – ფოთის "კოლხეთის" მცველი **გელა ხუბუა**.

ხუბუამ სეზონი "გაგრაში" ვარჯიშით დაიწყო, თუმცა ტრავმის გამო ვერც ევროტურნირზე ითამაშა და ვერც განაცხადში მოხვდა. მერე კი 27 წლის მცველი ფოთელებს შეუერთდა.

თუმცა ფოთელთა შემადგენლობაში მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა, ისიც დუბლებში და პირველი ტურში ყოფილ კლუბ რუსთავის "მეტალურგთან" მოედნიდან გააძევეს.

ახლა კი, როგორც "სპარტაკის" პრესატაშე **დავით ცაბაძემ** გვაცნობა, ხუბუა ცხინვალელებმა მიიწვიეს და მას კვირას, 21 აგვისტოს ბოლნისის "სიონთან" თამაში შეეძლება, რადგან დისკვალიფიკაციით გათვალისწინებული ერთი შეხვედრა უკვე გამოტოვა.

## იბერიამ გაზპრომს გადაუარა და... ვერ მოუგო!

**ფუტსალი.** ლვოვის საერთაშორისო ტურნირზე თბილისის „იბერიამ" ორი მატჩი ჩაატარა. პირველში, უკრაინულ „კარდინალთან", ჩვენებმა 6:3 მოიგეს.

გუშინ კი, მეორე ტურში, „იბერიას" მეტოქე რუსული „გაზპრომი" იყო. პირველი ტაიმი 5:0 მოვიგეთ, თუმცა საბოლოოდ ფრე - 6:6. ყველაზე დასანანი ის იყო, რომ რუსებმა ანგარიში თამაშის დასრულებამდე 39 წამით ადრე გაათანაბრეს.

ტურნირის ფინალში გასასვლელად "იბერიამ" დღეს პოლონური "რეკორდი" უნდა დაამარცხოს. ასეთ შემთხვევაში ფინალში მისი სავარაუდო მეტოქე მოსკოვის ცსკა იქნება.

**მერაბ მამულაშვილი**

ამბები

## პიუელი და გენკი

"გენკის" ამჟამინდელი დამრიგებელი **ფრენკი ვერკოტერენი** სამუშაოდ ყატარში მიდის და კლუბს მის შემცვლელად "ლიონის" ექსთავკაცი **კლოდ პიუელი** ესახება. ბელგიური წყაროები ამტკიცებენ, რომ მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი უკვე გაიმართა და მხარეები შეთანხმებას უახლოეს დღეებშივე მიაღწევენ.

## ჩაქუჩი მგლებში

გერმანიის ნაკრების ყოფილი საყრდენი ნახევარმცველი **თომას ჰიტცლშპერგერი**, ვინც ბოლო ხანს უკლუბოდ დაიარებოდა, სამშობლოში დაბრუნდა და "ვოლფსბურგთან" 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. "შტუტგარტში" 5-წლიანი ნაყოფიერი ასპარეზობის შემდეგ ფეხბურთელმა 2010 წელს რატომღაც გადაწყვიტა, რომ თავგადასავლები სჭირდებოდა და სათამაშოდ "ლაციოს" მიაშურა, სადაც ძირითადად სკამზე უწევდა ყურყუტი. ზამთარში "ჩაქუჩმა" "ვესტ ჰემის" მაისურა მოირგო, თუმცა ეს კლუბი პრემიერლიგას გამოეთხოვა და გერმანელმა დარჩენა აღარ ისურვა. აი, რას ამბობს თავად ფეხბურთელი: "ბოლო წელიწადი ჩემთვის ძალიან რთული აღმოჩნდა. იმედია, "ვოლფსბურგში" ყველაფერი კალაპოტში ჩადგება".

"ყოველთვის დამჭირდება ისეთი ფეხბურთელები, რომელთაც იციან, როგორ უნდა გავხდეთ გერმანიის ჩემპიონები. თომასი ულაპარაკოდ იმ ფეხბურთელებში შედის, ვისაც თავისი გამოცდილების წყალობით ჩვენი გუნდის გაძლიერება შეუძლიათ," – განაცხადა ახალ შეგირდზე "მგლების" თავკაცმა **ფელიქს მაგათმა**.

## ორტეგა ლევერკუზენში

კოლუმბიის ახალგაზრდული ნაკრებისა და მექსიკური "ატლასის" შემტევი ნახევარმცველი **მიკაელ ორტეგა** ერთი წლით "ლევერკუზენში" ითამაშებს. შეთანხმებას კლუბებმა სულ რამდენიმე დღეში მიაღწიეს. საიჯარო თანხის ოდენობას მხარეები არ ახმაურებენ. "ორტეგა ნამდვილი ტალანტია, მან დიდებულად წარმოაჩინა თავისი შესაძლებლობები მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე. დარწმუნებული ვარ, მას დიდი მომავალი აქვს," – განაცხადა "ფარმაცევტთა" გენერალურმა დირექტორმა **ვოლფგანგ ჰოლზჰოიზერმა**.

აქვე გეტყვით, რომ შაბათს, ბუნდესლიგის მე-3 ტურში ლევერკუზენელთა წინააღმდეგ შესაძლოა ითამაშოს "შტუტგარტის" დაცვის ლიდერმა **სერდარ ტასკიმ**, ვისაც ივლისის შუა რიცხვების შემდეგ ტრავმა აწუხებდა. შვაბების დამრიგებელი **ბრუნო ლაბადია** იმედს გამოთქვამს, რომ გამოცდილ ფეხბურთელს ძირითადში დააყენებს.

**ლევან ბიბილაშვილი**



ბრუნო ლაბადია

არსენალი




თეო უოლკოტი

# ახსენით თეოს ბორკილები

**თეო უოლკოტი** „არსენალის" კრიზისიდან გამოყვანისთვის თავდაუზოგავ ბრძოლას კისრულობს, ოღონდ ამისათვის მწვრთნელს თავდასხმაში გადაყვანას, შემოქმედებით თავისუფლებას სთხოვს. 22 წლის ფეხბურთელი „მეთოფეთა" გუნდში სულ ერთსა და იმავე პოზიციაზე თამაშობს — ჰაფბეკია, მაგრამ ახლა **არსენ ვენგერს** ოდინდელი დანაპირების შესრულებას სთხოვს: 2005 წელს, როდესაც ფრანგმა სპეციალისტმა ის „საუთჰემპტონისგან" იყიდა, 16 წლის ბიჭს მომავალი ცოტა სხვანაირად დაუხატა.

სამშაბათს, ჩემპიონთა ლიგის პლეიოფში, „უდინეზეს" კარში ერთადერთი გოლის ავტორმა ძველი ამბავი გაიხსენა: „არ დავმალავ, დაე, ყველამ იცოდეს, რომ თავდასხმაში მინდა თამაში. უკვე ექვსი წელიწადია რაც „არსენალში" გადმოვედი და მწვრთნელს ჯერ არ აუსრულებია დაპირება, რომ მოედნის შუაში გადამიყვანს. თუ გამიმართლებს და გოლებს კიდევ გავიტან, იქნებ მართლაც შემიცვალონ ამპლუა. სწორედ გამიგეთ, არანაირ ულტიმატუმს არ ვაყენებ, მაგრამ მინდა ბოსს ხმა მივაწვდინო და ვუთხრა, რომ თავდასხმაში თამაში უფრო მეხერხება. იქნებ დაფიქრდეს ამაზე".

თუმცა, უოლკოტმა კარგად იცის, რომ მარტო „არსენალის" პრობლემებს ვერ მოერევა და ამიტომაც ემუდარება ვენგერს ახალი ფეხბურთელების დამატებას. ბოლოს და ბოლოს ის ახალგაზრდობის მიუხედავად გუნდის ერთ-ერთი ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელი გახდა. უოლკოტმა ნახა, რომ კლუბი ერთ ზაფხულში დატოვეს **სესკ ფაბრეგასმა, გაელ კლიშიმ, დენილსონმა, ემანუელ ებუემ** და, ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ **სამირ ნასრიმაც**. აშკარაა, რომ ამ დანაკლისს რამენაირად შევსება სჭირდება.

„რასაკვირველია, ფეხბურთელები გაოცებულები ვართ და გვაინტერესებს, რა მოხდება. არ გვინდა ჩვენი თამაშის ხარისხი დაეცეს და გუნდი სულ ცუდად და ცუდად გამოვიდეს. იმ დღეს, „ნიუკასლთან" თამაშის წინ, ბიჭები სადილად რომ დავსხედით სუფრასთან ყველაზე ასაკოვანი მე ვიყავი, არადა ჯერ მხოლოდ 22 წლის ვარ. ეს საშიში მდგომარეობაა. წარმატებას რომ მიაღწიო, აუცილებელია ახალგაზრდები გამოცდილ მოთამაშეებს შეუზავო, თუმცა მწვრთნელმა იცის რას აკეთებს. წარსულში მას გუნდში მოუყვანია ფეხბურთელები, რომელთა შესახებ არაფერი ვიცოდით და გარკვეულა, რომ ისინი დიდი მოთამაშეები იყვნენ. რა ხდება ამჟამად ჩვენს თავს მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ გაირკვევა, მაგრამ მაინც მგონია, რომ ვენგერი ახალ ფეხბურთელებს იყიდის. თუკი რამდენიმე საუკეთესო მოთამაშეს ჰყიდი, რასაკვირველია, მათი შემცვლელიც უნდა მოიყვანო".

თეო უოლკოტი „არსენალის" ბედზე ძალიან რომ ღელავს ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ გამოჩნდა, როდესაც მან საუკეთესო ფეხბურთელების გაყიდვის წინააღმდეგ აიმაღლა ხმა. ამის მიუხედავად, ის ოპტიმისტურად არის განწყობილი, და ფიქრობს, რომ საერთო განწყობის მიუხედავად, „მეთოფეები" ამ სეზონში ყურებს არ ჩამოყრიან.

1997 წლის შემდეგ „არსენალს" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის გარეშე ერთი სეზონიც კი არ ჩაუტარებია, ახლა კი ამისი რეალური საშიშროებაა: „უდინეზესთან" 1:0 გამარჯვება იმას ნიშნავს, რომ შემდეგ ოთხშაბათს „მეთოფეებს" უდინეში დიდი ბრძოლა გადახდებათ თავს. უოლკოტი დასძენს:

„მოწინააღმდეგე ტექნიკურად ძალიან ძლიერი და სწრაფი გუნდია. უდინელებმა, პირველ შეხვედრაში ნახევარდაცვაში გვაჯობეს. საპასუხოში, რასაკვირველია, უფრო რთული თამაში გველის, რადგან ვიცით, რომ მოწინააღმდეგე მთელი ძალით შემოგვიტევს. თუმცა, ჩვენ ამ ბრძოლისთვის მზად ვართ. ბოლოს და ბოლოს სამშაბათს ჩვენ მოვიგეთ და თან ისე, რომ გოლი არ გაგვიშვია. ჩვენ ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი გვყავს, რომლებმაც იმ დღეს კარგად წარმოაჩინეს თავი და მეტოქისთვის ხიფათს წარმოადგენენ. მაგალითად, კარლ ჯენკინსონი და ემანუელ ფრიმპონგი. კარგია, რომ საპასუხო მატჩში რობინ ვან პერსი დაგვიბრუნდება - მას დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა. მეც ყველა ღონეს ვიხმარ, ყმაწვილებს მხარში რომ ამოვუდგე. ძალიან კარგად ვიცი, თუ რა მნიშვნელოვანია ვინმე შენზე გამოცდილი რომ გეხმარება. „არსენალი" ყოველთვის ახალგაზრდა გუნდად იყო ცნობილი, მაგრამ თუკი აქამდე ამას ერთგვარი გამართლების სახეც ჰქონდა, ამიერიდან ასე არ იქნება. დროა ჩვენმა გუნდმა ტიტულების მოგება დაიწყოს".

„ემირეიტ სთედიუმზე" უოლკოტისა და კომპანიის თამაშს ინგლისის ნაკრების მწვრთნელი **ფაბიო კაპელოც** ესწრებოდა. ბრიტანული პრესა ამტკიცებს, რომ კაპელო უკმაყოფილო დარჩა უოლკოტის წიგნით, სადაც ფეხბურთელს აღწერილი აქვს იტალიელის რთული ხასიათი და ინციდენტები, რომლებიც ნაკრებში მომხდარა. უოლკოტმა თქვა:

„დღეს წიგნზე ლაპარაკს არ ვაპირებ, მაგრამ გეტყვით, რომ ფაბიოს უდიდეს პატივს ვცემ და ძალიან მიხარია „უდინეზესთან" ჩვენს თამაშსა ჩემს გოლს თვალი ტრიბუნიდან რომ ადევნა".

**ილია ბაბუნაშვილი**

ტოტენჰემ ჰოთსპური



ემანუელ ადებაიორი

# ადებაიორს შეიყვარებენ, რადგან... ეზიზღებათ

„ტოტენჰემ ჰოთსპურის" თავკაცი **ჰარი რედნაპი** ამბობს, რომ 27 წლის ტოგოელი თავდამსხმელის, **ემანუელ ადებაიორის** „უაით ჰართ ლეინზე" გადასვლა გულშემატკივართა დიდ აღტაცებას გამოიწვევს, რადგან... ის „არსენალის" ფანებს სძულთ. განვმარტოთ: „არსენალი" და „ტოტენჰემ ჰოთსპური" ჩრდილოეთ ლონდონის გუნდები არიან და მათ შორის საუკუნოვანი „მტრობაა" ჩამოყალიბებული. შესაბამისად, ყველაფერი, რაც სძულთ „არსენალის" ფანებს, „ტოტენჰემის" გულშემატკივრებს უყვართ და პირიქით — ადებაიორი 2006-2009 წლებში „არსენალში" გამოდიოდა, საიდანაც კონფლიქტით გაიქცა. „მეთოფეთაგან" წასვლის შემდეგ ის „მანჩესტერ სიტის" წევრია, თუმცა 2010-2011 წლების სეზონი ისტლენდელებს ტოგოელი მადრიდის „რეალში" ჰყავდათ გაქირავებული. ბოლო დღეებში ცნობილი გახდა, რომ „დეზების" თავმჯდომარე **დენიელ ლივი** „მანჩესტერ სიტის" დირექტორატთან ადებაიორის გადაბირების თაობაზე მოლაპარაკებას აწარმოებს.

რედნაპმა თქვა: *„ადებაიორი ჩვენთან გმირი გახდება, რადგან ის „არსენალის" გულშემატკივრებს ეზიზღებათ. „ემირეით სტედიუმზე" მასზე ნაწყენები და გაბრაზებულები არიან, რაც ჩვენთან, „უაით ჰართ ლეინზე" აღაფრთოვანებთ".*

„მანჩესტერ სიტიმ" „არსენალს" ადებაიორში თავის დროზე 25 მილიონი ფუნტი გადაუხადა. გეხსომებათ, 2009 წლის სექტემბრის ამბავი, როდესაც ისტლენდზე ახალგადასული ტოგოელი „არსენალის" წინააღმდეგ ათამაშეს. ეს იყო მისი პირველი დაპირისპირება ყოფილ გუნდთან, რომელიც სკანდალით დასრულდა: მანუმ ჯერ **რობინ ვან პერსის** მიარტყა, შემდეგ კი, როდესაც გოლი გაიტანა, ნიშნის მოსაგებად მთელი მოედანი გადაირბინა და იმ ტრიბუნასთან გასრიალდა, სადაც „არსენალის" ფანები ისხდნენ. ამ საქციელისთვის მაშინ ადებაიორს სამთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. რედნაპი განაგრძობს:

*„მაშინ მე ადებაიორი დავიცავი და მან მადლობის სათქმელად დამირეკა. კარგად მახსოვს, ჩემი პოზიცია. მე ვფიქრობდი, რომ მართალია მანუმ ცოტა გადააჭარბა, მაგრამ „არსენალის" გულშემატკივრები ისეთ შეურაცხყოფას აყენებდნენ, რომ მისგან საპასუხო რეაქცია, ხოლო გოლის გატანის შემთხვევაში ნიშნის მოგება, მოსალოდნელი იყო.*

*„რეალში" ადებაიორმა ფანტასტიკურად ითამაშა. ჩემპიონთა ლიგაში ჩვენ მისი შეჩერება ვერ შევძელით. თუ ის „ტოტენჰემში" სერიოზული განწყობით გადმოვა და მართლა მოინდომებს, საოცარ შედეგებს მიაღწევს. „მანჩესტერ სიტის" მის შესახებ ჩვენი თავმჯდომარე ელაპარაკება, ამიტომ მე დეტალების შესახებ არაფერი ვიცი, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ჩვენ ადებაიორი ერთი წლით ვიქირაოთ".*

საქმე ის გახლავთ, რომ „მანჩესტერ სიტიში" ემანუელ ადებაიორის გასამრჯელო კვირაში 170 ათასი ფუნტია და „დეზები" ისტლენდელებს სწორედ ამ ფულის გადახდაზე ელაპარაკებიან. „სიტის" ტოგოელი არ სჭირდება, „ტოტენჰემს" - პირიქით, მაგრამ მისთვის ამხელა ხელფასის გადახდა არ შეუძლია. ამიტომაც არკვევენ კლუბები, ხსენებული 170 ათასიდან რომელი რამდენს გადაიხდის.

რედნაპმა ადებაიორის გარდა **ლუკა მოდრიჩზეც** ილაპარაკა და პირველად თქვა, რომ 25 წლის ხორვატი შეიძლება გაყიდონ. რედნაპის აზრით, ეს შეიძლება „ტოტენჰემ ჰოთსპურს" უკეთესი გუნდის აშენებაში დაეხმაროს. „დეზების" თავკაცს ადებაიორის გარდა **ლასანა დიარასა და სკოტ პარკერის** ყიდვაც უნდა.

ლივიმ „ჩელსის" 27 მილიონ ფუნტად მოდრიჩის მიყიდვაზე უარი შეუთვალა, თუმცა „სფურზის" თავკაცს კარგად ესმის, რატომ უნდა ხორვატს „სტემფორდ ბრიჯზე" გადაბარგება. კაცმა რომ თქვას, ეს ძნელი მისახვედრი არ არის:

*„ეჭვი არ მეპარება, რომ ტოტენჰემელებს ძალიან გვიყვარს ჩვენი კლუბი, მაგრამ როდესაც ხელფასის გასამმაგებას გთავაზობს კლუბი, რომელმაც შესაძლოა ჩემპიონთა ლიგაც მოიგოს, უარის თქმა ძალიან ძნელია. მე, რა საკვირველია, მოდრიჩის დატოვებას ვისურვებდი, მაგრამ თუ მისი წასვლა გარდაუვალია, მაშინ რაც მალე გავუშვებთ, მით უკეთესი იქნება, რადგან იმ ფულად, რასაც მის სანაცვლოდ მოგვცემენ, რამდენიმე ფეხბურთელის ყიდვა შეიძლება. ერთი სიტყვით, ჩვენ შეგვიძლია ის გავყიდოთ, შემოსული ფულით სამი-ოთხი ფეხბურთელი ვიყიდოთ და გაცილებით ძლიერი „ტოტენჰემ ჰოთსპური" მივიღოთ. როგორ და როდის დამთავრდება ეს ყველაფერი? ამაზე ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან თავმჯდომარეს მოდრიჩის დაკარგვა არ უნდა".*

ცნობისათვის: „ჩელსის" უპირველეს ამოცანად მოდრიჩის შეძენა აქვს დასახული, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ ამ საქმიდან არაფერი გამოვა, სათადარიგო ვარიანტად „ლივერპულიდან" **რაულ მეირელეშის** წამოყვანასაც განიხილავს. შეგახსენებთ, რომ იმ შემთხვევაში თუ „სფურზი" სატრანსფერო თანხას არ იკმარებს, „ჩელსი" ფულის გარდა **იოსი ბენაიუნსაც** შესთავაზებს.

ლივერპული

# ლივერპული სატრანსფერო უღელკეპილზეა

„ლივერპულის" თავკაცი **კენი დალგლიში** სადაცაა „ბოლტონიდან" **გარი კეჰილის** გადაბირების საკითხს მოაგვარებს. კეჰილი, მოგეხსენებათ, 25 წლის მცველია, რომელსაც სამჯერ ინგლისის ნაკრებშიც კი უთამაშია. ამბობენ, რომ მერსისაიდელები „ბოლტონს" კეჰილის სანაცვლოდ მხოლოდ ფულს კი არ გადაუხდიან, არამედ ფეხბურთელსაც დაუმატებენ.

დალგლიში მცველს მთელი ზაფხულია ეძებს და მთელი ამ ხნის განმავლობაში, კონკრეტულად კეჰილის ვარიანტსაც განიხილავს, მაგრამ ბოლტონელს „არსენალიც" უტრიალებს. დალგლიშის წინადადება ასეთია: 10 მილიონი ფუნტი და ზედაც ორი კაცი, **დავიდ ნგოგი** და 16 წლის თავდამსხმელი **რაჰიმ სტერლინგი.**

„ბოლტონის" მცველმა პრემიერლიგის პირველ ტურში თავი გამოიჩინა: „ქუინზ პარკ რეინჯერსთან" შეხვედრაში (ეს თამაში „ბოლტონმა" ლონდონში მოიგო 4:0) ძალიან ლამაზი გოლი გაიტანა. ამის შემყურე მწვრთნელმა **ოუენ კოილმა** განაცხადა, რომ მისი ფეხბურთელი არსად წავა, თუმცა ბიზნესი ბიზნესია - თუკი სხვადასხვა რგოლში მოთამაშეების დამატება და გუნდის გაძლიერება სურს, „ბოლტონი" იძულებული გახდება კეჰილი გაყიდოს და ფეხბურთელებიცა და ფულიც ამ გზით იშოვოს. შეგახსენებთ, რომ სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე ანუ 31 აგვისტომდე ჯერ კიდევ არის დრო.

ზემოთ ვახსენეთ, რომ გარი კეჰილის შეძენა „არსენალსაც" სურს. გაზეთები წერენ, რომ „მეთოფეთა" თავკაც **არსენ ვენგერს სესკ ფაბრეგასის** გაყიდვის შემდეგ ანგარიშზე 40 მილიონი ფუნტი დაუჯდა და ეს თანხა შეუძლია ლაზათიანად ხარჯოს.

„ლივერპულს" კეჰილის გარდა „სტოკ სიტის" 14 მილიონ ფუნტად შეფასებული მცველი, 23 წლის **რაიან შოუკროსიც** ჰყავდა მიზანში ამოღებული, მაგრამ სტოკელთა მწვრთნელმა **ტონი პულისმა** კატეგორიულად განაცხადა, რომ შოუკროსს არ გაყიდის. მერე, რაც „ლივერპულში" მწვრთნელად დაბრუნდა დალგლიშმა ტრანსფერებში უკვე 100 მილიონ ფუნტზე მეტი დახარჯა, თუმცა „წითლების" ბანაკიდან სატრანსფერო აქტიურობას კიდევ უნდა ველოდოთ, რადგან მათ მიზნად „მანჩესტერ იუნაიტედთან", „სიტისთან", „ჩელსისა" და „არსენალთან" გაჯიბრება აქვთ დასახული.



გარი კეჰილი

მანჩესტერ სიტი

# ბიჭი კუნი არგენტინიდან

„მანჩესტერ სიტის" ახალშენაძენს, 23 წლის **სერხიო აგუეროს** ნება დართეს მაისურზე ოფიციალურად თავისი ზედმეტსახელი **კუნი** ეწეროს. მიაქცევდით ყურადღებას, რომ ორშაბათს, „ეტიჰედ სთედიუმზე", „სუონსი სიტისთან" შეხვედრაში, აგეურო მოედანზე სწორედ ასეთი წარწერით შევიდა — 16 ნომრიან მაისურს არა სერხიო აგუერო არამედ კუნ აგუერო ეწერა.

ინგლისური საზოგადოებისთვის უცნობი იყო რას ნიშნავს და საიდან მოდის ეს სიტყვა - „კუნი". ფეხბურთელმა განმარტა, რომ კუნი მას, ჯერ კიდევ ბავშვობაში, ბებიამ და პაპამ შეარქვეს. თურმე ნუ იტყვით და ისინი პატარა სერხიოს იაპონური მულტფილმის გმირ „კუმ კუმს" ამსგავსებდნენ. „კუმ კუმი" პატარა ბიჭუნაა, რომელიც სულ ხიფათში ვარდება.

აგუეროს, მაისურზე, „ატლეტიკოში" თამაშის დროსაც კუნი ეწერა. პრემიერლიგის წარმომადგენელმა თქვა:

*„თუკი დადასტურდება, რომ ფეხბურთელი სხვა ლიგაშიც იმავე სახელით ჰყავდათ რეგისტრირებული, მაშინ არანაირი პრობლემა არ არსებობს".*

გვერდი მოამზადა
ილია **ბაბუნაშვილმა**



კუნ აგუერო


კუმ კუმი

ჩელსი

# მატარებელი ნავიდაო


ხუან მატა

„ჩელსის" „ვალენსიასგან" 23 წლის **ხუან მატას** ყიდვა უნდოდა, მაგრამ უარი მიიღო. როგორც კი „ლურჯების" თავკაცმა **ანდრე ვილაშ-ბოაშმა** შეიტყო, რომ მატაზე თვალი „არსენალსა" და „ტოტენჰემ ჰოთსპურსაც" ეჭირათ, მეპატრონე **რომან აბრამოვიჩი** დააჩქარა — ოთხშაბათს ვალენსიელებმა ლონდონიდან წინადადება მიიღეს, რომლის მიხედვითაც მატას სანაცვლოდ 18 მილიონ ფუნტს ანუ 20,5 მილიონ ევროს ახლავე მიიღებდნენ, ხოლო 4 მილიონს მოგვიანებით, მაგრამ უარი თქვეს. „ვალენსიას" ფეხბურთელთან განშორება არ უნდა, თუმცა, ტაბლოიდებმა გამოჩხრიკეს, რომ თავად მოთამაშეს ძალიანაც სურს „სტემფორდ ბრიჯზე" გადაბარგება.

გაზეთებში ისიც დაიწერა, რომ დასავლეთლონდონელები მატას ხელში ჩასაგდებად ყველა ღონეს იხმარენ და ასე იოლად არ დანებდებიან. ამბობენ, რომ აბრამოვიჩი პირადად გადაფრინდება ესპანეთში „ღამურების" პრეზიდენტ **მანუელ ლორენტესთან** მოსალაპარაკებლად.

**რომა**

## ტოტი: კასანოსთან არ ვმეგობრობ

"კორიერე დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "რომას" მესვეურები **ანტონიო კასანოს** გადაბირების საკითხით დაკავდნენ, აღნიშნული ინიციატივა კი თითქოს, **ფრანჩესკო ტოტისგან** მოდიოდა. თითქოს კი იმიტომ, რომ ჩესკომ მეორე გამოცემას, "გაძეტა დელო სპორტს" მისცა კომენტარი და გავრცელებული ცნობა უარყო:

*"კასანოსთან მეგობრული ურთიერთობა ნამდვილად არ მაკავშირებს და ვერ ვხვდები საიდან ვრცელდება ასეთი აბსურდული ინფორმაციები. მისი ტელეფონის ნომერიც კი არ მაქვს და სულ რომ ძალიან მინდოდეს, არც კი ვიცი როგორ უნდა დავუკავშირდე. თანაც, კლუბის სატრანსფერო პოლიტიკაში არ ვერევი და სიმართლე გითხრათ, არც მაქვს სურვილი რომ ჩავერიო. არ უარვყოფ, იყო დრო, როდესაც ბევრ რამეს მე ვწყვეტდი, მაგრამ ის დრო წარსულს ჩაბარდა – ტრანსფერებით სულ სხვა ადამიანები არიან დაკავებულნი და მათ კომპეტენციაში ჩარევის სურვილი ნამდვილად არ მაქვს".*

**ლაშა ნიკლაური**



ერთ დროს მეგობრობდნენ

**მილანი**

## ალეგრი ანტონინის ვერ შეელია

ტურინის "იუვენტუსის" მესვეურები არ ცხრებიან და აქტიურ სატრანსფერო კამპანიას აგრძელებენ. ბოლო ინფორმაციით, კლუბის სპორტული დირექტორი **ჯუზეპე მაროტა** "მილანის" მესვეურებს შეეხმიანა და **ლუკა ანტონინის** ტრანსფერის შესახებ ჩამოუგდო სიტყვა. ლომბარდიულ გრანდში განაპირა მცველების დეფიციტი ნამდვილად არ არის და სავარაუდოდ, ანტონინის



თადარიგში მოუწევს ყოფნა, "იუვეში" კი მას მხოლოდ **რეტო ციგლერისთვის** უნდა გაეწია კონკურენცია. ერთი სიტყვით, ტურინელებმა მილანელებს თანხის დასახელება სთხოვეს და თუ რა პასუხი მიიღეს, ამის შესახებ **ადრიანო გალიანისგან** შეიტყობთ:

*"ანტონინის შესახებ მასიმილიანო ალეგრის ვესაუბრე და მან პირდაპირ მითხრა, რომ ლუკაზე დიდ იმედებს ამყარებს. შესაბამისად, მისი სხვა გუნდში გაშვების შესაძლებლობა გამოირიცხა, მიუხედავად იმისა, რომ ტურინელები საკმაოდ სარფიან წინადადებას გვთავაზობდნენ. ამ დროისთვის, თითოეულ პოზიციაზე ორი-სამი მაღალი კლასის ფეხბურთელი გვყავს, რაც წარმატების მთავარი წინაპირობა იქნება. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ყველა რგოლი თანაბრად არის დაკომპლექტებული და ახალი სეზონისთვის 100%-ით მზად ვართ".*

**ლაშა ნიკლაური**

**ფიორენტინა**



სტევან იოვეტიჩი

# იოვეტიჩი არსად არ მიდის

## ვიოლამ ხარჯა დაიმატა

**სტევან იოვეტიჩის "ფიორენტინადან" შესაძლო აზარგების შესახებ იტალიურ პრესაში აქტიურად იწერება, თუმცა როგორც ჩანს, ეს ყველაფერი უბრალო ჭორებია და ჩერნოგორიელი შემტევი არსად წასვლას არ აპირებს. ამის შესახებ მან "კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტთან ისაუბრა.**

### მომავალი

საერთოდ, შორსმიმავალ გეგმებს არასდროს ვისახავ, დღეს კი თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ფლორენციაში თავს შესანიშნავად ვგრძნობ და არსად წასვლას არ ვაპირებ. კლუბთან ხელშეკრულების ვადა 2013 წლის ივლისს მეწურება და იქამდე კიდევ დიდი დროა დარჩენილი. თუ "ფიორენტინას" მესვეურები კონტრაქტის გახანგრძლივებას შემომთავაზებენ, არც კი დავფიქრდები ისე მოვაწერ ხელს, რადგან ამ გუნდის წინაშე ვალში ვარ. ყველაზე რთულ სიტუაციაში, კლუბის მესვეურებიც, თანაგუნდელებიც და გულშემატკივრებიც გვერდში დამიდგნენ, რასაც ვერასდროს დავივიწყებ.

### ტრავმა

ტრავმა სრულად მოვიშუშე და თავს უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობ. ბევრი მეკითხება, მაქვს თუ არა ტრავმის გამეორების შიში, რამაც შეიძლება ფეხბურთის თამაშში ხელი შემიშალოს - ნამდვილად არა და არც მექნება, რადგან სპორტის უპირველესი სახეობის გარეშე ცხოვრება უბრალოდ ვერ წარმომიდგენია. აქტიურად ვვარჯიშობ და ერთი სული მაქვს როდის დაიწყება ახალი სეზონი, რათა დაკარგული ავინაზღაურო. ვფიქრობ, რომ "ფიორენტინა" უკეთესი გუნდი იქნება, ვიდრე გასულ სეზონში. მართალია, სატრანსფერო ბაზარზე დიდად არ ვაქტიურობთ, მაგრამ სამაგიეროდ, უფრო მეტად გამოცდილები ვართ და გუნდშიც საოცრად კარგი ატმოსფეროა.

### მიზანი

მიზანი ნებისმიერ შემთხვევაში ევროსაგზურის მოპოვება იქნება და თუ სამეულში შევძვერით, ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ექნება. ძნელია დაპირდე გულშემატკივარს, რომ აუცილებლად მოიპოვებ ჩემპიონთა ლიგის საგზურს, მაგრამ ერთს კი დანამდვილებით ვიტყვი, თითოეულ შეხვედრაში ბოლომდე ვიბრძოლებთ. "ფიორენტინა" დიდი ტრადიციების გუნდია და აუცილებლად მაღალი მიზნებისთვის უნდა იბრძოდეს. ეს გულშემატკივართა დაკვეთაა, რომელსაც ბლომდე ვაცნობიერებთ.

ამასობაში, "ფიორენტინასთან" დაკავშირებით საინტერესო ცნობა გავრცელდა, რომლის მიხედვითაც მომდევნო სეზონიდან გუნდის ღირსებას **ჰუსეინ ხარჯა** დაიცავს. ფლორენციული კლუბის მესვეურებმა მის სანაცვლოდ "ჯენოას" ბიუჯეტში 3 მილიონი ევრო გადარიცხეს. "ვიოლას" სპორტული დირექტორი **პანტელეო კორვინო** აღნიშნულმა ტრანსფერმა ძალიან გაახარა:

*"ნახევარდაცვა გაძლიერებას საჭიროებდა და ხარჯას გადაბირებით ამ მიმართულებით დიდი ნაბიჯი გადავდგით. ვპირდები გულშემატკივრებს, რომ სატრანსფერო ბაზარზე გავაქტიურდებით და გუნდს კიდევ არაერთი ფეხბურთელით გავაძლიერებთ. კონკრეტულ გვარებს დღეს ვერ ჩამოგითვლით, მაგრამ მალე ყველაფერი გადაწყდება და გაცხადდება კიდეც".*

**ლაშა ნიკლაური**

**ინტერი**

# მილიტო ტიფოზებს ამშვიდებს

მართალია, **სამუელ ეტოოს** "ანჟიში" გადაბარგების ამბავი ჯერ არ გაფორმებულა, მაგრამ ამ საქმეს წინ პრაქტიკულად აღარაფერი უდგას. კამერუნელი ფორვარდის ღირსეული შემცვლელის მოძებნა იოლი არ იქნება, ამიტომ, არ არის გამორიცხული **ჯანპიერო გასპერინის** არსებული რესურსით მოუწიოს ფონს გასვლა. ანუ, არის შანსი, მომდევნო სეზონში "ნერაძურის" თავდასხმის ხაზი **ჯანპაოლო პაცინისა** და **დიეგო მილიტოს** ტანდემმა შეადგინოს. გულშემატკივრებს მოვლენათა ასეთი განვითარება მაინც და მაინც არ ხიბლავთ და სოციალურ ქსელში ერთი ამბავი აქვთ ატეხილი – მილიტო კი ტიფოზებს ამშვიდებს და გოლებს ჰპირდება:

*"გულშემატკივრებს ნერვიულობის საბაბი ნამდვილად არ აქვთ, რადგან თავს შესანიშნავად ვგრძნობ და ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება ახალი სეზონი. მართალია, ბევრმა ჩამომწერა, მაგრამ პირადად მე, დარწმუნებული ვარ, რომ კიდევ შემიძლია უმაღლეს დონეზე თამაში. 2009/2010 წლების სეზონი საუკეთესო იყო ჩემს კარიერაში და ვგრძნობ, რომ შემიძლია ანალოგიური გავიმეორო. საერთოდ, დაპირებები არ მიყვარს, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც მაქვს საფუძველი ოპტიმისტური განცხადება გავაკეთო".*

**ლაშა ნიკლაური**



**კვირის ფრაზები და ფაქტები**

### სესკის ბოდიში არსენალის ფანებს

ლონდონის „არსენალის" ექსკაპიტანმა **სესკ ფაბრეგასმა** იმაზე ისაუბრა, თუ როგორ მოხდა მისი ტრანსფერი მშობლიურ „ბარსელონაში" და ასევე „მეთოფეთა" ფანებს ბოდიშიც მოუხადა. ესპანელი ნახევარმცველი „სქაი სპორტსთან" ინტერვიუში აცხადებს: *„ვიხდი ბოდიშს იმისთვის, რომ არ გითხარით არაფერი „ბარსელონაში" ჩემს გადასვლასთან დაკავშირებით - „არსენალმა" ამიკრძალა ამ თემაზე საუბარი, მე თქვენთვის მინდოდა კიდეც მეთქვა ეს, ფანებო, მაგრამ... თქვენთან ძალიან მაგარი ურთიერთობა მქონდა და ვწუხვარ, ასე რომ მოხდა. მე მხოლოდ მადლობის თქმა შემიძლია ამ ბრწყინვალე გუნდის ბრწყინვალე ფანებისთვის, რაც მათ ჩემთვის გააკეთეს. მე კლუბის წარმატებისთვის თავს ვდებდი, ეს ყველამ იცის - ახლა კი ეს წარსულის კუთვნილებაა. აქედან წასვლა ძალიან გამიჭირდა - აქ სამი ცხოვრება გავატარე".*

### ინგლისი ძალიან მოეწონებაო

„ტოტენჰემ ჰოთსპურის" ჰოლანდიელი ნახევარმცველი **რაფაელ ვან დერ ვაარტი** მიიჩნევს, რომ მისი თანამემამულე **უესლი სნეიდერი** „მანჩესტერ იუნაიტედის" სათამაშო სქემაში მშვენივრად ჩაჯდება. *„რა თქმა უნდა, სნეიდერს ინგლისში თამაში ძალიან სურს. ეს ევროპაში ყველაზე მაგარი ჩემპიონატია და დარწმუნებული ვარ, მას აქაურობა ძალიან მოეწონება,* — ამბობს ვან დერ ვაარტი — *უესლი ჩემი ახლო მეგობარია, ერთმანეთს თითქმის ყოველდღე ვეხმიანებით, ასე რომ, მან კარგად უწყის პრემიერლიგის შესახებ. ვფიქრობ, სნეიდერი „იუნაიტედს" საკმაოდ კარგად შეეწყობა".*

### აუ, დაეწიე რომარიოს!

„მანჩესტერ სიტის" მთავარი მწვრთნელი **რობერტო მანჩინი** თვლის, რომ **სერხიო აგუეროს** შეუძლია იმდენივე გოლის გატანა, რამდენიც ლეგენდარულმა ბრაზილიელმა **რომარიომ** შეაგდო მეტოქეთა კარში — ანუ 1000 გოლის. სენიორ მანჩინიმ „დეილი მეილთან" ინტერვიუში განაცხადა: *„აგუეროს რომარიოს თამაშის სტილს ცოტატი მაინც ვამსგავსებ. ის 100%-ით მზად ჯერ კიდევ არ არის და როცა იქნება, ხომ წარმოგიდგენიათ, რამხელა ძალა იქნება? მე მწამს, რომ აგუერო რომარიოს დაეწევა გატანილ გოლებში".*

### კვირის მატჩი: ბარსა-რეალი

ეს, რასაკვირველია, კვირის მატჩია. მაყურებელმა ძალიან დაძაბული, საინტერესო მატჩი იხილა და პლუს ამას, ხუთი გატანილი გოლი. ამ მატჩის უდავო გმირი კი **ლიონელ მესია**, რომელზედაც ქვემოთ გესაუბრებით.

### კვირის გმირი: ლიონელ მესი

არგენტინელმა ვარსკვლავბიჭუნამ ესპანეთის სუპერთასის შეხვედრაში, სადაც კატალონიის „ბარსელონამ" მადრიდის „რეალს" სძლია 3:2, მან ორი გოლი ხომ გაიტანა და ზედ **ანდრეს ინიესტას** დააყოლა შესანიშნავი საგოლე გადაცემა. მთლიანად მატჩში ჩვეულ დრიბლინგებს ვერ ახორციელებდა მესი, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში „გამხეცდა" და, აი, შედეგიც!

### კვირის ანტიგმირი: დავიდ დე ხეა

მას შემდეგ, რაც „მანჩესტერ იუნაიტედმა" **ედვინ ვან დერ სარის** შემცვლელის ძებნა დაიწყო და **დავიდ დე ხეა** შეიძინა (მადრიდის „ატლეტიკოდან"-ს 20 მილიონ ფუნტ სტერლინგად). ცოტა არ იყოს, ჯერჯერობით წყალში გადაყრილია ეს ფული. „ქომიუნითი შილდზეც" და პრემიერლიგის პირველ ტურშიც დე ხეამ უხეში შეცდომები დაუშვა, რის გამოც ჩვენ კვირის ანტიგმირად მივიჩნიეთ.

**გიორგი ფულარიანი**

## უცხოური ფეხბურთი

● ბაიერნი

# ვნებათაღელვა ჰოლივუდში


ული ჰოენესი

**ოლივერ კანის** მიერ **ფილიპ ლამისა** და **ბასტიან შვაინშტაიგერის** მწვავედ გაკრიტიკების შემდეგ თემა აქტუალობას არ კარგავს. შეგახსენებთ, "ბაიერნის" ექსკაპიტანმა ყოფილ თანაგუნდელებს მშიშრები და ეგოისტები უწოდა, პირველ რიგში თავიანთ ინტერესებზე ფიქრობენ და არა გუნდზეო. ყოველივე ამაზე რეკორდმაისტერთან დაკავშირებულმა ლამის ყველა ავტორიტეტულმა ადამიანმა გამოთქვა თავისი აზრი. ბუნებრივია, მოვლენებს შორიდან ვერ და არ დააკვირდებოდა მიუნხენელთა ენაჭარტალა ბოსი **ული ჰიონესი**. ბატონი პრეზიდენტი კანის მოქმედებით აღშფოთებულია. *"ვეთანხმები იმ ადამიანების მოსაზრებებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ არანაირი აუცილებლობა არ იყო, კანს თავისი მოსაზრებები რაღაც სულელურ ბლოგებზე დაეფიქსირებინა. მისი კრიტიკა ისევე გვჭირდებოდა ამწუთას, როგორც ძაღლს სჭირდება მეხუთე ფეხი. თუკი კონკრეტული პრეტენზია აქვს, ჯობია, ეს პირადად გაანდოს ფეხბურთელებს და არა ინტერნეტის საშუალებით, რადგან ამის შესახებ მთელი მსოფლიო ათ წამში გაიგებს,"* – განაცხადა ჰიონესმა.

მართალია, **ფრანც ბეკენბაუერი** "ბაიერნში" მხოლოდ საპატიო პრეზიდენტია, მაგრამ მის აზრს გერმანიის მრავალგზის ჩემპიონთა ბანაკში ყოველთვის უსმენდნენ. "შპორტ აინცი" დაუკავშირდა კაიზერს და კომენტარი სთხოვა. აი, რას ამბობს ის: *"მე შემიძლია გავუგო ოლივერ კანს, რადგან ჩვენი გუნდი ყოველთვის იგებდა ტიტულებს და ყოველთვის ჰყავდა ისეთი ძლიერი ინდივიდუალისტები, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში შეეძლოთ თანაგუნდელთა დამუხტვა და გამარჯვებებისკენ მათი გაძღოლა. ახლა კი გუნდში ასეთებს ვერ ვხედავ"*.

მართალია, "ბაიერნს" ოფიციალურად არ განუცხადებია სატრანსფერო კამპანიის დასრულების შესახებ, მაგრამ ეჭვი ცოტას თუ ეპარება, რომ მიუნხენელები წელს აღარავის შეიძენენ. მით უფრო, რომ გუნდმა ფეხბურთელებში 44,1 მილიონი ევრო დახარჯა. ამის მიუხედავად "ფუტბოლ იტალია" წერს, "ფიორენტინას" ცენტრალური ნახევარმცველი **რიკარდო მონტოლივო** "რეკორდმაისტერის" ინტერესის სფეროშიაო. 26 წლის ფეხბურთელს "იებთან" კონტრაქტი 2012 წელს უმთავრდება, მან კი გახანგრძლივებაზე უარი თქვა. პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ რიკარდო ფლორენციას დატოვებს. "ფიორენტინა" მასში 10 მილიონ ევროს ითხოვს. "სკუადრა აძურის" წევრში ეს თანხა ბევრი ნამდვილად არ არის. მონტოლივოს შეძენა "მილანსაც" უნდა.

"ბაიერნს" გერმანიაში **მარიო გიოტცესადმი** ინტერესსაც მიაწერენ. მანშაფტის 19 წლის გამთამაშებელი სამშობლოში ყველაზე იმედის მომცემ ფეხბურთელად მიიჩნევა. შესაბამისად, მისით დაინტერესება გასაკვირი სულაც არ არის. დორტმუნდელებს ფეხბურთელზე სიტყვა უკვე ჩამოუგდო "მანჩესტერ იუნაიტედმა". რურელთა პრეზიდენტმა **ჰანს-იოახიმ ვატცკემ** "ალისფერი ეშმაკების" გასაგონად განაცხადა, შეუძლიათ მარიოზე რამდენიც უნდათ იმდენი იოცნებონო, მიუნხენელებს კი იმედი მთლად გადაუწურა: *"ბაიერნში" შეუძლიათ დრო და ენერგია დაზოგონ და გიოტცეს ტრანსფერზე არც იფიქრონ. თუკი ჩვენ ოდესმე მაინც დავთანხმდით ფეხბურთელის გერმანიის შიგნით გაყიდვას, ჩათვალეთ, რომ ჭკუიდან გადავედით. მარიო გერმანიაში სხვა კლუბში არასოდეს ითამაშებს"*.

● მარსელის ოლიმპიკი

# მარსელის პლუსი და მინუსი


ზეგამოცდილი ჯიმი ტრაორე მარსელის დაცვას გააძლიერებს

როგორც ჩანს, მარსელის "ოლიმპიკის" ხელმძღვანელობამ საბოლოოდ გადაწყვიტა, **ლუჩო გონსალესი** მიმდინარე სეზონის ბოლომდე შეინარჩუნოს, ხოლო თუ შანსი მიეცემა, არგენტინელთან თანამშრომლობა გააგრძელოს. სწორედ ეს მიზეზია, რომ ველოდრომელებმა "არსენალს" ლუჩოს ერთწლიან იჯარაზე უარი სტკიცეს. სამხრეთამერიკელი ვარსკვლავის ირგვლივ ზაფხულზე უამრავი ჭორი გავრცელდა. ესპანურმა ვებგვერდებმა ისიც კი დაწერეს, "მალაგაში" გადასვლა გადაწყვეტილი ამბავიაო, მაგრამ საკითხის მოგვარება ასე იოლი არ აღმოჩნდა. ფრანგებმა ტრანსფერზე უარი თქვეს. მერე იტალიურმა პრესამ ატეხა ვაი-უშველებელი, ლუჩო კარიერას "რომაში" გააგრძელებსო, მაგრამ არც ეს ხმები გამართლდა. ყველაფერს წერტილი თითქოს **დეშამის** ულტიმატუმის შემდეგ უნდა დასმოდა, როცა მწვრთნელმა განაცხადა, კონკრეტულ თარიღამდე ფეხბურთელს წაიყვანენ ან ის ჩვენთან დარჩებაო. მას შემდეგ ერთი თვე გავიდა. და აი, გამოჩნდა "არსენალი". რატომ შეიძლებოდა დაინტერესებულიყვნენ "მეთოფეები" 30 წლის ცენტრალური ნახევარმცველით, ამის მოყოლით თავს აღარ შეგაწყენთ. ახლა კი "მარსელის" სპორტული დირექტორის **ჟოზე ანიგოს** კომენტარს შემოგთავაზებთ: *"ჩვენ იმისთვისაც კი არ ვართ მზად, რომ ლონდონელთა წინადადება განვიხილოთ. ლუჩოს არსადაც არ ვუშვებთ. ის მშვენიერ ფორმაშია, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ორი კვირით ადრე მასთან განშორება ალოგიკურია, რადგან ამ დროში ჩვენ მის შემცვლელს ვერსად ვნახავთ"*.

"ლავალის", "ლივერპულის", "ჩარლტონის", "პორტსმუთისა" და "მონაკოს" ყოფილი უნივერსალი მცველი **ჯიმი ტრაორე** კარიერას "ველოდრომზე" განაგრძობს. მართალია ამის შესახებ მარსელელთა ოფიციალური საიტი დუმს, მაგრამ სხვა წყაროები ამბავს გადაწყვეტილად მიიჩნევენ. 31 წლის ფეხბურთელმა "მონაკოსთან" ერთად ლიგა 2-ში თამაში არ მოისურვა და კლუბთან კონტრაქტი გაწყვიტა. *"მოხარული ვარ, რომ ისეთ დიდებულ გუნდთან ვითანამშრომლებ, როგორიც "მარსელია". ის საფრანგეთის ყველაზე პოპულარული გუნდია, იქ ასპარეზობა ჩემთვის დიდი პატივი იქნება. დიდი ინტერესით ველოდები დიდიე დეშამთან მუშაობის დაწყებას,"* – განუცხადა ჯიმიმ ჩვენს ფრანგ კოლეგებს.

სეზონი დასრულებული არ იყო, რომ დეშამმა თანამშრომლობის ერთი წლით გახანგრძლივება შესთავაზა **ედუარ სისეს**. 33 წლის ვეტერანმა ჯერ თანხმობა თქვა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და 1-ლი ივლისიდან თავისუფალი აგენტი შეიქნა. მოსალოდნელია, რომ უახლოეს დღეებში ის "ოსერთან" ორწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს.

● ჰოლანდიური ამბები

# აქეთ-იქით ერედივიზიეში

"ვაალვაიკმა" „აიაქსის" 24 წლის ყოფილი ნახევარმცველი **ევანდერ სნო** გადაიბირა და მასთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსენებთ, რომ "ბრისტოლ სიტიში" იჯარით ასპარეზობისას, 2010 წლის გაზაფხულზე ევანდერს შუა ვარჯიშისას გულის შეტევა დაემართა. რომ არა ექიმების დროული ჩარევა, ტრაგედია გარდაუვალი იქნებოდა. ამის შემდეგ სნო ფეხბურთს მთელი წლით ჩამოშორდა. ექიმები აცხადებდნენ, რომ ის ველარ შეძლებდა პროფესიული კარიერის განახლებას, მაგრამ გამოჯანმრთელების პროცესი კარგად წარიმართა, შედეგად სნო ფეხბურთს დაუბრუნდა. და აი, მისი მდგომარეობა "ვაალვაიკის" ექიმებმა დამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს. სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ, კლუბს მასთან კონტრაქტის გაფორმების უფლება მისცეს.

"ალკმაარმა" "ჰერენვენის" 23 წლის შემტევ ნახევარმცველ **როი ბეერენსთან** 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. სატრანსფერო თანხას მხარეები არ ახმაურებენ. როის იმედი აქვს, რომ **ბერტ ვან მაარვიკი** ამის შემდეგ მას მეტ ყურადღებას მიაქცევს. "ნარინჯისფრებში" აქამდე მას ერთადერთი მატჩი 2010 წელს უკრაინის ნაკრებთან აქვს ჩატარებული. *"ალკმაარი" ჩემთვის წინ გადადგმული ნაბიჯია. ეს გუნდი შემტევ ფეხბურთს თამაშობს, რაც ჩემს სათამაშო სტილში ჯდება. გერტიან ფერბეეკთან წლების წინაც მიმუშავია, ვიცი, რომ მაღალი დონის მწვრთნელია. მან ჩემს კარიერულ წინსვლაში დიდი როლი ითამაშა,"* – აცხადებს ფეხბურთელი.


როი ბეერენსი ალკმაარში ნაკრებში მოხვედრის იმედად გადავიდა

"ეინდჰოვენმა" "როდასთან" ერთწლიანი საიჯარო ხელშეკრულება გააფორმა და 24 წლის მეკარე **პშემისლავ ტიტონი** დაიბევა. კონტრაქტით გათვალისწინებულია ისიც, რომ თუკი ფეხბურთელის სამსახურით პსვ-ში კმაყოფილნი დარჩებიან, სეზონის ბოლოს მასთან სრულფასოვანი კონტრაქტიც გაფორმდება. პოლონელი ფილიპსელთა რიგებში შვედი **ანდრეას ისაკსონის** შემცვლელად განიხილება, ვისი კონტრაქტიც 2012 წელს იწურება და ვინც სამომავლო თანამშრომლობაზე კატეგორიულ უარს ამბობს.

● კიევის დინამო

# შევას შვებულება


ანდრეი შევჩენკოს ოპერაცია არ დასჭირდება

უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურში "არსენალის" წინააღმდეგ შეხვედრაში **ანდრეი შევჩენკოს საულიუს მიკოლიუნასის** ხელი ყბაში ისეთი ძალით მოხვდა, ვეტერანი ნოკდაუნში ჩავარდა. ექიმებმა მას სახე გაუყინეს და თამაშის ნება მისცეს, მაგრამ რამდენიმე წუთში ტკივილი აუტანელი გახდა. **იური სიომინმა** ის მინდვრიდან გაიყვანა. მას მერე, რაც გაირკვა, რომ ფეხბურთელს ძვალი აქვს ჩამტვრეული, კლუბის ხელმძღვანელობამ ვარსკვლავი ჩარტერული რეისით მილანს აფრინა, რათა გამოკვლევა საუკეთესო სპეციალისტებთან გაევლო. კონსილიუმში მონაწილეობდნენ "მილანისა" და "დინამოს" ექიმები, ასევე ავტორიტეტული იტალიელი ექიმი-ორთოდონტი და ინგლისელი ნეიროქირურგი. საბოლოოდ გამოირიცხა ტვინის შერყევა და ოპერაციის საჭიროება, მაგრამ დადგინდა, რომ ფეხბურთელს უახლოესი 10 დღის განმავლობაში სპეციალური ნილბით მოუწევს სიარული, ამის შემდეგაც 20-21 დღე კი ყოველგვარი ფიზიკური დატვირთვა აკრძალული ექნება.

კიეველთა წამყვანმა ნახევარმცველმა **ოლეგ გუსევმა** ბოლო ვარჯიშებზე მუხლის ტრავმა მიიღო და გუნდს გარკვეული დროით ჩამოშორდა. ვარაუდობენ, რომ ვარჯიშს ის ყველაზე ადრე 7-10 დღეში დაიწყებს, თუმცა გადაწყვეტილი ჯერ არაფერია. ბოლოს კი ერთ სასიხარულო ინფორმაციას მოგაწვდით: მცველმა **ტარას მიხაილიკმა** ტრავმა მოიშუშა და უახლოეს დღეებში საერთო ჯგუფთან ერთად ვარჯიშს შეუდგება. მას 26 აგვისტოს ევროპის ლიგის პლეიოფში ბულგარულ "ლიტექსთან" ასპარეზობა უკვე შეეძლება.

● პარი სენ-ჟერმენი

# ულტიმატუმი კომბუარეს

"ეკიპის" მტკიცებით, "პარი სენ-ჟერმენის" ხელმძღვანელობა ლიგა 1-ში გუნდის ულიმღამო სტარტით შეშფოთებულია და იმის მიუხედავად, რომ **ანტუან კომბუარემ** თანამშრომლობა ორი თვის წინ გაახანგრძლივა, თუკი 47 წლის მწვრთნელი უახლოეს ორ ტურში ექვს ქულას ვერ აიღებს, მას თანამდებობიდან დაუფიქრებლად გაათავისუფლებენო. დედაქალაქელებს მე-3 ტურში, 21 აგვისტოს "ვალანსიენთან" საშინაო დაპირისპირება ელით, ხოლო მე-4-ში, 28 აგვისტოს "ტულუზთან" გასვლა.

გუშინაც გაუწყებდით, რომ იმ შემთხვევაში, თუკი კომბუარეს წასვლა მოუწევს, **ლეონარდო** "პარი სენ-ჟერმენში" **კარლო ანჩელოტის** მოყვანას აპირებს. კლუბის ყატარელმა მესაკუთრეებმა სპორტული დირექტორის იდეას მხარი დაუჭირეს. შეიძლება ითქვას, რომ ბრაზილიელ ჩინოვნიკს მწვანე შუქი აუნთეს. თავის მხრივ იტალიური წყაროები ამტკიცებენ, რომ ანჩელოტი მისი სამსახურით ფრანგების დაინტერესებას ენთუზიაზმის გარეშე შეხვდა, ამ თემაზე დასმულ შეკითხვებზე პასუხს კი თავი აარიდაო.

ფრანგმა სპორტულმა ჟურნალისტებმა ლეონარდოს რამდენიმე დღის წინანდელი განცხადება გაიხსენეს, სადაც ბრაზილიელი სატრანსფერო კამპანიის დასრულებაზე ლაპარაკობდა. შესაბამისად, მათ არ იციან დაუჯერონ თუ არა ერთი მხრივ ინგლისელებს, მეორე მხრივ - ესპანელებს, რომლებიც ისევ წერენ "პარი სენ-ჟერმენის" სატრანსფერო გეგმებზე. პირველები ამტკიცებენ, ლეონარდოს "არსენალიდან" **ნიკლას ბენდტნერის** შეძენა სურს და მზადაა 11 მილიონი ფუნტი გაიღოსო. მეორენი ირწმუნებიან, **რაულმა** ინგლისურ და ესპანურ კლუბებზე უარი პარიზელთა ხათრით თქვაო. მართალია "ხუმარების" ხელმძღვანელობა ამტკიცებს, რომ ესპანელ ლეგენდას არ უშვებს, მაგრამ ამ სიტყვებს რატომღაც ყურადღებას არავის აქცევს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**


ანტუან კომბუარეს თავს კარგი არაფერი ხდება

ესპანეთის სუპერთასი. გამოხმაურება



ლეო მესი, 1, 2, 3, 4, 5... კიდევ მოდით!

# ამბავი ყურის ახევისა და ერთი პაწაწკინტელა თასისა

## ტიტული ბარსას, იმედი რეალს



ფოტოზე კარგად ჩანს, როგორ მიეპარა მოურინიო გვარდიოლას ასისტენტს



დებიუტანტი თასით ხელში

ესპანური საფეხბურთო სეზონი ძალზე საინტერესოდ, სკანდალურად და დიდებულად დაიწყო - ქვეყნის სუპერთასისთვის ორმატჩიან ბრძოლაში ორი სუპერგუნდი ჩაერთო და, ბუნებრივია, თამაშებიც ასეთი გამოვიდა - 4-გოლიანი შოუ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ და საპასუხო 5-გოლიანი თრილერი „კამპ ნოუზე“. იმავე დღეს, როცა გაირკვა, რომ პრიმერადივიზიონის, სულ ცოტა, I ტური ჩაიშალა გაფიცვის გამო, **ლეო მესის** ბრწყინვალე თამაშმა „ბარსელონას“ სეზონის პირველი ტიტული მოაპოვებინა „რეალთან“ ბრძოლაში - ჯამში 5:4 კატალონიელთა სასარგებლოდ, მესის ანგარიშზე კი აქედან 3 გოლი და ერთიც საგოლე პასია.

რით დაგვამახსოვრდება ეს სუპერთასი? ალბათ, იმით, რომ, რაც **ჟოზე მოურინიო** „რეალის“ მწვრთნელია, გუნდმა პირველად ითამაშა შემტევი ფეხბურთი „ბარსას“ წინააღმდეგ და ეს საქმე დიდებულად გამოუვიდა, იმით, რომ 24 წლის **სესკ ფაბრეგასმა**, როგორც იქნა, დიდი ხნის ოცნება აიხდინა და მშობლიური კლუბის მაისურა მოირგო, თანაც დებიუტი ტიტულით აღნიშნა, იმით, რომ **მარსელოს** უხეშობას იმავე სესკის წინააღმდეგ მოედანზე ლამის ხელჩართული ჩხუბი მოჰყვა, რომელშიც ყველაზე მეტად თავი... **ჟოზე მოურინიომ** შეირცხვინა - უკნიდან მიეპარა **ხოსეპ გვარდიოლას** ასისტენტ **ტიტო ვალანოვას** და... ყური აუწია!

„ბარსას“ ახალწვეული, რომელიც თავს 4-ნომრიანი მაისურით იწონებს, უნიკალური მიღწევის პატრონი გახდა - გუნდში გადასვლიდან მესამე დღეს ტიტულს - ქვეყნის სუპერთასს დაეუფლა. ფაბრეგასი მატჩის დასრულებამდე 8 წუთით ადრე შევიდა სათამაშოდ და მუდამ ყურადღების ცენტრში იყო - ჯერ მისი შემოსვლისას ლამის ჩამოიქცა ტრიბუნები ოვაციისგან, შემდეგ გადამწყვეტი გოლი მის მიერ დაწყებულ კომბინაციას მოჰყვა და ბოლოს, სესკის ნაქცევისთვის ატყდა დიდი გაწევ-გამოწევა მოედანზე თუ მის მიღმა, რომელიც ლამის 10 წუთი გაგრძელდა. სხვათა შორის, მხოლოდ 1 ოფიციალური მატჩი ითამაშა და უკვე ტიტულის მფლობელი გახდა „ბარსას“ ჩილელი ფორვარდი **ალექსის სანჩესი**, რომელსაც საპასუხო მატჩში არ უთამაშია.

ხოსეპ გვარდიოლამ ზედიზედ მესამედ მოაგებინა სუპერთასი „ბარსელონას“ და ტიტულების რიცხვით (11) კლუბის ისტორიაში ყველაზე წარმატებული მწვრთნელი (**იოჰან კრუიფს** გაუსწრო) გახდა. თამაშის შემდეგ პეპმა გაუზიარა შთაბეჭდილებები მედიას, თუ როგორი ამაყია თავისი გუნდით, რა ბევრს ნიშნავს სესკ ფაბრეგასის ტრანსფერი და როგორ უმსგავსოდ მოიქცა მისი ვიზავი ჟოზე მოურინიო: *„თქვენ ყველამ კარგად ნახეთ, რაც მოხდა, ამაზე კომენტარიც ზედმეტია, ფეხბურთში ასეთი უმსგავსობები რატომ უნდა ხდებოდეს, ვერ გამიგია. თუკი მოურინიოს საქციელს სათანადო ყურადღებას არ მიაქცევენ, გარწმუნებთ, ეს ცუდად დასრულდება. მოურინიო აცხადებს, რომ წარმოდგენა არა აქვს, ვისთან მიიჭრა, მე კი ამ შემთხვევაში ვიტყვი, რომ ადამიანმა პირველ რიგში თავად უნდა უწყოდეს, ვინ არის. რაც შეეხება - ვერ ცნობას, ტიტო ვილანოვა ჩვენ გუნდში მნიშვნელოვანი პერსონაა, მე მაგალითად, კარგად ვიცი, რომ მოურინიოს ასისტენტი აიტორ კარანკაა“.*

**ჟოზე მოურინიო:** *„სუპერთასი ერთი პატარა ტიტულია, მიუხედავად ამისა, ჩვენ გული დაგვწყდა, რომ ვერ მოვიგეთ ის. სამაგიეროდ, ორივე თამაში ფანტასტიკურად ვითამაშეთ და ამით ძალიან გახარებული ვართ. ბოლო კლასიკოებს თუ დააკვირდებით, დაინახავთ, რომ ბალანსი აღდგენილია, მატჩები უმთავრესად ფრედ სრულდება, ერთხელ ჩვენ მოვუგეთ მეტოქეს (თასის ფინალში) და ერთხელ მათ (დღეს), აქ , რა თქმა უნდა, იმ მატჩებს არ აღვნიშნავ, რომელთაც ეს თავიანთი უსამართლო ხასიათით არ დაიმსახურეს“.*

თამაშის შემდეგ მწვავე გამონათქვამების უფლება თავს ფეხბურთელებმაც მისცეს. ამ შემთხვევაში უფრო „ბარსას“ მოთამაშეები აქტიურობდნენ. მაგალითისთვის, **ჩავიმ** მარსელოს ბრალად დასდო, რომ ბრაზილიელს განზრახ სურდა სესკ ფაბრეგასის დამტვრევა, ხოლო **ჟერარდ პიკემ** აღნიშნა, რომ ჟოზე მოურინიო ესპანურ ფეხბურთს ანგრევსო. სხვათა შორის, მოვლენებს ყველაზე წყნარად სესკი შეხვდა, დებიუტანტმა აღნიშნა, რომ ეს ფეხბურთია და, როცა ასეთი დონის გუნდები ტიტულისთვის იბრძვიან, ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ეს ფეხბურთისთვის დამახასიათებელია და საგანგაშო სულაც არაა. მაინც რას ნიშნავს, რომ ფაბრეგასმა პრემიერლიგაში ინგლისური წრთობა გამოიარა...

მატჩის შემდეგ გაირკვა ალექსის სანჩესის უთამაშებლობის მიზეზი - მას მოთელვაზე ტრავმა მიუღია და ახლა 1 კვირა დასვენება მოუწევს. მოკლედ, პირველი ტური რომ არ ჩაშლილიყო, ჩილელს „მალაგასთან“ მატჩის გამოტოვება მოუწევდა.

არგენტინა. აპერტურა. II ტური

# ელ ტანკეს სადებიუტო გასროლა

## რივერ პლეიტის ისტორიული გამარჯვება

**ატლეტიკო-არსენალი 1:3**

**გოლები:** 0:1 ობოლო (13), 0:2 ლეგისამონი (18), 0:3 ლეგისამონი (38), 1:3 ა. კასტრო (75-პენ)

**გაძევება:** კორდობა (76. ატლეტიკო)

**ველესი-ბანფილდი 3:0**

**გოლები:** 1:0 ს. სილვა (22), 2:0 ორტისი (49), 3:0 მარტინესი (82)

**ესტუდიანტესი-სან ლორენსო 0:2**

**გოლები:** 0:1 ჯილიოტი (60), 0:2 მენდესი (62)

**ბოკა-სანტა ფე 4:0**

**გოლები:** 1:0 ვიატრი (1), 2:0 ვიატრი (79), 3:0 რიკელმე (83), 4:0 კოლასო (85)

**სან მარტინი-ტიგრე 2:1**

**გოლები:** 1:0 როიბერვალი (41), 2:0 ლანდა (83), 2:1 პიო (90)

**ლანუსი-ინდეპენდიენტე 1:0**

**გოლი:** 1:0 პავონე (90)

**არხენტინოსი-ნიუელსი 1:1**

**გოლები:** 1:0 მატეო (29. ს.კ.), 1:1 სპერდუტი (42)

**კოლონი-ოლ ბოისი 1:1**

**გოლები:** 1:0 მატოსი (15 ს.კ.), 1:1 მატოსი (74)

**ბელგრანო-ოლიმპო 1:1**

**გოლები:** 0:1 როლე (7), 1:1 ფ. ვასკესი (56)

**რასინგი-გოდოი კრუსი 3:0**

**გოლები:** 1:0 გუტიერესი (11), 2:0 ლ. კასტრო (70), 3:0 გუტიერესი (76)

**გაძევება:** სიგალი (21. გოდოი კრუსი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლანუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 2. ბოკა | 2 | 1 | 1 | 0 | 4-0 | 4 |
| 3. ველესი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 4. რასინგი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 5. კოლონი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 6. არსენალი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 7. სან მარტინი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 8. სან ლორენსო | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 9. ატლეტიკო | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 10. არხენტინოსი | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 11. ბელგრანო | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 12. ოლ ბოისი | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 13. ნიუელსი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 14. ოლიმპო | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 15. ტიგრე | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 16. ესტუდიანტესი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |
| 17. გოდოი კრუსი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 18. სანტა ფე | 2 | 0 | 1 | 1 | 1-5 | 1 |
| 19. ინდეპენდიენ. | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 20. ბანფილდი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |

**ბომბარდირები:** 3 - გუტიერესი (რასინგი); 2 - განდინი (ატლეტიკო), ლეგისამონი (არსენალი), მატოსი (ოლ ბოისი), ვიატრი (ბოკა ხუნიორსი).

**მომდევნო ტური**

**დღეს:** არსენალი-ველესი.

20 აგვისტო: **სან ლორენსო-არხენტინოსი, სან მარტინი-ლანუსი, ინდეპენდიენტე-ესტუდიანტესი.**

21 აგვისტო: **ოლ ბოისი-ატლეტიკო, ტიგრე-გოდოი კრუსი, ნიუელსი-ბოკა ხუნიორსი, ბანფილდი-რასინგი.**

22 აგვისტო: **ოლიმპო-კოლონი, სანტა ფე-ბელგრანო.**

არგენტინული აპერტურა ახალი დაწყებულია, თუმცა ჩემპიონატს უკვე ჰყავს ერთპიროვნული ლიდერი - ორი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმის მოგროვება „ლანუსის“ გარდა ვერც ვერავინ შეძლო. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ „ლანუსი“ საჩემპიონო თამაშს აჩვენებს, მას ჯერჯერობით უმართლებს - პირველ ტურში 40 წლის **გაბრიელ შურერის** გუნდმა „სან ლორენსოზე“ ცუდად ითამაშა, მაგრამ მოუგო მეტოქეს. იგივე გამეორდა მეორე ტურშიც - ლიდერს თამაშით „ინდეპენდიენტე“ სჯობდა, მაგრამ...

დაძაბულობა და დრამა, იცოცხლე, ამ თამაშში ზომაზე მეტი იყო, აი, თამაშის ხარისხი კი უკეთესის სურვილს ტოვებდა. შურერმა, რატომღაც, სკამზე დასვა **დიეგო ვალერი** და გუნდი მანამ არ დალაგდა, სანამ მწვრთნელმა თამაშში ვალერი და ორი ახალწვეული, **პავონე** და **ნეირა** არ ჩართო. „ინდეპენდიენტე“ კარგად თამაშობდა, განსაკუთრებით ყოჩაღობდა მათი ახალწვეული მცველი **გაბრიელ მილიტო.** გოლი კი მე-3 დამატებულ წუთზე გავიდა, დებიუტანტმა „ელ ტანკე“ **მარიანო პავონემ რეგეიროსგან** პასი მიიღო და თითქმის ცარიელ კარში გაიტანა. შეგახსენებთ, რომ 29 წლის პავონეს ევროპაში „ბეტისში“ უთამაშია, ხოლო ბოლო სეზონი მან „რივერ პლეიტში“ იჯარით გაატარა.

„რასინგი“ იოლად გაუსწორდა „გოდოი კრუსს“ - 3:0. ეს **დიეგო სიმეონეს** პირველი გამარჯვება იყო „რასინგის“ თავკაცის რანგში. „აკადემიელთა“ მთავარმა შემტევმა, კოლუმბიელმა **ტეოფილო გუტიერესმა** უკვე მე-11 წუთზე გამოიჩინა თავი. 21-ე წუთზე სტუმარმა **სიგალიმ** თამაშის წესი დაარღვია საჯარიმოში (მსაჯის ერთობ საეჭვო გადაწყვეტილება), რისთვისაც მე-2 ყვითელი ბარათი მიიღო და „გოდოი კრუსი“ 10 კაცის ამარა დატოვა, გუტიერესმა პენალტი ხარიხას გაარტყა. მეორე ტაიმში **ლუკას კასტრომ** და იმავე გუტიერესმა ანგარიში გამანადგურებელი გახადეს.

„კოლონში“, რომელიც შინ 1:1 დაუზავდა „ოლ ბოისს“, დებიუტი ყველასთვის ნაცნობ **ერნესტო ხავიერ ჩევანტონს** ჰქონდა.

ამ ტურში აღსანიშნავია „სან ლორენსოს“ ბრწყინვალე თამაში სტუმრად „ესტუდიანტესთან“ და „ბოკა ხუნიორსის“ გამარჯვება დიდი ანგარიშით, „სანტა ფეს“ კარში ერთი გოლი **რიკელმემ** გაიტანა, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი კი **კლემენტე როდრიგესი** იყო.

ცხრილში ვერსად ნახავთ „რივერ პლეიტს“, დიახ, მწარე რეალობაა - არგენტინულ პრიმერაში ამ ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი აღარ თამაშობს. თავისი პირველი მატჩი რანგით მეორე დივიზიონში, რომელსაც არგენტინაში პრიმერა ბ ეწოდება, „მილიონარესმა“ მოიგო - შინ 1:0 „ჩიკარიტა ხუნიორსი“ დაამარცხა. ერთადერთი გოლი მე-6 წუთზე მცველმა **ხუან მანუელ დიასმა** შეაგდო. „რივერის“ შემტევ დუეტს, **ალეხანდრო დომინგესი** და **ფერნანდო კავენაგი** შეადგენდნენ, ესეც თქვენი მეორე დივიზიონი!

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



რასინგი-გოდოი კრუსი. ბურთით ტეოფილო გუტიერესი

მსოფლიოს ჩემპიონატი. U-20. ნახევარფინალები. 29 ივლისი-20 აგვისტო



# პორტუგალიური ფინალის მოლოდინში

20-წლამდელთა ჩემპიონატის ფინალში ერთ ენაზე ილაპარაკებენ - 20 აგვისტოს ბოგოტაში ერთმანეთს ბრაზილიისა და პორტუგალიის ნაკრებები დაუპირისპირდებიან. ორივე გუნდმა ერთნაირი ანგარიშით გაიმარჯვა ნახევარფინალში - ბრაზილიელებმა მეორე ტაიმის მიწურულს **ენრიკეს** მიერ შესრულებული დუბლით მოუგო მექსიკას. აი, პორტუგალიელებმა კი პირველივე ტაიმში მოუმთავრეს საქმე ფრანგებს, **დანილოსა** და **ნელსონ ოლივეირას** გოლებით.

მექსიკელებს პრინციპში ურიგოთ არ უთამაშიათ, ბრწყინვალე თავურით გოლიც კი გაიტანეს პირველ ტაიმში, მაგრამ თანამსაჯმა სამართლიანად დააფიქსირა თამაშგარე მდგომარეობა. ბრაზილიელებმა მექსიკა ბოლო წუთებზელა გატეხეს, მე-80 წუთზე ენრიკემ მარჯვენა ფლანგიდან **ნეგუებას** ჩაწოდებულის შემდეგ თავით ითამაშა დასწრებაზე, 4 წუთში კი ახლო მანძილიდან კიდევ ერთხელ გაიტანა (თუმცა ამ ეპიზოდში თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა), ამჯერად მისი ასისტენტობა შეცვლაზე შესულმა **დუდუმ** ითავა - 2:0.

ფრანგებს კოლუმბიაში ბრწყინვალე გუნდი ჰყავთ ჩაყვანილი, ამიტომაც ბევრი გამარჯვებას მათ უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ პორტუგალიელებმა ჯერ კუთხურიდან მოწოდება გამოიყენეს, დანილომ მაღალ ნახტომში მიწის დახმარებით გაიტანა, შემდეგ კი ფრანგთა კარში პენალტი დაინიშნა და ნელსონ ოლივეირას გატანა არ გასჭირვებია, მიუხედავად იმისა, რომ გოლკიპერმა კუთხე გამოიცნო. მეორე ტაიმში ფრანგებმა ნამდვილი შტურმი მოაწყვეს, თუმცა უნაყოფოდ. ისინი მექსიკელებს მე-3 ადგილს შეეცილებიან.

ეს ფინალი 1991 წლის შეჯიბრების გამეორება იქნება, ბრაზილიელებს შური აქვთ საძიებელი, რადგან ზუსტად 20 წლის წინათ ფინალში პორტუგალიამ იმარჯვა, 4:2 პენალტების სერიაში. სხვათა შორის, იმ თამაშს „ესტადიუ და ლუჟზე" მაყურებელთა რეკორდული რაოდენობა დაესწრო - 127 ათასი ადამიანი. პენალტების სერიაში მაშინ მასპინძელთაგან გოლები **ჟორჟე კოშტამ, ლუიშ ფიგუმ, პაულო ტორესმა** და **რუი კოშტამ** გაიტანეს, დამარცხებულთაგან კი - **რამონმა** და **ანდრეიმ, ელბერმა** და **მარკინიოსმა** კი ააცილეს.

| პორტუგალია-საფრანგეთი | 2:0 |
|---|---|
| **გოლები:** 1:0 დანილო (9), 2:0 ოლივეირა (40-პენ) | |

| ბრაზილია-მექსიკა | 2:0 |
|---|---|
| **გოლები:** 1:0 ენრიკე (80), 2:0 ენრიკე (84) | |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



პორტუგალიელი ახალგაზრდები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გასვლას ზეიმობენ



ძიუდო. ნაკრები

# ახალი გუნდი ძველი კადრებით

## ზაიზენბახერმა შემადგენლობა დაასახელა

**საქართველოს ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა პეტერ ზაიზენბახერმა გუშინ ძიუდოს ფედერაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე 23-28 აგვისტოს პარიზში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობა დაასახელა**




წინასწარ გეტყვით, რომ მასში სიახლე არაფერია, თუ არ ჩავთვლით, რომ ყველა წონაში ორ-ორი კაცი ჩასვა. არადა, იყო ლაპარაკი, რომ იქნებ ზოგან არსებული კვოტა სრულად არ გამოეყენებინა და ორის ნაცვლად თითო სპორტსმენით ესპარეზა, სხვა მხრივ კი ისევ იმ ხალხს უხმო, ვისაც მთელ მოსამზადებელ ციკლში უწყვეტად დაატარებდა ტურნირებსა თუ შეკრებებზე. **ბეთქილ შუკვანი, ამირან პაპინაშვილი** (ორივე – 60), **შალვა ქარდავა, დავით ასუმბანი** (ორივე – 66), **ნუგზარ ტატალაშვილი, თენგიზ პაპოშვილი** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი, ლევან წიკლაური** (81), **ვალერი ლიპარტელიანი, ზვიად გოგოჭური** (90), **ირაკლი ცირეკიძე, ლომერ ჟორჟოლიანი** (100), **ზვიად ხანჯალიაშვილი, ადამ ოქრუაშვილი** (+100) – აი, ამ კადრებს დაეყრდნო ზაიზენბახერი მსოფლიოს პირველობისთვის. თუმცა ქარდავასთან დაკავშირებით გარკვეული კითხვის ნიშნები ჯერ ისევ რჩება – მას ხერხემალი აწუხებს და არაა გამორიცხული, დღეს ვითარება რადიკალურად შეიცვალოს. ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელი მას ჯერ კიდევ აკვირდება.

გუნდის ყველაზე ახალი და, შესაბამისად, გამოუცდელი წევრი გოგოჭურია. მან პარიზში ჭიდაობა ბუდაპეშტის მსოფლიოს თასზე გამარჯვებით გაინაღდა, თუმცა შრომისმოყვარე ბიჭმა მერე შეკრებებზეც ნაყოფიერად ივარჯიშა, თორემ საამისოდ მხოლოდ ერთი შეჯიბრების მოგება არ ეყოფოდა. მსოფლიოზე მასავით დებიუტანტი იქნება ჭრიკიშვილიც, თუმცა ის გამოცდილებით ბევრად აღემატება გოგოჭურს - ამ ახალგაზრდა ტალანტმა შარშან თავის ასაკში ევროპისა და მსოფლიოს პირველობა მოიგო, რითაც უფროსებშიც ფავორიტის სტატუსით შეაბიჯა. მართალია, იმათთან პაექრობა თავიდან ცოტა გაუჭირდა, მაგრამ ბუდაპეშტის მსოფლიოს თასი მანაც მოიგო და ფავორიტის იმიჯიც დაიბრუნა. ძალიან საინტერესოა ახალი თაობის კიდევ ერთი წარმომადგენლის, ახალგაზრდებში ევროპის პრიზიორ ტატალაშვილის გამოსვლა, რომელსაც ასევე გაუჭირდა უფროსებთან პაექრობა, თუმცა საერთაშორისო ტურნირებში რამდენიმე დასამახსოვრებელი შეხვედრა ჩაატარა. მაგალითად, ისეთ ფალავანთან, როგორიც კორეელი ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი **კი ჩუნ ვანგია**. მართალია, ტატალაშვილს არც ის შეხვედრები მოუგია და ჯერჯერობით - არც რაიმე ტიტული, მაგრამ მის მიერ დემონსტრირებული ჭიდაობა ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს. ზაიზენბახერს ის ყოველთვის თან დაჰყავდა შეკრებებზე, ტატალაშვილმაც ნაყოფიერი მოსამზადებელი ციკლი გაიარა, მათ შორის – ორი ხანგრძლივი შეკრება იაპონიაში, რაც, იმედია, სასიკეთოდ წაადგა.

თავდაპირველი ინფორმაციით, მსოფლიოს ეს ჩემპიონატი პეტერ ზაიზენბახერისთვის საჯილდაო ქვა უნდა ყოფილიყო – იქ ნაჩვენები შედეგის მიხედვით უნდა განსაზღვრულიყო ავსტრიელის კონტრაქტის განახლების საკითხი. რამდენიმე თვის წინ ჭორად გავრცელდა, რომ მას ოლიმპიადამდე გაუგრძელეს კონტრაქტიო, რაც გუშინ ფედერაციაშიც დაგვიდასტურეს. ამდენად, ზაიზენბახერი საქართველოს ნაკრებში ოლიმპიადის დასრულებამდე დარჩება და პარიზული ჩემპიონატი მის კონტრაქტზე გავლენას ველარ მოახდენს...

თავდაპირველი შეთანხმებით, ზაიზენბახერს მსოფლიოს პირველობაზე წარმატებად ოქროს მედლის მოპოვება ჩაეთვლებოდა, თუმცა მოგვიანებით ეს ფორმულირებაც შეიცვალა და ითქვა, რომ მთავარი არა კონკრეტული სინჯის მედალი, არამედ ნაკრების საერთო პროგრესი იქნებაო. „საერთო პროგრესი" ცოტა ზოგადი განმარტებაა და არავინ აკონკრეტებს, რა იგულისხმება მასში. ჯერჯერობით რასაც ვხედავთ, გუნდის მზადებაში გარკვეული პროგრესი ნამდვილად არის (თუნდაც წარმატებით ჩატარებული ევროპის პირველობაც გავიხსენოთ, არადა, იმის შემდეგ ბიჭებმა საგანგებოდ მსოფლიოსთვის მიზანმიმართული მზადების ბევრად ხანგრძლივი და ბევრად დატვირთული ციკლი გაიარეს), თუმცა, ცხადია, ამ ყველაფრის ბარომეტრი მსოფლიოს პირველობა იქნება. გვჯერა, რომ ნაკრები პარიზიდან უმედლოდ არ დაბრუნდება, რითაც ორწლიანი წარუმატებელი გამოსვლის სერიასაც წერტილს დაუსვამს, მაგრამ სადღეისოდ მწვრთნელს ოქროს მედალს, ზოგადად კონკრეტული რაოდენობის თუ სინჯის ჯილდოს აღარ სთხოვენ და ლაპარაკი ისევ ზოგად პროგრესზეა. ამავე მოსაზრებას იზიარებს ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობაც, რომელიც ორიოდე დღის წინ 4 წლის ვადით აირჩიეს. ყოველ შემთხვევაში, საწინააღმდეგო მოსაზრება ღიად არავის დაუფიქსირებია.

დასასრულს, გეტყვით, რომ პარიზში მსოფლიოს ჩემპიონატზე მხოლოდ ვაჟთა ტურნირში გამოვალთ, ქალთა შორის კი მონაწილე არ გვეყოლება. ტურნირი 23 აგვისტოს დაიწყება და პირადი პირველობა 27-მდე გასტანს, 28-ში კი გუნდური შეჯიბრებაა.

**ირაკლი თავაძე**

მსოფლიო უნივერსიადა

# ბაციაშვილი ლიდერებშია

გუშინ შენჟენში მსოფლიო უნივერსიადის პროგრამით მოჭადრაკეთა მორიგი ორი ტურის პარტიები გაიმართა. გოგონებში ყაიმზე შეთანხმდნენ ერთპიროვნული ლიდერი ირინა ვასილევიჩი (რუსეთი) და ჟონგვი თანი (ჩინეთი), ასევე, ქართველი დიდოსტატები **მაკა ფურცელაძე** და **ნინო ბაციაშვილი**, რომლებსაც 4 ტურის შემდეგ 3,5-3,5 ქულა ჰქონდათ. მონგოლმა თუვშინთუგს ბათხიმეგმა ჩინელი ქიან ჰუანი დაამარცხა და 4,5 ქულით ვასილევიჩს გაუთანაბრდა. **სოფიკო გურამიშვილმა** შავი ფიგურებით ზულკაფი ნურის (მალაიზია) მოუგო.

მე-6 ტურში შესანიშნავად ითამაშა ნინო ბაციაშვილმა (2381), რომელმაც თეთრი ფიგურებით ერთ დროს ჩინეთის ნაკრების წევრი შენ იანი (2459) დაამარცხა და 5 ქულით მეწინავეთა შორის პირველ-მეხუთე ადგილებს ინაწილებს. ლიდერთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ირინა ვასილევიჩი-თუვშინთუგს ბათხიმეგი 0,5:0,5, ოლგა კალინინა (უკრაინა)-იოლანტა ზავადსკა (პოლონეთი) 1:0, ზუზანა ბოროსოვა (სლოვაკეთი)-ჟონგვი ჩანი (ჩინეთი) 0:1, კატერინა დოლჟიკოვა (უკრაინა)-მაკა ფურცელაძე 0,5:0,5, სოფიკო გურამიშვილი-დულამსურენ იინჯიდულამი (მონგოლეთი) 1:0.

მე-7 ტურში ითამაშებენ: ჟონგვი (5)-ბაციაშვილი (5), ბათხიმეგი (5)-კალინინა (5), ფურცელაძე (4,5)-ვასილევიჩი (5), შენ იანი (4)-ქიან ჰუანი (4,5), მუზიჩუკი (4)-დოლჟიკოვა (4), მონგონთუული (4)-ბოროსოვა (4), ზავადსკა (4)-ჩერემნოვა (4), ბეთულ ილდიზი (4)-გურამიშვილი(4).

ვაჟთა ტურნირში ჩვენთვის დიდად სახარბიელო არაფერია. მართალია, **ლუკა პაიჭაძე** მე-5 ტურში ოლივერ კურმანს (შვეიცარია) დაუზავდა, მეექვსეში კი სევერინ პაპა (შვეიცარია) დაამარცხა და 4 ქულა მოაგროვა, მაგრამ ერთპიროვნულ ლიდერ ჩაო ლის 1,5 ქულით ჩამორჩება. სამწუხაროდ, სუსტად ითამაშა **დავით ბენიძემ**: მან ჯერ ჰუა ნისთან (ჩინეთი) გააფორმა სამშვიდობო ხელშეკრულება, მერე კი სომეხ ჰრანტ მელქუმიანს დანებდა თეთრი ფიგურებით. ბენიძის აქტივში სულ 3,5 ქულაა. მეწინავეთა მე-6 ტურის პარტიები ასე დასრულდა: ავეტიკ გრიგორიანი (სომხეთი)-ჩაო ლი (ჩინეთი) 0:1, იუე ვანი (ჩინეთი)-ჰაო ვანი (ჩინეთი) 0,5:0,5, მარტინ კრავცოვი (უკრაინა)-ბრაუნ არიკი (გერმანია) 0,5:0,5, მიხალ ოლჟევსკი (პოლონეთი)-ჰუა ნი (ჩინეთი) 0,5:0,5.

დღეს მე-7 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ჩაო ლი (5,5)-ჰაო ვანი (5), კრავცივი (4,5)-იუე ვანი (4,5), პაპინი (4,5)-ანდრიასიანი (4,5), არიკი (4,5)-გრიგორიანი (4,5), გზარნოტა (4,5)-მელქუმიანი (4,5), რახმანოვი (4,5)-ოლჟევსკი (4,5), პაიჭაძე (4)-ილმაზი (4,5)... ბენიძე (3,5)-ბატულგა (3,5).

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ქართველთათვის ქვირა მორჩა

ერთადერთი საჩოგბურთო ტურნირი, სადაც ქართველები ასპარეზობდნენ, სტამბოლში მიმდინარეობს, ოღონდ, უკვე ჩვენებურთა გარეშე - ამ თურქული ქალაქის ჰარდის საფარის კორტებზე ერთეულთა თანრიგს ბოლო ქართველი გამოკალდა, 23 წლის **სოფიო ქვაცაბაიამ** მერვედფინალში მე-5 ნომრად განთესილ უზბეკ **ვლადა ეკშიბაროვასთან** დათმო - 2:6, 1:6. წყვილთა ბადეში ქვაცაბაიასა და 19 წლის **ეკა გორგოძის** დუეტი მე-2 ნომრად იყო განთესილი, მაგრამ ტურნირის ფავორიტებმა პირველივე წრეში წააგო სლოვენიურ (**იაკუპოვიჩი, პრიშლანი**) წყვილთან - 4:6, 1:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭიდაობა. ჭაბუკთა ნაკრები

# მსოფლიოზე ძველი გუნდებით

გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ვლადიმერ ვარძელაშვილი** ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნებულ თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა გუნდებს შეხვდა. ვარშავაში გამართულ ამ ტურნირში ჩვენმა მოზარდებმა წარმატებით იასპარეზეს - „თავისუფლებმა" 1 ოქრო, 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო მოიპოვეს. კონტინენტის ჩემპიონი მძიმეწონოსანი **გენო პეტრიაშვილი** გახდა, ვერცხლი **შოთა ფანცულაიამ** (50) და **ომარ გურჯიძემ** (63) მოიპოვეს, **შოთა ფარტენაძე** (54) კი მესამეზე გავიდა. ბერძენ-რომაელთა მონაგარი 2 ვერცხლი და 3 ბრინჯაოა. **ლაშა გობაძემ** (76) და **კუკური კირცხალიამ** (85) ფინალური შეხვედრები დათმეს, **რამაზ ზოიძე** (42), **ედნარ შავაძე** (46) და **შმაგი ბოლქვაძე** (58) ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ. მინისტრთან ერთად პრესკონფერენციას საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **კახა გეწაძეც** ესწრებოდა. ფალავნებს ორივემ მიულოცა წარმატება და გამოთქვა იმედი, რომ ისინი მსოფლიოს ჩემპიონატზეც წარმატებით გამოვლენ.

ჩვენი ფალავნები, კონკრეტულად კი ბერძენ-რომაელები ორშაბათს დაბრუნდნენ ევროპის პირველობიდან, მალევე კი მსოფლიოს ჩემპიონატზე წავლენ, რომელიც 23-28 აგვისტოს უნგრულ სომბათჰეიში ტარდება.

„თავისუფალთა" გუნდის მთავარმა დამრიგებელმა **თამაზ ბენდიანიშვილმა** ევროპაზე ნაჭიდავებ გუნდში ერთადერთი ცვლილება გააკეთა და ისიც, ერთი შეხედვით, უცნაური – შეცვალა არა უმედლოდ დარჩენილი რომელიმე ფალავანი, არამედ ევროპის ვიცე-ჩემპიონი ფანცულაია. სამწუხაროდ, ეს იძულებითი ცვლილებაა, ვინაიდან მოზარდმა წონა ვერ დაიკლო, სხვა წონით კატეგორიებში კი ბენდიანიშვილმა ძველ შემადგენლობას უხმო, რადგან მათზე უკეთესები არც ჰყავს: **გიორგი პასიკაშვილი** (42), **რამაზ დარჩიძე** (46), **შალვა ხუციშვილი** (50), **შოთა ფარტენაძე** (54), **რაუფ შაკულ-ოღლი** (58), **ომარ გურჯიძე** (63), **შალვა ჭადაშვილი** (69), **გიორგი ჩხარტიშვილი** (76), **ბექა როჭიკაშვილი** (85), **გენო პეტრიაშვილი** (100).

გუნდში ბევრი ცვლილება არც ბერძენ-რომაელთა ნაკრების თავკაც **ვაჟა კრავეიშვილს** გაუკეთებია, მხოლოდ სამი ცვლილება გააკეთა – 46, 63 და 69 კილოგრამებში. **რამაზ ზოიძე** (42), **ლეონ ხოზრევანიძე** (46), **ედნარ შავაძე** (50), **გიორგი ტოტიკაშვილი** (54), **შმაგი ბოლქვაძე** (58), **ნიკა მამარდაშვილი** (63), **გიორგი ჩხარტიშვილი** (69), **ლაშა გობაძე** (76), **კუკური კირცხალია** (85), **ზურაბ გედეხაური** (100) – ასეთია მისი არჩევანი მსოფლიოს პირველობისთვის. უნგრეთში ჯერ „თავისუფლები" მიდიან – 21 აგვისტოს, ბერძენ-რომაელები კი 25-ში გაფრინდებიან.

**ირაკლი თავაძე**

კარატე. მსოფლიოს ჩემპიონატი



# ხუთი მედალით...

ქართველმა კარატისტებმა ქვეყანა კიდევ ერთხელ ასახელეს. ამჯერად უკრაინაში რიგით მეოთხე მსოფლიო ჩემპიონატზე, კონტაქტურ კარატეში ჩვენი ქვეყანა საქართველოს გოჯუ-რიუ კარატეს ფედერაციამ წარმოადგინა. ჩემპიონატამდე გუნდმა ურეკის საწვრთნელი შეკრება გაიარა და კარგ შედეგებსაც შეგვპირდნენ, რაზედაც „ლელოც" წერდა. ახალ წარმატებებზე ოდესიდან დაბრუნებული საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა ცენტრის პრეზიდენტი **ლევან როგავა** გვესაუბრა.

- მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონატი გოჯუ რიუს წესებით და WUKF კარატეს მსოფლიო ფედერაციის ორგანიზებით გაიმართა მსოფლიოს წამყვანი ოცი ქვეყნის ეროვნული ნაკრების მონაწილეობით. ამ მეტად პრესტიჟულ ასპარეზობაზე ჩვენი ეროვნული ნაკრები სულ ექვსი სპორტსმენით იყო წარმოდგენილი. მიღწევები საამაყოა: ვახტანგ კირკიტაძემ ოქრო მოიპოვა კუმიტეში, ალექსანდრე ჯაფარიძემ მეორე ადგილი კუმიტეში დაიკავა, კატაში კი მესამე იყო, ჯაბა ხარჩილავამ (წალენჯიხა) ერთი ბრინჯაო მოიპოვა კუმიტეში, დათო ანთიამაც (ზუგდიდი) მესამე ადგილი დაიკავა ასევე კუმიტეში. მოხდა ისე რომ, სურენ ვართანიანი მესამე ადგილისთვის ბრძოლაში თანაგუნდელს, ჯაბა ხარჩილავას შეხვდა და მეოთხე ადგილს დასჯერდა. ამ ეტაპზე კმაყოფილი ვარ შედეგებით, ამის შემდეგ კი მეტს მოვითხოვ ნაკრებისგან. ვახტანგ კირკიტაძის დაფინანსებისთვის ურეკის სასტუმრო „ლიზის" და მის დირექტორს, ბატონ გოჩა დვალიშვილს მადლობა მინდა გადავუხადო, გვითხრა ლევანმა.

**- რით იყო ეს ჩემპიონატი განსხვავებული?**

- იმით, რომ თითქმის 40 პროცენტი ძიუდოისტი ასპარეზობდა. ძალიან აინტერესებდათ საკუთარი თავის გამოცდა კარატეს ტატამზე. კონტაქტური კარატეს ამ ვერსიის მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველას შეუძლია მონაწილეობა და სწორედ ამითაა საინტერესო, აზარტული, სანახაობრივი და ურთულესი მოსაგებად. ამ ვერსიის ჩემპიონატზე დასაშვებია ჭიდაობა, კონტაქტი თავში - ხელით და ფეხით, იდაყვით და მუხლით.

**- მსაჯობაში მიკერძოება ხომ არდაფიქსირებულა?**

- საბედნიეროდ და ორგანიზატორების საამაყოდ - არა. ობიექტური იყო, მსაჯობაც და კენჭისყრაც. ჩვენდა სასიხარულოდ იქაც გამოგვიჩნდა აქედან წასული ქართველი ძიუდოისტი, ამირან ცისკარაძე, რომელიც უკრაინის გოჯუ რიუს ეროვნულ ნაკრებს და ძიუდოისტებს ავარჯიშებს. ამავე დროს ის მსოფლიოს ამ ჩემპიონატის პრომოუტერიც იყო.

**- სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვი?**

- სწორედ ბატონმა ამირანმა გვიმეგზურა ამ ჩემპიონატზე და მანვე შემოგვთავაზა, რომ გაისად საქართველოში ჩატარდეს ევროპის ჩემპიონატი კონტაქტურ კარატეში. ამ თემაზე მე და ბატონმა ამირანმა, აღნიშნული მსოფლიო ჩემპიონატის მერე მალალჩინოსანთათან, ვალერი კუსისთან ერთად ვისაუბრეთ და იგი თანახმაა, გოჯუ-რიუს წესებით ევროპის ჩემპიონატი ჩატარდეს საქართველოში. სამომავლოდ ასევე ვგეგმავთ ოქტაგონის (ბრძოლა წესების გარეშე) ჩატარებას თბილისში, სადაც ოთხი პროფესიონალი უკრაინელი მებრძოლი დაუპირისპირდება ასევე ოთხ ქართველს.

***ნუგზარ ჭიაბერაშვილი,***
***საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი***

## თავგადასავლები

# თბილისის დინამოს ვეტერანი ფეხბურთელი კახი კაჭარავა

ჩემი მოგონებები, არ გაგიკვირდეთ და „მხიარული ალსარება" უფრო მკითხველის წინაშე. უნდა მოგახსენოთ, ბევრი უსიამოვნება მოჰყოლია ჩვენს თითქოსდა უბოროტო ქცევას არადა - როგორც იტყვიან, „სიჭაბუკის ქარი ქროდა".

მოკლედ, მე გაგაფრთხილეთ და განსჯა თქვენზე იყოს, ძვირფასებო!



ჩვენ ვიკითხოთ, თორემ ის არსად დაიკარგებოდა, ბიძა ყავდა „იიიქ"!!!

## იულისი და დუბლიონკა

იმ სეზონში ახალი, მომავალი ფეხბურთელი შემოგვემატა - „დიდი კაცის" დისშვილი გახლდათ. უარი ვერ გაუბედეს და ისიც შეუდგა საცდელ ვარჯიშებს. როგორც ფეხბუთელი, ვერაფერი შვილი იყო, ამას კიდევ გაუძლებდა კაცი, მაგრამ საშინლად მკვეხარა აღმოჩნდა და ბიძით გათამამებული ყველას ზემოდან დაგვცქეროდა. ბოლოს და ბოლოს, ყელში რომ ამოგვივიდა, გადავწყვიტეთ ჭკუა გვესწავლებინა.

დილმის ბაზაზე ვართ და ასეთი ტექსტი შევადგინეთ: „გივი, ძალიან მომწონხარ, გთხოვ 3 საათზე შემხვდი მაიაკოვსკის ძეგლთან. დანარჩენს მერე აგიხსნი, ჩემო ძვირფასო. მაკა".

გადასცა ეს ბარათი ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა და თან დააყოლა - „რა ბედი გქონია, გოგო თვითონ გიწვევს შე ბედნიეროო".

დატრიალდა ტიპი. სასწრაფოდ გადაივლო წყალი. ჩაიცვა „საგარეო" ტანსაცმელი და უნდა წავიდეს პაემანზე, მაგრამ „მასთე სადაა!"

- ბიჭო, ეუბნება ერთი ჩვენიანი - ნავარჯიშები და ნაოფლარი ხარ, სიომ რომ შემოგკრას, მეტი კი არ უნდა რადიკულიტს... ცოტა თბილი რაიმე ჩაიცვი.

- რა ჩავიცვა მაინც? - დაუჯდა ჭკუაში იმ უტვინოს.

ვილაცამ საიდანღაც ირანული დუბლიონკა გამოაძვრინა და მოარგო ტანზე.

- ეს ნამეტანი ცხელი იქნება - იუარა, მაგრამ ვინ აცალა:

- ცხელი ახლა გეჩვენება, თორემ ცოტა ოფლი რომ შეგაშრება, მერე კიდევაც გესიამოვნება, ვიცით და გვენდე ჩვენო - უთხრეს, თან ეგზოტიკურია, გოგოებს ევასებათო.

მოკლედ, 10 წუთში ჩვენ გივი დუბლიონკით დგას ბალდადელი პოეტის ძეგლის წინ და ჩვენ ვუთვალთალებთ შორიახლოდან.

სიცხეა - 38 გრადუსი. გადის 10 წუთი, გადადის ხვითქი უბედურს. ჯერ მაკა არ ჩანს. 15 წუთი რომ გავიდა, ჩვენი მეგობარი გოგო მივუგზავნეთ.

- გივი თქვენ ხართ ხომ? - ეკითხება გოგო.

- მაკა ხართ თქვენ? - ოფლი მოიწმინდა გივიმ.

- არა, მე მაკას დაქალი ვარ, ეკა. მაკამ დამაბარა ცოტა მაგვიანდება და არ წავიდესო. უთხრა ეს გოგომ, მოპირდაპირე მხარეს გადავიდა ტროლეიბუსის გაჩერებაზე და დარჩა გივი თავის კაეშანთან. გადის კიდევ 10 წუთი. გივი ცოცხლად „იშუშება" დუბლიონკაში. მეტი ველარ გაძლო და გადაალაჯა იმ გოგოსკენ, გაჩერებაზე რომ იდგა:

- აღარ მოდის და რა ვქნა?

გოგო ვითომ შეწუხდა:

- ვაიმე, რა მოუვიდა? არ ვიცი პირდაპირ... რა გიყოთ? იცით, თუ გნებავთ მე გაგიწევთ მის მაგივრობას... რას იტყვით?

- ჯანდაბას... იყოს! - აღარ გაჯიუტებულა სამიჯნუროდ განწყობილი „ჩამთბარი" ჯეელი, ოღონდ 5 წუთი აქ დამიცადეთ, ამ დუბლიონკას დავტოვებ ბაზაზე, აღარ მცივა მაინცდამაინც და მოვალო დაუბარა და გამოენთო ბაზისკენ. ჩვენც იქ დავხვდით. ვაწყდებით ერთმანეთს.

... 20 წუთში დაბრუნდა დაბოლმილი და განბილებული.

- რა მოხდა? - ვეკითხებით მიამიტად - ვერ შეხვდი?

- აღარ დამხვდა - ამბობს დაბნეულად. ან შეიძლება დამხვდა კიდევაც, მაგრამ იმას რას ვერჩი, დუბლიონკა არ უნდა გამეხადა, ჩემი ბრალია, უდუბლიონკოდ რას მიცნობდა. ჩემნაირი ჩაცმული უამრავი დადიოდაო...

ატყდა ხარხარი და როგორიიიი!!! გივი მის მერე ვარჯიშზე აღარ მოსულა. ეჰ,

## ჩაარტყი ბიჭო... ჩაარტყი!

ახლა ქვემოთ იმაზე მოგახსენებთ თავად მე როგორ დავიჩაგრე. ტურნეში ვართ. არ აქვს მნიშვნელობა სად და როდის... კომუნისტების დროა და უცხო ყველაფერი შესანიშნავი და გადასარევი გვგონია.

რალაც ვაივაგლახით მოგროვილ-დანაზოგი ფულით „ფირმა ტელევიზორი" შევიძინე - „სონი". უნდა ჩამოვიტანო თბილისში და დავთხარო თვალები მტერ-მოყვარეს...

მივიტანე სასტუმროს ნომერში და ჩავრთე დემონსტრატიულად ჩვენი ბიჭების თვალწინ. ხომ უნდა გავსინჯო... აციმციმდა ეკრანი და რა აციმციმდა... არ გასულა 5 წუთი და ხმამ საეჭვოდ მოიკლო... მოიკლო, მოიკლო და ჩაწყდა. მარტო გამოსახულებალა ჩანს. დანაღვლიანებულმა გადავხედე ბიჭებს:

- არა აქვს ხმა, რა მოუვიდა?

- მიდი ერთ, დაარტყი ხელი ზემოდან - მეუბნება სავარძელში ნებივრად გადაწოლილი ქინქლაძე („ქინქლა").

დავარტყი..

ხმამ ოდნავ მოიმატა.

- კიდევ, ისევ „დამარიგა" „ქინქლამ". ისევ ჩავარტყი - მორიდებულად. ტელევიზორმა ხმას უმატა.

- ეყოფა - მეუბნებიან დანარჩენები. ფირმა ტელევიზორებმა ასე იციან. ცოტა ხანში ხმა განორმალურდა.

შევბამოგვრილი ჩავჯექი სავარძელში. ორ წუთს არ გაუვლია და ეკრანზე სინათლემ იწყო კლება. ჩამუქდა, ჩამუქდა, ჩაშავდა და... გამოსახულება საერთოდ გაქრა.

- მიდი ჩაარტყი! - ისევ მკარნახობს „ქინქლა". ჩავარტყი, მაგრამ რად გინდა, ისევ ჩაშავებულია ეკრანი.

- აუუუ... მივხვდი სიმონ! - ისევ „ქინქლა" აქტიურობს - სულ დამავიწყდა, მე შტერს.

- რა დაგავიწყდა, რა! - გადარევას ვარ.

- გამოსახულება როცა არ ჩანს - გვერდიდან უნდა შემოულაწუნო! აუ, რამ დამავიწყა, კაცო!

გავუქანე და ვლეწე გვერდებში ტელევიზორს იქედან და აქედან მეტი დამაჯერებლობისთვის. ბიჭოს! ეკრანი ოდნავ განათდა...

- ერთიც... „გაუხარდა" „ქინქლას". შემოვცხე ტელევიზორს. მართლაც მოიმატა და მოიმატა სინათლემ. ეკრანი არაჩვეულებრივად აკაშკაშდა, ოღონდ მალევე იკლო ეკრანზე სინათლემ.

რომ წამოვხტიიიიი! რომ მივვარდიიი! და ხომ უნდა ვლეწო ზემოდან და გვერდებიდან - ატყდა ხარხარი. აწყდებიან ერთმანეთს ეს გიჟი ჩვენი ბიჭები.

- გოიმი ხარ, რა! - ძლივს ამოითქვა სული სიცილისგან ჩაბჟირებულმა „ქინქლამ" და „პულტი" ჩამაჩრა ხელში...

## დავაფასებ ქალო, დავაფასებ!

ერთი მზიანი დღეა. იუბილეს ვზეიმობთ ბიჭები - „დინამოს" იუბილეს. გვარიანი სუფრა გამოგვივიდა. ვართ ასე 30-40 კაცი ძველიან-ახლიანად. დაგვაფასა და გვეწვია ერთი (არ მინდა ახლა ვინაობა დავაფიქსირო) ძალიან ღვაწლმოსილი ვეტერანი („უვეტერანესი") ფეხბურთელიც. თავისი მოკრძალებული „ჟიგულით" მობრძანდა (მაშინ სხვა მანქანა სად იყო!).

აქეთური-იქითური, სიყვარული, გაგება და ა.შ. მოკლედ ხელჩართული სმაა და ეს საპატიო ვეტერანი მაგრად დაითრო. მადლიერმა შეგირდებმა სკამიდან ხელით წამოვაყენეთ ქეიფის ბოლოს. მანქანის საჭესთან ეს რას დაჯდება. ცოდო არ მინდა, თვითონვე თქვა: „ჩემს მანქანას აქ დავტოვებ, ტაქსით წავალო".

ჩვენთან მანქანა კი არა ხუთთეთრიანი არ დაიკარგება, მაგრამ მაინც კაცო, გადავწყვიტეთ გაგვეცილებინა თავისივე მანქანით, არადა გაჭინჭყლდა „ტაქსით წავალ, ტაქსით!" - არ გვაწუხებს თავის ჭკუით და მორიდებით.

- კარგი, ბატონო... დავამშვიდეთ და ფხიზლად გადარჩენილი თითო თვალი ჩავუკარით ბიჭებმა ერთმანეთს. ჩანაფიქრი მარტივი იყო. ამ ჩვენს ვეტერანს ვითომ ტაქსით გავაცილებდით. სინამდვილეში მე - პირადად გამოვაცილე (გამოვიყვანე სპეციალურად არ ვამბობ, თუმცა მაინც წამომცდა) და ვითომ ტაქსს ველოდებით ქუჩაში. ამ დროს ამ ვეტერანის „ჟიგული" (ჩვენ რომ გვიტოვებდა, თქვენ მომიყვანეთ ხვალო) დაგვიმუხრუჭდა ფეხებთან.

- აი ტაქსიც მოვიდააა.... ჩავსვით და მივიყვანეთ სახლში. კაცმა ვერაფერი გაიგო, ოღონდ „მეობა" ახსოვდა. ჯიბიდან 10-იანი ამოიღო, „მძღოლს" მისცა და ჩემზე ეუბნება - „ეს კაცი მიიყვანე სადაც გეტყვის, ფული არ გამოართვაო". მეტი ველარ მოვითმინეთ მე და „მძღოლმა".

- ბატონო „იმანო" - ეს თქვენი მანქანაა... თქვენი!

- რატომ? - რატომლაც სრულიად მოულოდნელი და მდგომარეობისთვის შეუთავსებელი კითხვა დასვა ვეტერანმა.

- თქვენია ეს მანქანა, თქვენი ბატონო ბ-იონ...

- აუუუუჰ! - ბოლო ენერგია მოიკრიფა კაცმა - მადლობა ძვირფასებო, მადლობა! ვიცოდი მეეე... ვიცოდი.

...მეორე დღეს ამ ვეტერანის ცოლი რეკავს ჩვენთან.

- გისმენთ, ქალბატონ ლ-ლა, - ვიცანით ხმაზე.

- რა აჩუქეთ ჩემს ქმარს, რა, რომ გადარიეთ ამ სიბერეში?

სახტად დავრჩით.

თურმე ვეტერანს ცოლისთვის უთქვამს: „ბიჭებმა, საიუბილეოდ მანქანა მაჩუქეს - შენია შენიო!!!!"

შეგრცხვა და... ისე კი ეეეჰ! - კი ეკუთვნოდა ნესიერ ქვეყანაში...

## რა გადარჩააა!

„მაკვარანცხობით" დავიწყე და ასევე დავასრულებ.

მაშინ სამტრედიაში ვთამაშობდი და რუსეთში უნდა გადავფრენილიყავით ძალიან საპასუხისმგებლო თამაშზე. თვითმფრინავით მგზავრობას ყველა ვერ იტანს. ერთი, მესამე ნომერი გვყავდა - გენო. ფრენის ეშინოდა და მე სულ მიკვირდა: „რატომ უნდა ეშინოდეს ფრენის კაცს, რომელიც მუდამ აფრენს? ნუ, ეშინოდა და...

- რა ვქნა კახი? - მეკითხება აეროპორტში - ვერ ჩავჯდები თვითმფრინავში, მაშინვე გამისკდება გული...

არ მინდა ახლა ამ კაცის განბილება და რა ვქნა? - ვფიქრობ, არადა - არ მეშვება - რა ვქნა? რა ვქნა - მიშველე რამე!!!

- მე ასე ვიცი - დავუწყე „ჩემებური დარიგება", იქნებ დამშვიდეს-თქო - გაფრენის წინ რაიმე მცირე უნდა გადაყლაპო, რომ არ დაგცადოს-თქო.

ლაინერი ჰაერშია და დაეწყო ამ უბედურ დღეზე გაჩენილს გულისრევა. სტიუარდესამ პარკი ჩააჩეჩა ხელებში. დიდხანს იყლოჭინა საწყალმა. უცებ, წამოიწია, დაიძაბა და... რუსული „კაპიკიანი" მონეტა გაგორდა სალონში. კარგია ხანდახან კაცი რომ ღარიბია, თორემ რკინის მანეთიანი რომ გადაეყლაპა, არა მგონია ჩემო მკითხველო, ასე გავმხიარულებულიყავით.

**მურმან მერკვილიშვილი**

ინტერვიუ მარკიზ ჰეინსთან

# ევრობასკეტზე ბევრს გავაოცებთ

2003 წელს ფიბა-ევროპამ ახალი კანონმდებლობა მიიღო, რომლის მიხედვით გუნდები ორ დივიზიონად გაიყო და გადაწყდა, რომ ნებისმიერ ევროპულ ნაკრებს ერთი ნატურალიზებულის გამოყვანის უფლება ექნებოდა. 2004 წელს საქართველოს ეროვნული გუნდის შეკრებაზე გამოცხადდა ამერიკელი **შემონდ უილიამსი,** რომელიც მანამდე NBA-ში თამაშობდა და გადაწყვეტილი ჰქონდა კარიერა ევროპაში გაეგრძელებინა. შემონდმა ორ წელიწადში საქართველოს ნაკრებში 5 მატჩი ჩაატარა, საშუალოდ 20 ქულასა და 7.4 პასს აგროვებდა.

2006 წელს ჩვენს ეროვნულ გუნდში ახალი ნატურალიზებული გამოჩნდა - **ტაირონ ელისი,** რომელიც ნაკრების მაშინდელმა მწვრთნელმა **გორდონ ჰერბერტმა** ჩამოიყვანა (ერთად გერმანულ „სკაილაინერსში" მუშაობდნენ). ტაირონმა ნატურალიზებულთაგან ყველაზე მეტი, 4 წელი გაატარა საქართველოს ნაკრებში და წლეულსაც მისი იმედი გვექნებოდა, რომ არა 2010 წლის ერთი ამბავი: შარშან ელისის მეუღლე ბავშვს ელოდა და ტაირონი ფედერაციის ხელმძღვანელებს ნაკრებიდან დაეთხოვა. 2010 წელს ელისის შემცვლელად ნაკრების თავკაცმა **იგორ კოკოშკოვმა ტორინ გრინი** იხმო. არც ტორინი იყო ურიგო კალათბურთელი, თუმცა ევროპის 2011 წლის ჩემპიონატზე გუნდს ვერც ის დაეხმარება. ამის მიზეზი ტრავმაა - გრინმა ფეხის ცერი დაიზიანა და რეაბილიტაციისთვის დრო არ ეყო. ჩვენი გუნდის თავკაცი იძულებული გახდა ახალი ამერიკელი მოეძებნა, იგორ კოკოშკოვმა საქართველოს ნაკრებში **მარკიზ ჰეინსს** უხმო, რომელიც გასულ სეზონში ფრანგულ „შალონში" თამაშობდა, ამ ზაფხულს კი ესპანურ „გრან კანარიაში" გადავიდა (რაშიც საქართველოს პასპორტი დაეხმარა, რადგან ესპანეთში ამერიკელებზე გარკვეული ლიმიტია).

*- მარკიზ ჰეინსი პირველად ფინიქსში გავიცანი. იგი „სანსთან" ერთად ვარჯიშობდა და ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მას მერე ჰეინსის თამაშს თვალს ვადევნებ და შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან პერსპექტიული კალათბურთელია. მან ევროპაში პირველივე სეზონი მაღალ დონეზე ჩაატარა და თუ ასე განაგრძო, ვფიქრობ, NBA-შიც ითამაშებს. ჰეინსი ფიზიკურად ძლიერია, შეუძლია, როგორც მსროლელად, ასევე პლეიმეიქერად თამაში და საქართველოს ნაკრებს ძალიან წაადგება,* - თქვა ეროვნული გუნდის თავკაცმა იგორ კოკოშკოვმა.

ცხადია, ნატურალიზებული კალათბურთელებისგან ყოველთვის ბევრს ელიან, მით უმეტეს, რომ შემონდ უილიამსმა და ტაირონ ელისმა სამქულიანებით გაგვანებივრეს. თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მარკიზი დებიუტანტია და ახალ გუნდთან შესაწყობად დრო სჭირდება. რატომღაც მომეჩვენა, რომ თბილისში ისრაელთან მატჩის დასაწყისში ძალიან ნერვიულობდა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მარკიზი 25 წლისაა. მათ, ვინც ჰეინსისგან 20 ქულას ელის, შევახსენებთ, რომ იგორ კოკოშკოვის ხელში საქართველოს ნაკრებმა თავისი სახე მიიღო და გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს. გუნდური თამაშისას კი 20 ქულის ჩაგდება არცთუ იოლია.

მთავარი ისაა, რომ ჰეინსი თავადაც ხვდება, რომ ნაკრების წარმატება ერთ კალათბურთელზე არაა დამოკიდებული და ცდილობს გუნდურად ითამაშოს. თუ ელისი მხოლოდ მსროლელი იყო, მარკიზს შეუძლია როგორც მეორე ნომრად, ასევე გამთამაშებლად თამაში, რაც საქართველოს ნაკრების დამატებით პლუსად უნდა იქცეს. დანარჩენს ევროპის ჩემპიონატი გვიჩვენებს. როგორც უნდა წარიმართოს ქართველთა ბედი ევრობასკეტზე, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ **ზაზა ფაჩულიას** სიტყვები:

*- ნებისმიერ უცხოელს უჭირს ახალ გუნდთან შეგუება, თუმცა მარკიზ ჰეინსს კარგი ხასიათი აქვს და ჩვენს გუნდსაც სათანადოდ შეეწყო. მთავარი ისაა, რომ იგი მხოლოდ წლეულს კი არა, მომავალ წელსაც დაგვეხმარება. ის ხომ ჯერ 25 წლისაა.*

დროა თავად მარკიზ ჰეინსს მოვუსმინოთ, რომელიც საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოჩნდა - ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ღირსების დაცვა მოუწევს.

- საქართველოს ნაკრებში თამაში ჩემთვის დიდი ბედნიერებაა. თუნდაც იმიტომ, რომ ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლა ნებისმიერი სპორტსმენისთვის ბევრს ნიშნავს, მეორეც, ძალიან მნიშვნელოვანია ასეთ შეჯიბრებაში საქართველოსნაირ ძლიერ გუნდში თამაში.

**- ჩვენი ნაკრების პოტენციალზე კონკრეტულად რისი თქმა შეგიძლია?**

- საქართველოს ეროვნულ გუნდს აქვს პოტენციალი ევროპის ჩემპიონატზე ბევრი გააოცოს. თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენს ნაკრებს ძლიერი წინა ხაზი ჰყავს. ასეთი ტანმაღალი კალათბურთელებით ევროპის ბევრი ქვეყანა ვერ დაიტრაბახებს. კალათბურთში კარგი მეფარე ბევრს ნიშნავს. თუმცა, არც სხვა რგოლში გვყავს სუსტი მოთამაშეები.

**- უკანახაზელებზე რას იტყვი?**

- უკანა ხაზშიც კარგი მოთამაშეები გვყავს. მსროლელის პოზიციაზე გამორჩეულია მანუჩარ მარკოიშვილი, გუნდისთვის ბევრის გაკეთება შეუძლია ბუს (გიორგი ცინცაძე). კიდევ გვყავს კარგი უკანახაზელები და როგორც ვამბობ, ნამდვილად შეგვიძლია ბევრისთვის მოულოდნელად არაერთი ძლიერი გუნდი დავამარცხოთ. საქართველოს ნაკრები ყველა რგოლში კარგად დაბალანსებული გუნდია.

**- როგორც ჩანს, ორ პოზიციაზე შეგიძლია თანაბრად თამაში...**

- წლეულს საქართველოს ნაკრების საწყის მატჩებში ძირითადად მსროლელად ვთამაშობდი. ახლა ყოველ შეხვედრაში ხან მეორე ნომრად (მსროლელად) ვირჯები, ხან - გამთამაშებლად. მზად ვარ იქ ვითამაშო, სადაც მწვრთნელი მეტყვის და სადაც გუნდს დასჭირდება.




**- საინტერესოა, რა იფიქრე, როცა პირველად საქართველოს ნაკრებში თამაში შემოგთავაზეს.**

- ეს ჩემთვის დიდი სიურპრიზი იყო. მანამდე ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ ევროპის ჩემპიონატზე თამაში მომიწევდა. თანაც ასეთ გუნდში. საქართველოს ნაკრები ერთი ოჯახივითაა, ყველა ერთურთის მეგობარია და ვცდილობ, მეც ამ ოჯახს შევუერთდე. როცა ქართველთა კრებულში თამაში შემომთავაზეს, არ დავფიქრებულვარ, მაშინვე თანხმობა განვაცხადე, რადგან ეს ჩემს ინტერესებშიც შედიოდა. თუ გუნდს დავჭირდები, მზად ვარ საქართველოს ნაკრებს მომავალშიც დავეხმარო.

ტრანსფერი



# შენგელია ევროლიგის ჯგუფისთვის იბრძოლებს

ევროლიგის ოფიციალურ საიტზე ვკითხულობთ: „ შარლერუამ" იმედისმომცემი ფორვარდი **თორნიკე შენგელია** დაიმატა." საქართველოს ნაკრების 19 წლის ფორვარდი მომავალ სეზონში ბელგიური „შარლერუას" ღირსებას დაიცავს. თორნიკემ ამ კლუბთან კონტრაქტი 2010 წელს გააფორმა, თუმცა გასული სეზონი ასევე ბელგიურ „პეპინსტერში" გაატარა. იგი ამ გუნდში განათხოვრებული იყო.

როგორც ჩანს, „პეპინსტერში" და ევროპის ახალგზარდული ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე წარმატებული თამაში მხედველობიდან არ გამორჩენიათ შარლერუელებს, რომლებმაც შენგელიას გუნდში დაბრუნება გადაწყვიტეს. ქართველი ფორვარდი შარშან საშუალოდ 18.7 წუთში 6.4 ქულასა და 3.6 მოხსნას აგროვებდა. ახალგაზრდულ ნაკრებში კი ივლისში 9 მატჩი ჩაატარა და მსუყე სტატისტიკა ჰქონდა: 29.9 ქულა, 12 მოხსნა, 2.3 დაფარება.

„შარლერუა" შარშან ევროლიგის ჯგუფურ ეტაპზე თამაშობდა, 2011 წლის მაისში ბელგიის ჩემპიონატი მოიგო და წლეულსაც ევროლიგაზე იასპერეზებს. თუმცა ჯგუფურ ტურნირში სათამაშოდ საკვალიფიკაციო ეტაპი აქვს გასავლელი, რომელშიც საწყის ეტაპზე უკრაინის „დონეცკს" ხვდება.

საქართველოს ნაკრები

# კიდევ ერთი მხარდამჭერი

ევროპის ჩემპიონატის მოახლოვებასთან ერთად ქართული კალათბურთისადმი ინტერესი მატულობს. თუ წინა წლებში საქართველოს კალათბურთის ფედერაციას სპონსორების მოძიება ძალიან უჭირდა, ამჯერად თავად კომპანიები იჩენენ გადამეტებულ ინტერესს.

გუშინ სასტუმრო „ჰოლიდეი ინში" კალათბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი გააფორმა „ჰიუნდაი ჯორჯიამ". შეგახსენებთ, რომ ეს ფირმა საქართველოს ნაკრებს გვერდში აქამდეც ედგა, 2009 წელს ყოველი მატჩის შემდეგ საუკეთესოებს აჯილდოვებდა.

კომპანიის ხელმძღვანელმა **დავით გიორგობიანმა** კონტრაქტის გაფორმებამდე თანამშრომლობის მნიშვნელობასა და საქართველოს ნაკრების პერსპექტივებზე ილაპარაკა. კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელმა **ბესიკ ლიპარტელიანმა** კი აღნიშნა:

*- საქართველოს ნაკრებისთვის ასეთი კომპანიის მხარდაჭერა მეტად მნიშვნელოვანია. მით უმეტეს, რომ თანამშრომლობა მხოლოდ ერთ წელს არ მოიცავს.*

საქართველოს ნაკრების მეტოქე. სლოვენია

# მიჰაც ვერ ითამაშებს

გუშინ სლოვენიელთათვის არასასიამოვნო ინფორმაცია გავრცელდა - ევროპის ჩემპიონატზე გუნდს ვერ დაეხმარება 29 წლის, 205 სმ სიმაღლის მეფარე **მიჰა ზუპანი,** რომელიც გასულ სეზონში სანკტ პეტერბურგის „სპარტაკში" თამაშობდა.

ზუპანმა ზურგის ტრავმა მიიღო და ექიმების რჩევით 2-3 კვირით მოუწევს დასვენება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მიჰა ევროპის ჩემპიონატამდე გამოჯანმრთელებას ვერ მოასწრებს და ლიტვაში სლოვენიელებს ვერ დაეხმარება.

ზუპანმა 2010 წლის მსოფლიოს პირველობაზე 9 მატჩი ჩაატარა, საშუალოდ 6.2 ქულასა და 3.1 მოხსნას აგროვებდა.

გუშინვე, სლოვენიაში მოთამაშე **ვლადიმერ ბოისამ** სლოვენიელებზე საუბრისას აღნიშნა - ზუპანის გარდა მათ კიდევ არაერთი კარგი კალათბურთელი დააკლდებათ. არადა, ოპტიმალური შემადგენლობა რომ შეეკრიბათ, ევრობასკეტის მოგების ერთ-ერთი ფავორიტები იქნებოდნენო.

20 და 21 აგვისტოს სლოვენიის ნაკრები ამხანაგურად ესპანეთს „დაეჭიდება".




გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

● ინტერვიუ ირაკლი კიზირიასთან

# მორაგბე, რომელიც საკუთარ თავს სჯობნიდა

## ქართული რაგბი განვითარების მეოთხე ეტაპზეა ის ელიტაში შესვლით უნდა დაგვირგვინდეს



**„გამარჯვების დაუოკებელი ჟინი, რკინისებური ხასიათი, უნარი, რომ ითამაშოს თავის შესაძლებლობებზე უკეთესად, აჯობოს საკუთარ თავს..." - ასე ახასიათებდნენ მორაგბეობისას ირაკლი კიზირიას რაგბის ქომაგები, სპეციალისტები და თავად მორაგბეები. ქართული რაგბის ერთ-ერთ პიონერს, კაშკაშა ვარსკვლავს ახლახან 70 წელიწადი შეუსრულდა. ამიტომ, საჭიროდ ჩავთვალეთ კიდევ ერთხელ გაგვეხსენებინა ეს ადამიანი, რომელიც თანამედროვე ქართული რაგბის წარმატებების სათავეებთან იდგა.**

**- ბანალური კითხვაა, როდის დაიწყეთ რაგბის თამაში. ამაზე ალბათ არაერთხელ გაგიციათ პასუხი. იქნებ უფრო უპრიანია გკითხოთ, როგორ დაიწყეთ რაგბის თამაში. რა იყო ის ძალა, რითაც ამ სპორტის სახეობამ მიგიზიდათ?**

- იმას თუ როგორ, რა გარემოში ეზიარები სპორტის ამა თუ იმ სახეობას, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. სანამ რაგბის ბურთს პირველად ხელში ავიღებდი, ფეხბურთსაც ვთამაშობდი, ხელბურთსაც და ჰოკეისაც. ორი წლის განმავლობაში საქართველოს ჰოკეისტთა ნაკრების წევრი ვიყავი.

1962 წელს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდში მივედი. ყველაზე მეტად, რამაც მომხიბლა და რაგბი შემაყვარა ის ადამიანები იყვნენ, ვინც გუნდში დამხვდა. ნოდარ ყიფიანი, ნუგზარ მგელაძე, ორესტი დიმიტრიადი, გოგი ტონია, შესანიშნავი, დიდი პიროვნებები იყვნენ. რაგბიში დარჩენა, სწორედ ამ ადამიანებთან ურთიერთობის სურვილმა გადამაწყვეტინა.

**- პირველი ოფიციალური შეხვედრა ალბათ ყველაზე მეტად დასამახსოვრებელია. ფაქტობრივად, მაშინ ხდება მორაგბედ ნათლობა...**

- ძალიან კარგად მახსოვს. სხვათა შორის, პირველად მეორე შუამარბად (N13) მათამაშეს. არ ვიცი, როგორც ჩანს, ცუდად არ მითამაშია. რამაზ გოგლიძემ ბიჭებს უთხრა, ირაკლი დღეს ოფიციალურად გახდა ჩვენიანი და მოდით, აღვნიშნოთო. სტადიონიდან რომ წამოვედით, რკინიგზის სადგურზე ერთ-ერთ კაფეში პიკნიკი მოიწყვეს. ასე მოხდა ის ნათლობა.

რაც შეეხება უკვე უფრო სერიოზულ, ოფიციალურ მატჩებს, ის მომდევნო წელს გაიმართა პროფკავშირების თასზე, რომელიც ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირის არაოფიციალური ჩემპიონატი იყო. ჩვენ „განთიადის" სახელით გამოვდიოდით და ამ ტურნირისთვის მზადების პროგრამით რიგაში გაგვიშვეს. საკმაოდ წარმომადგენლობითი შეჯიბრება იყო. იქ მეორე ადგილი დავიკავეთ ისე, რომ თამაში არ წაგვიგია.

აი, პროფკავშირების ჩემპიონატი კი თბილისში გაიმართა და საბჭოთა კავშირის ყველა უძლიერესი გუნდი მონაწილეობდა. მესამე ადგილი დავიკავეთ. პირველობა „მაიმ" არავის დაუთმო. ეს გუნდი იმ დროს ყველაფერს იგებდა.

**- თუმცა მომდევნო წელს პირველი მარცხი მაინც თქვენმა გუნდმა აგემა...**

-კი, ასე იყო. ეს თამაში სხვა რამითაც იყო გამორჩეული. მახსოვს იმ დროს საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები იტალიის ეროვნულ ნაკრებს უნდა შეხვედროდა და ძალიან გვინდოდა ეს მატჩი გვენახა. მოსკოველებს მივწერეთ, მოდით, ჩამოვალთ და ერთი პატარა ტურნირი მოვაწყოთ. დაგვთანხმდნენ. ჩავედით და „მაის" 12:8 მოვუგეთ. თორმეტივე ქულა გუნდს მე მოვუტანე. მერე „ხიმკი" და „სპარტაკიც" დავამარცხეთ. ბოლოს გვითხრეს, ნაკრებს შევადგენთ და ისე გეთამაშებითო. ჩვენ ფული აღარ გვქონდა, კიდევ რამდენიმე დღეს რომ დავრჩენილიყავით და აღარ გამოვიდა ეგ ამბავი.

**- თქვენ ერთი რეკორდიც გეკუთვნით. რომელიც დღემდე არავის გაუუმჯობესებია. ერთ მატჩში 88 ქულა ცოტა არ არის...**

- ჰო, ეს 1971 წელს იყო სპორტსაზოგადოება „დინამოს" საკავშირო პირველობაზე. მაშინ ბაქოს „დინამოს" 156:3 მოვუგეთ და 88 ქულა მე მივითვალე. ეს ტურნირი ლვოვში ჩატარდა. თითქმის ყველა თამაში დიდი ანგარიშით მოვიგეთ, მხოლოდ მოსკოვის „დინამოსთან" დავჯერდით ფრეს -3:3.

ამ შეხვედრისას გრანდიზოული ჩხუბი მოხდა. ვალენტინ რაფავა, გია რაფავას მამა, თამაშის დროს დაშავდა და მწვრთნელმა შეცვალა. როცა „დინამოს" სათადარიგოების საკამს გვერდი ჩაუარა, ერთმა ქართველთმოძულემ , გვარად სოლოვიოვმა დედა შეაგინა. ამას გუნდური ჩხუბი მოჰყვა, რომელშიც სათადარიგოებიც ჩაერთნენ. მოსკოველებს ერთი ლიტველი ურომსმტყორცნელი ჰყავდათ გვარად ხარისი. უზარმაზარი კაცი იყო. იმან ვალენტინისკენ გაიწია, რომელიც ყველას თითო დარტყმით ადგილზე ცელავდა. არც ხარისს შეუშინდა და ისეთი დაჰკრა, ამოდენა კაცი ჰაერში ააყირავა. ეს იყო და ჩხუბი უმალვე შეწყდა.

**- ვიცით, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც იყავით მიწვეული, თუმცა თამაშმა არ მოგიწიათ...**

- დიახ, ნაკრებს საწვრთნელ შეკრებაზეც ვახლდი, მაგრამ იმ წელიწადს არავისთან გვითამაშია. მერე ნაკრების მწვრთნელად ანტონოვი რომ დანიშნეს, თქვა, ახალგზრდები უნდა გავზარდოთო. მე აღარ დამიძახა. ბოლოს კი ნაკრებში ჩემზე სამი წლით უფროსიც კი გამოიძახა.

**- თქვენთვის, როგორც ლვაწლმოსილი მორაგბისთვის, ცხადია, თანამედროვე ქართული რაგბის წარმატებები სხვა, ჩვეულებრივ ქომაგზე მეტად გახარებთ. რას განიცდით, თუ შეგიძლიათ ეს ემოციები სიტყვებით გადმოგვცეთ?**

- უსაზღვრო სიხარულს ვგრძნობთ ვეტერანები. თვალზე ცრემლი გვადგება ხოლმე. ახლა რომ ვუფიქრდები, იმხანად, ჩემს დროს, ისეთ რთულ პირობებში რაგბი ჩვენი „დინამოსა" და „ლოკომოტივის" კონკურენციამ, ჩვენ შორის ჭიდილმა შემოგვინახა. თანაც, მორაგბეთა აბსოლუტურ უმრავლესობას რაგბის ფანატიკური სიყვარული ჰქონდა. თითქმის ყველა მზად იყო, რაგბის გამო ბევრ სიკეთეზე ეთქვა უარი. ყველაზე სწორი გადაწყვეტილება კი რაგბის ფედერაციის პრეზიდენტად ბორის პაიჭაძის დანიშვნა იყო. მაშინ გვირჩიეს, რომ თუ მას არ აირჩევთ, დაგშლიანო. თავიდან უარზე იყო, მაგრამ ბოლოს მაინც დავითანხმეთ. ამან ძალიან დიდი გავლენა იქონია რაგბის განვითარებაზე. მერე რამდენჯერმე „დინამოს" სტადიონზეც გვათამაშა და ამით რაგბი უფრო პოპულარული გახდა.

ერთი სიტყვით, ჩვენი და „ლოკომოტივის" პაექრობით დასრულდა საქართველოში რაგბის განვითარების პირველი ეტაპი. მეორე ეტაპი ასპარეზზე ქუთაისური რაგბის გამოჩენით დაიწყო. იქ გუნდი სამოციან წლებშიც ჰყავდათ, მაგრამ 1975 წლიდან უკვე მაღალ დონეზე დაიწყეს თამაში, რომელიც ქუთაისის „აიამ" ოთხმოციან წლებში ტრიუმფით დაასრულა.

ქუთაისური ჟინიანი მორაგბეებისა და თბილისიდან ჩასული ბიჭების სინთეზმა შესანიშნავი შედეგი გამოიღო. „აია" მართალც ძალიან ძლიერი, ბრწყინვალე გუნდი იყო და ზედიზედ სამჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ამის მიღწევა ძალზედ ძნელი იყო და ეს „აიამ" შეძლო. ამით დასრულდა მეორე ეტაპი.

მესამე ეტაპი საბჭოთა კავშირის დაშლით დაიწყო. გუნდებს ძალიან გაუჭირდათ. ოდნავ უკუსვლაც მოხდა, თუმცა რაგბის კავშირის მაშინდელი ხელმძღვანელების დამსახურებაა, რომ მოთამაშეებისთვის საფრანგეთის ძლიერ ჩემპიონატში გაჭრეს ფანჯარა. ჩვენი მორაგბეები ერთ-ერთ ლიდერ სარაგბო ქვეყანაში კარგ საწვრთნელ პირობებში ვარჯიშობდნენ და თამაშობდნენ. ამით მათი სათამაშო დონე ამაღლდა. შედეგად კი 2003 წლის მსოფლიოს თასზე თამაშის უფლება მოვიპოვეთ. ეს უდიდესი წარმატება იყო. აქ დასრულდა მესამე ეტაპი.

ამჟამად ქართული რაგბი განვითარების მეოთხე ეტაპზეა. მსოფლიოს თასზე გასვლა ოცნება აღარ არის. ამ დონეზე თამაში არ გვიჭირს. ახლა ელიტას უნდა დავუახლოვდეთ და იქ შევაღწიოთ. საამისოდ კი ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ასაწყობია ინფრასტრუქტურა, ასამაღლებელია მწვრთნელების კვალიფიკაცია, მოსაზიდია ფინანსები. ეს საკმაოდ ხანგრძლივი, ძნელი და შრომატევადი პროცესია.

**- ორიოდ კვირაც და ახალ ზელანდიაში „ბორჯღალოსნები" მსოფლიოს თასის გათამაშებაში ჩაებმებიან. რას ელოდებით ჩვენი ნაკრებისგან?**

- პროგნოზებისგან თავს შევიკავებ. კარგი იქნება, თუ წინა მსოფლიოს თასზე არანაკლებ კარგად ვიასპარეზებთ. ერთი კი მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო: საფრანგეთის პრესაში დიდი ხანია წერენ მამუკა გორგოძის შესახებ. ახლახან კი ახალზელანდიურმა გაზეთმა დაწერა, საქართველოდან მხეცი ჩამოდის და როგორ დავხვდეთო. ცხადია, ჩვენ ახალი ზელანდიის ნაკრების მეტოქეები არ ვართ, მაგრამ ის, რომ ქართველ მორაგბეს ასე შორს აქვს გავარდნილი სახელი და იცნობენ, ჩემთვისაც და ყველასთვისაც ძალიან სასიამოვნოა.



● მსოფლიოს თასი



ჯეიმს ჰორვილი

# ვოლაბებს გიტო დააკლდათ და ჰორვილი უკაპიტნებს

ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელმა **რობი დინსმა** მსოფლიოს თასზე წასაყვანი 30-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. „ვოლაბებს" შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ მოხვდა **მეთ გიტო**, რომელმაც სამი ერის წლევანდელი გათამაშების ყველა შეხვედრა გამოტოვა.

ამასთან ავსტრალიელთა გუნდში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებაა. დინსმა ზედ ჩემპიონატის წინ კაპიტანი შეცვალა. **როკი ელოსმის** ნაცვლად ავსტრალიელებს ამიერიდან **ჯეიმზ ჰორვილი** წარუძღვებათ. ის ავსტრალიის რაგბის ისტორიაში 77-ე კაპიტანია.

მიუხედავად იმისა, რომ კაპიტნობიდან გადააყენეს, ელსომი ახალ ზელანდიაში მაინც ითამაშებს. სულ კი გუნდში მასთან ერთად რვა ისეთი მოთამაშეა, ვისაც 2007 წლის მსოფლიოს თასზე უთამაშია. ესენია: **ადამ ეშლი-კუპერი, ბერიკ ბარნსი, დრიუ მიტჩელი, სტივენ მური, ვაკლიფი პალუ, ნათან შარფი და დენ ვიკერმანი.**

„როკი ელსომს ბოლო ხანს ძალიან ბევრი გაუცდა. გასაგები გახდა, რომ მას კაპიტნობის ტვირთი ხელს უშლიდა. ამიტომ, გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე გადავწყვიტეთ, რომ ეს პასუხისმგებლობა სხვა მოთამაშისთვის დაგვეკისრებინა.

დარწმუნებული ვარ, როკი მალე შეძლებს სათანადო ფორმის აღდგენას. რაც შეეხება მეთ გიტოს, აბსურდია იმის მტკიცება, რომ ის ნაკრებში ჩემთან ცუდი ურთიერთობის გამო ვერ მოხვდა. მაშინ ამიხსენით, როგორ მოხდა, რომ მან ეროვნულ გუნდში 92 კეპი მოიხვეჭა. ცუდი ურთიერთობა რომ მქონოდა, ამას როგორ მოახერხებდა?" - იკითხა ავსტრალიელთა თავკაცმა რობი დინსმა.

### ავსტრალიის ნაკრები

**შერკინება: ბენ მაკკალმენი, რადეკი სამო, ვიკლიფი პალუ, დევიდ პოკოქი, როკი ელსომი, სკოტ ჰიგინბოთამი, ჯეიმზ ჰორვილი, რობ საიმონსი, ნათან შარპი, დენ ვიკერმანი, ბენ ალექსანდერი, სეკოპე კეპუ, ჯეიმზ სლიპერი, სალესი მააფუ, სტივენ მური, საია ფაინგაა, ტატაფუ პოლოტა-ნაუ.**

**უკანა ხაზი: ქართლი ბეილი, ჯეიმზ ოკონორი, დრიუ მიტჩელი, დიგბი იოანი, ადამ ეშლი-კუპერი, რობ ჰორნი, პეტ მაკკები, ანტონი ფაინგაა, ბერიკ ბარნსი, ქუადე კუპერი, ნიკ ფილიპსი, ლუკ ბარჯესი, ვილი გენია.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ჩოგბურთი. ტურნირები


კაროლინ ვოზნიაცკი

# კაროს თამაში დაავიწყდა

ზედიზედ მეორე სუპერტურნირზე შეირცხვინა თავი მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ**. პროფესიული ტურის ყველაზე სტაბილური მოთამაშე აბსოლუტურად ამოვარდნილია ფორმიდან და ზედიზედ მესამე ტურნირის სასტარტო მატჩი დათმო.

როგორც ვთქვით, დანიელმა დაკარგა თავისი მთავარი იარაღი - სტაბილურობა. გასულ კვირას, ტორონტოში იტალიელი **რობერტა ვინჩის** წინააღმდეგ კაროლინმა 35 უნებლიე შეცდომა დაუშვა, რაც მეტოქის მაჩვენებელზე ერთნახევარჯერ მეტი იყო. ცინცინატიში ვოზნიაცკის პირველი მოწინააღმდეგე, ამერიკელი **კრისტინა მაკჰეილი** ასევე არ ყოფილა კორტზე იდეალური, მაგრამ ამით დანიელის შეცდომები არ შემცირებულა.

სხვათა შორის, მაკჰეილი ამ მომენტისთვის ამერიკული ჩოგბურთის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ წარმომადგენლად მიიჩნევა. რა თქმა უნდა, ჯერჯერობით რთული სათქმელია, რამდენად გაამართლება ეს მოთამაშე მასზე გაცემულ ავანსებს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მაკჰეილი WTA-ის ტოპ-ასეულის ყველაზე ახალგაზრდა წარმომადგენელია - ერთადერთი, ვინც 1992 წელს დაიბადა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ამერიკელმა წელიწად-ნახევარში რეიტინგის მესამე ასეულიდან პირველში გადაინაცვლა.

მაგრამ ვოზნიაცკის დავუბრუნდეთ, რომელმაც მაკჰეილისგან განსხვავებით უკვე ძალიან ბევრს მიაღწია. სტაბილურობის დაკარგვის შემდეგ, დანიელმა თამაშის წარმართვის სხვადასხვა ტაქტიკა მოსინჯა, მაგრამ ბოლომდე ვერ გაერკვა, რომელი ტაქტიკური გადაწყვეტილება იქნებოდა ოპტიმალური. გარდა ამისა, დანიელი ფორჰენდმა დაალალატა, რასაც მაკჰეილი კარგად იყენებდა - შეცდომების დიდი ნაწილი სწორედ აქედან მოდიოდა. საბოლოოდ, კაროლინმა, რომელიც პირველ მატჩს ატარებდა თავისი ახალი ბოიფრენდის, ცნობილი გოლფისტის **რორი მაკილროის** თვალწინ, ზუსტად იმ ანგარიშით წააგო, რომლითაც ერთი კვირის წინ რობერტა ვინჩისთან მატჩში - 4:6, 5:7. ამის გამო ვოზნიაცკი რეიტინგში 900 ქულას დაკარგავს, თუმცა ჯერჯერობით მის ლიდერობას კლასიფიკაციაში არაფერი ემუქრება, საჩემპიონო რბოლაში კი, შესაძლოა, **პეტრა კვიტოვამ, მარია შარაპოვამ** და **ნა ლიმ** გაუსწრონ, თუ, რა თქმა უნდა, რომელიმე შეძლებს ცინცინატის ტურნირის მოგებას.

*„თუ არ ვცდები, 37 უნებლიე შეცდომა დავუშვი, არადა, ჩვეულებრივ, შვიდრვა შეცდომას ვაგროვებ მატჩში. მაგრამ ასეთი რამეებიც ხდება. არსებობს კარიერაში კარგი მონაკვეთებიც და ჩავარდნებიც. დარწმუნებული ვარ, მომავალში დავიბრუნებ ფორმას და კიდევ ბევრ მატჩს მოვიგებ. რა თქმა უნდა, მოგება მინდოდა და ძალიან იმედგაცრუებული ვარ, მაგრამ ეს მხოლოდ მორიგი ტურნირი იყო. ცხოვრება გრძელდება“*, - აღნიშნა მატჩის შემდეგ ვოზნიაცკიმ.

ცინცინატის ტურნირს გამოეთიშა ორი ფავორიტი, თუმცა მათ ეს კორტზე გაუსვლელად გააკეთეს. ტორონტოს ტრიუმფატორმა **სერენა უილიამსმა ლუსი ჰრადეცკას** დამარცხების შემდეგ უარი თქვა **სამანტა სტოსურთან** თამაშზე - ამერიკელმა მარჯვენა ფეხის თითის ტრავმა მოიმიზეზა და განაცხადა, რომ არ სურს ამერიკის ღია პირველობის წინ რისკზე წასვლა. სერენას, თქმით, ეს დაზიანება ხელს არ შეუშლის „ფლეშინგ მედოუს“ კორტებზე თამაშში.

მეორე ჩოგბურთელი, რომელმაც უარი თქვა 1/16 ფინალში თამაშზე, ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა** იყო. როგორც ჩანს, ტორონტოს ტურნირის ფინალში მიღებული მარჯვენა ხელის ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა. ამასთან დაკავშირებით ბელარუსს ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია, ძირითად ბადეში კი ის ფრანგმა **პოლინ პარმენტიემ** შეცვალა, რომელმაც **შაარ პეერთან** ორ სეტში წააგო.

### 1/16 ფინალი

**სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 14)**-პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ) 4:6, 6:3, 6:4; **პეტრა მარტიჩი (ხორ)**-იანინა ვიკმაიერი (ბელ, 17) 3:6, 6:2, 6:2; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 7)**-მარია კირილენკო (რუს) 7:5, 3:6, 6:4; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 13)**-ჟიე ჟენგი (ჩინ) 4:6, 6:3, 6:1; **ნადია პეტროვა (რუს)**-ანა ივანოვიჩი (სერ, 15) 6:3, 7:6; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)**-ფლავია პენეტა (იტა) 6:3, 6:4; **ვერა ზვონარევა (რუს, 2)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს) 6:3, 6:0; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 10)**-სერენა უილიამსი (აშშ) უილიამსის უარი; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 9)**-სოფია არვიდსონი (შვედ) 6:2, 6:4; **კრისტინა მაკჰეილი (აშშ)**-კაროლინ ვოზნიაცკი (დან) 6:4, 7:5; **შაარ პეერი (ისრ)**-პოლინ პარმენტიე (საფ) 6:2, 6:3; **შუაი პენგი (ჩინ, 16)**-სარა ერანი (იტა) 6:2, 6:4.

### 1/8 ფინალი

მაკჰეილი-პეტროვა; პეტკოვიჩი (9)-კვიტოვა (6); პეერი-პენგი (16); იანკოვიჩი (13)-სკიავონე (7); ნა ლი (5)-სტოსური (10); კუზნეცოვა (14)-შარაპოვა (4); ბარტოლი (8)-ჰანტუხოვა; მარტიჩი-ზვონარევა (2).

# რაფამ და ენდიმ გაიხარეს

ცინცინატის მასტერსის მეორე წრეში დიდ ინტერესს იწვევდა ესპანელი **რაფაელ ნადალისა** და ბრიტანელი **ენდი მიურეის** მატჩები. ეს ინტერესი იმით იყო გამოწვეული, რომ ორივემ გასულ კვირას მონრეალის მასტერსზე სასტარტო შეხვედრები წააგო და მათი მომზადების დონის შესახებ ბევრი კითხვის ნიშანი გაჩნდა.

გახსოვთ, ალბათ, ნადალმა კანადაში ხორვატ **ივან დოდიგთან** წააგო თითქმის მოგებული შეხვედრა. მაშინ ესპანელი გადამწყვეტ სეტს 3:0-ს იგებდა, ხოლო 5:3-ზე მატჩზე აწვდიდა, მაგრამ მაინც სენსაციურად დამარცხდა. ამჯერად რაფას ფრანგს **ჟულიან ბენეტოსთანაც** ჰქონდა ანალოგიური მომენტი. პირველი სეტის მოგების შემდეგ, ესპანელი მეორეში 5:4-ზე მატჩზე აწვდიდა, მაგრამ სამი უნებლიე შეცდომა დაუშვა და მეტოქეს ბრეიკის საშუალება მისცა. ნადალისთვის საბედნიეროდ, ის დროზე მოეგო გონს, ისევ მოიგო ფრანგის გეიმი და შემდეგ 6:5-ზე პირველივე მატჩბოლი ეისით გარდასახა გადამწყვეტ ქულაში - 6:4, 7:5.

*„ის თამაში, რომელიც მონრეალში ჩავატარე, დღემდე არ ამომდის თავიდან. რაღაც ამდაგვარი დღესაც მოხდა, როცა 5:4-ზე მატჩზე ვაწვდიდი. სხვა მხრივ, კმაყოფილი ვარ. ვეცდები, რაც შეიძლება შორს გავიდე სატურნირო ბადეში.*

*ბენეტოს წინააღმდეგ კარგად ვაწვდიდი, თითქმის ყველა ფორჰენდი მიზანს აღწევდა. ბევრი რამ გამომდიოდა, მაგრამ ყველაფერი არა. ვფიქრობ, სწორ გზაზე ვარ, თუმცა მეტი პრაქტიკა მჭირდება. ჩემთვის ახლა ეს არის მთავარი“*, - განაცხადა მატჩის შემდეგ ნადალმა.

სხვათა შორის, ნადალი და ბენეტო ცინცინატიში შარშანაც შეხვდნენ ერთმანეთს და ესპანელს მაშინაც გაუჭირდა - რაფამ მეორე სეტის ტაი-ბრეიკზე მატჩბოლი მოიგერია და საბოლოოდ მოუგო ფრანგს.

ნადალის შემდეგი მეტოქე მისივე თანამემამულე **ფერნანდო ვერდასკო** იქნება, რომელიც რაფას 13-დან 13 შეხვედრაში ჰყავს დამარცხებული.

■ ■ ■

ენდი მიურეის გაცილებით სერიოზული მეტოქე ჰყავდა არგენტინელი **დავიდ ნალბანდიანის** სახით, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მსოფლიოს ყოფილი მესამე ნომერი ჯერ ვერ ახერხებს ოპტიმალური სპორტული ფორმის დაბრუნებას.

პირველ სეტში სამხრეთამერიკელი კარგა ხანი ინარჩუნებდა ერთბრეიკიან უპირატესობას, მაგრამ პარტიის ბოლოსკენ ბრიტანელმა მოუმატა და მეტოქის ორი გეიმის აღებით ტაი-ბრეიკამდეც არ მიიყვანა საქმე. მეორე სეტში კი ყველაფერი გაცილებით მარტივად იყო - ნალბანდიანი ველარ უწევდა წინააღმდეგობას მსოფლიოს მეოთხე ჩოგანს და მხოლოდ ერთი გეიმი მოიგო - 6:4, 6:1 ენდის სასარგებლოდ.

სამწუხაროდ, მერვედფინალში არ შედგება მიურეისა და **ჟო-ვილფრიდ ცონგას** შეხვედრა. ფრანგმა ხელის ტრავმის გამო უარი თქვა წყვილებში თამაშზე, ერთეულებში კი პატივი სცა მაყურებელს და ამერიკელი **ალექს ბოგომოლოვის** წინააღმდეგ სათამაშოდ გავიდა, მაგრამ ორ სეტში ისე წააგო, რომ ერთი ბრეიკ-პოინტიც არ მოუპოვებია.

28 წლის ამერიკელს კარიერაში საუკეთესო მომენტი უდგას - რეიტინგში მისთვის სარეკორდო 50-ე ადგილზეა, ცოტა ხნის წინ კი ლოს ანჯელესის ტურნირის ნახევარფინალში ითამაშა. საინტერესოა ერთი მომენტი: წლის დასაწყისში ბოგომოლოვმა კარიერაში პირველად დაამარცხა ტოპ-ათეულის წევრი და ეს სწორედ მიურეი გახლდათ. ვნახოთ, შეძლებს თუ არა ამჯერად ბრიტანელი რევანშის აღებას.

■ ■ ■

**ნოვაკ ჯოკოვიჩმა** მორიგი შეხვედრა მოიგო და პირველი ნაბიჯი გადადგა სეზონში მეათე ტიტულისკენ. სერბი თითქმის უპრობლემოდ გაუსწორდა 19 წლის ამერიკელ **რაიან ჰარისონს**. ნოლეს მხოლოდ შეხვედრის სტარტზე ჰქონდა სირთულეები, როცა ორჯერ (!) წააგო საკუთარი მოწოდება, სამაგიეროდ, თავად სამი ბრეიკი გააკეთა და 5:2 დაწინაურდა, რის შემდეგაც მეოთხედ აიღო მასპინძელი ჩოგბურთელის გეიმი, რამაც სეტში გამარჯვება მოუტანა.

მეორე სეტის დასაწყისში ჯოკოვიჩმა პირველი ათი გათამაშებიდან რვა თავის სასარგებლოდ დაასრულა და ამან ბრეიკით წინ გასვლის საშუალება მისცა. ამის შემდეგ სერბს საკუთარ მოწოდებაზე პრობლემა აღარ შექმნია და საბოლოოდ, საათსა და 17 წუთში მოიპოვა მერვედფინალის საგზური - 6:2, 6:3.

*„მატჩი ცუდად დავიწყე და საერთოდ ცუდად ვთამაშობდი მოწოდებაზე. სხვა მხრივ, შეხვედრა ნორმალურად ჩატარდა.*

*უკანა ხაზზე ცოტა შეცდომა დავუშვი, სასტარტო მატჩისთვის კარგად ვთამაშობდი მიღებაზე. აქ ცოტა სხვა პირობებია, ვიდრე მონრეალში. ბურთი უფრო სწრაფად მიფრინავს და რთულია თამაშის კონტროლი“*, - ასე შეაფასა თავისი თამაში მსოფლიოს პირველმა ნომერმა.

შემდეგ მატჩში ჯოკო **რადეკ შტეპანეკს** ეთამაშება, ვისთანაც ექვსიდან ხუთი შეხვედრა აქვს მოგებული.

### 1/16 ფინალი

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-რაიან ჰარისონი (აშშ) 6:2, 6:3; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ჟულიან ბენეტო (საფ) 6:4, 7:5; **მარდი ფიში (აშშ, 7)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს) 6:0, 6:2; **დავიდ ფერერი (ესპ, 5)**-გრიგორ დიმიტროვი (ბულ) 4:6, 6:1, 7:5; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-დავიდ ნალბანდიანი (არგ) 6:4, 6:1; **ჟილ სიმონი (საფ, 10)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ) 6:7(3), 6:2, 6:3; **ალექს ბოგომოლოვი (აშშ)**-ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 15) 6:3, 6:4; **გაელ მონფილსი (საფ, 6)**-ივან დოდიგი (ხორ) 4:6, 6:3, 4:0 დოდიგის უარი; **რიშარ გასკე (საფ, 12)**-კევინ ანდერსონი (ს. აფრ) 7:6(4), 6:4; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ)**-მიკაელ ლოდრა (საფ) 6:4, 6:4; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ)**-ანდრეი გოლუბევი (ყაზ) 6:3, 7:6(2); **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 6:1, 6:4; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 9)**-ივო კარლოვიჩი (ხორ) 6:3, 5:7, 7:6(2).

### 1/8 ფინალი

ჯოკოვიჩი (1)-შტეპანეკი; კოლშრაიბერი-მონფილსი (6); ფედერერი (3)-ბლეიკი; ალმაგრო (9)-ბერდიხი (8); ფერერი (5)-სიმონი (10); ბოგომოლოვი-მიურეი (4); ფიში (7)-გასკე (12); ვერდასკო-ნადალი (2).



რაფაელ ნადალი

# ამერიკამ ბარათები დაარიგა

ამერიკის ღია პირველობის ორგანიზატორებმა იმ ჩოგბურთელების სია გამოაქვეყნეს, რომლებიც უაილდ-ქარდის წყალობით მოხვდებიან ძირითად ბადეში. ტურნირის დირექტორატმა სპეციალური მიწვევა გაუგზავნა აშშ-ის ღიას 2001 წლის გამარჯვებულს, გამოცდილ ავსტრალიელს **ლეიტონ ჰიუიტს**, ახალგაზრდა ამერიკელებს - **რაიან ჰარისონსა** და **დონალდ იანგს**, ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ ტურში დაბრუნებულ **რობი ჯინეპრისა** და ცნობილ ფრანგს **ჟულიან ბენეტოს**.


ლეიტონ ჰიუიტი

იუნიორები - **სტივ ჯონსი** და **ჯეკ სოკიც** ძირითად ბადეში იქნებიან. უაილდ-ქარდის მერვე მფლობელს კი ამ კვირას სპეციალური ტურნირის დახმარებით გამოავლენენ, რომელიც კორეჯ-პარკში გაიმართება.

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ლეიტონ ჰიუიტი ტრავმების სერიის შემდეგ რეიტინგის 165-ე პოზიციამდე დაქვეითდა და ნიუ იორკში ავსტრალიისა და აშშ-ის ჩოგბურთის ფედერაციებს შორის შეთანხმების წყალობით ითამაშებს.

მსოფლიოს 89-ე ჩოგანი დონალდ იანგი ჯერ კიდევ მაისში აკრიტიკებდა ფედერაციას იმისთვის, რომ როლან გაროსზე უაილდ-ქარდი არ მისცა. და ახლა, ზაფხულში ნაჩვენები კარგი შედეგების გამო ორგანიზატორებმა შემხვედრი ნაბიჯი გადადგეს. 28 წლის ჯინეპრი 2005 წელს აშშ-ის ღია პირველობის ნახევარფინალისტი იყო, მაგრამ ამჟამად კლასიფიკაციის 305-ე ჩოგანია, რადგან ტრავმის გამო ერთი წელი გაუცდა.

ამ ზაფხულს ამერიკულ ტურნირებზე ნათამაშები ორი ნახევარფინალის წყალობით რაიან ჰარისონმა რეიტინგის 78-ე პოზიციას მიაღწია. ჯეკ სოკი კი აშშ-ს ღიას იუნიორთა ტურნირის პირველი ამერიკელი გამარჯვებულია 2000 წლის შემდეგ, როცა თავს ზემოთ თასი ნორჩ **ენდი როდიკს** ეკავა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● მძლეოსნობა

# სპრინტის ბებიას არ გაუმართლა

51 წლის ლეგენდარულმა მორბენალმა **მერლინ ოტიმ**, რომელიც სლოვენიის ნაკრების რიგებში გამოდის, მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატზე გამოსვლის ყველანაირი შანსი დაკარგა. პლანეტის პირველობა 27 აგვისტოს სამხრეთ კორეის ქალაქ ტეგუში დაიწყება. ოტის ჩემპიონატზე არგამგზავრების საკითხი მას შემდეგ გაირკვა, რაც სლოვენიის ნაკრებმა ვერ ჩააბარა 4x100 მეტრზე ესტაფეტის ნორმატივი.

სლოვენიელმა მორბენლებმა დისტანცია 44.76 წამში გაირბინეს და ნორმატივის შესრულებამდე 0.76 წამი დააკლდათ. ვეტერან მძლეოსანს მსოფლიოს ჩემპიონატის ინდივიდუალურ დისციპლინებში გამოსვლის პრეტენზია არ ჰქონდა.




მერლინ ოტი რეკორდსმენია ქალ მძლეოსნებს შორის ოლიმპიადებსა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოპოვებული მედლების რაოდენობით. სპრინტერის აქტივშია ცხრა ოლიმპიური მედალი (სამი ვერცხლი და ექვსი ბრინჯაო) და პლანეტის პირველობაზე 14 მედალი (სამი ოქრო, ოთხი ვერცხლი და შვიდი ბრინჯაო).

ოტიმ პირველი ოლიმპიური ჯილდო 1980 წელს მოსკოვის ზაფხულის თამაშებზე მოიპოვა. მაშინ მან მესამე ადგილი დაიკავა 200 მეტრზე სირბილში.

2002 წლამდე ოტი იამაიკის ნაკრების რიგებში გამოდიოდა, შემდეგ კი სლოვენიის მოქალაქეობა მიიღო და მას შემდეგ ამ ქვეყანას წარმოადგენს საერთაშორისო ტურნირებზე. მერლინისთვის ბოლო დიდი შეჯიბრი ევროპის 2010 წლის ჩემპიონატი იყო.

# ჩემპიონის სუიციდი




ჭოკითხტომაში ლოს ანჯელესის ოლიმპიადის (1984) ჩემპიონი, ფრანგი **პიერ კინიონი** 49 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამის შესახებ ინფორმაცია მძლეოსნობის საერთაშორისო ასოციაციამ გაავრცელა.

როგორც სააგენტო AFP აზუსტებს, კინიონმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, თუმცა სუიციდის მიზეზი არ დაკონკრეტებულა.

1983 წლის 28 აგვისტოს კინიონმა 5.82 მეტრი აჩვენა და მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. იმავე ტურნირზე მან იერიში მიიტანა ექვს მეტრ სიმაღლეზე, მაგრამ ხელი მოეცარა. ის გახდა პირველი სპორტსმენი მსოფლიოში, ვინც ოფიციალურ შეჯიბრში ექვსი მეტრი შეუკვეთა.

ლოს ანჯელესის ოლიმპიადაზე გასამარჯვებლად ფრანგმა 5.75 მეტრი იკმარა. იმ დროისთვის საუკეთესო მხტომელად **სერგეი ბუბკა** მიიჩნეოდა, რომელიც მსოფლიოს რეკორდის მფლობელი იყო (5.90), მაგრამ 1984 წლის ოლიმპიადაზე საბჭოთა სპორტსმენებმა ბოიკოტის გამო არ მიიღეს მონაწილეობა.

კინიონმა 1992 წელს ფეხის ტრავმის გამო დაასრულა კარიერა. 90-იან წლებში ის მხატვრობამ გაიტაცა, მოგვიანებით ფრანგ მხტომელებს ავარჯიშებდა, ბოლო დროს კი მძლეოსნობაში ვეტერანთა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადებოდა, რომელიც 2015 წელს ლიონში გაიმართება.

● თხილამურები

# ციხე დოპინგისთვის

სათხილამურო რბოლაში ავსტრიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი **ვალტერ მაიერი** დამნაშავედ სცნეს აკრძალული პრეპარატების გავრცელებაში და 15-თვიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ამ ვადიდან სამ თვეს მაიერი ციხეში გაატარებს, დანარჩენი 12 თვე კი პირობითი სასჯელი გახლავთ. ეს ინფორმაცია სააგენტო „როიტერმა" გაავრცელა.

სასამართლომ დაადგინა, რომ 2005-09 წლებში მაიერი სპორტსმენებს ერითროპოეტინითა და სხვა აკრძალული პრეპარატებით ამარაგებდა. თუმცა არაფერი თქმულა იმის შესახებ, ვინ იღებდა მწვრთნელის მიწოდებულ დოპინგს.

54 წლის მაიერმა უკვე გაატარა საპყრობილეში 37 დღე (სანამ გამოძიება მიდიოდა), ასე რომ, პატიმრობის ვადა დაახლოებით შვიდ კვირაში ამოიწურება. „როიტერის" ცნობით, მწვრთნელის ადვოკატები სასამართლოს გადაწყვეტილებაზე აპელაციის შეტანას აპირებენ.

1994-2006 წლებში მაიერი სხვადასხვა პოსტს იკავებდა ავსტრიის სათხილამურო სპორტის ფედერაციაში, მათ შორის, იყო ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

2003 წელს მაიერს სპორტსმენებისთვის სისხლის გადასხმის გამო დისკვალიფიკაცია მისცეს. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ავსტრიელს 2006 წელს ტურინისა და 2010 წელს ვანკუვერის ზამთრის თამაშებზე დასწრება აუკრძალა.




მაგრამ მწვრთნელმა აკრძალვა არ გაითვალისწინა და ტურინში კერძო პირის სტატუსით ჩავიდა.

მაშინ ავსტრიის ნაკრებში სერიოზული დოპინგსკანდალი მოხდა და ეჭვი ჰქონდათ, რომ ამაში გარეული სწორედ მაიერი იყო.

● კრივი

# ფლოიდი პოზიციას არ იცვლის




პროფესიული კრივის დაუმარცხებელი ვარსკვლავი **ფლოიდ მეივეზერი** თავის აზრზე რჩება და აცხადებს, რომ თუ ფილიპინელ **მენი პაკიაოს** მასთან შეხვედრა სურს, აუცილებლად უნდა გაიაროს დოპინგზე მკაცრი შემოწმება. ამერიკელ მოკრივეს არ აინტერესებს თანხა, რომელსაც „პაკმენთან" შეხვედრისთვის მიიღებს. მისთვის მთავარია, ფილიპინელი სუფთა იყოს ბრძოლის წინ.

*„სულაც არ მაინტერესებს კონტრაქტში ჩაწერილი თანხის ოდენობა. დოპინგტესტების მიმართ მკაცრი მიდგომა - აი, რა მაღელვებს სინამდვილეში, - ამბობს ფლოიდი. - შეხედეთ, როგორ იკვლევენ გზას ახალგაზრდა მოკრივეები მწვერვალისკენ. ამისთვის მათ უამრავი დარტყმის შესრულება სჭირდებათ. ამ დროს, უბრალო ბიჭი - მენი 25 წლის ასაკში დიადი მოკრივე ხდება. მინდა მასთან ბრძოლის წინ თანაბარ პირობებში ვიყო, მხოლოდ ამ შემთხვევაში მივიღებთ უმაღლესი დონის ჩხუბს.*

*ბევრი ლაპარაკობს ბრძოლაზე, რომელიც, შესაძლოა, უდიადესი აღმოჩნდეს კრივის ისტორიაში. ამიტომაც, სწორედ ახლა გვჭირდება ყველაზე სერიოზული სადოპინგო შემოწმება".*

შეგახსენებთ, რომ მეივეზერი 17 სექტემბერს მორიგ ბრძოლას **ვიქტორ ორტისის** წინააღმდეგ გამართავს. ერთი კვირით ადრე არის დაგეგმილი პაკიაოს შეხვედრა **ხუან მანუელ მარკესთან**.

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევროპის ლიგა**

**პლეი ოფი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| ეკრანასი-ჰაპოელი (თ-ა) | 1:0 |
| ვასლუი-სპარტა | 2:0 |
| ლეგია-სპარტაკი | 2:2 |
| ლოკომოტივი (მ)-ტრნავა | 2:0 |
| ჰიკ-შალკე | 2:0 |
| ლიტაძსი-დინამო (კ) | 1:2 |
| ოლესუნდი-ალკმაარი | 2:1 |
| აუსტრია-გაზ მეთანი | 3:1 |
| ომინია-ზალცბურგი | 2:1 |
| ვორსკლა-დინამო (ბ) | 2:1 |
| მაკაბი (თ-ა)-პანათინაიკოსი | 3:0 |
| სტიაუა-ცსკა (ს) | 2:0 |
| თუნი-სტოკი | 0:1 |
| ბეშიქთაში-ალანია | 3:0 |
| ბურსა-ანდერლეხტი | 1:2 |
| ნორდსილანდი-სპორტინგი | 0:0 |
| პაოკ-კარპატი | 2:0 |
| შლიონსკი-რაპიდი (ბ) | 1:3 |
| სტანდარდი-ჰელსინგბორგი | 1:0 |
| ფულჰემი-დნიპრო | 3:0 |
| ჰანოვერი-სევილია | 2:0 |
| მეტალისტი-სოშო | 0:0 |
| ცრვენა ზვეზდა-რენი | 1:2 |
| დიფერდანჟი-პსჟ | 0:4 |
| ჰართსი-ტოტენჰემი | 0:5 |
| ნასიონალი-ბირმინგემი | 0:0 |
| მარიბორი-რეინჯერსი | 2:1 |
| რუსენბორგი-აეკ | 0:0 |
| შემროკი-პარტიზანი | 1:1 |
| სლოვანი-რომა | 1:0 |
| ბილბაო-ტრაბზონი | 0:0 |
| ლაციო-რაბოტნიჩკი | 6:0 |
| სელტიკი-სიონი | 0:0 |
| რიდი-ეინდჰოვენი | 0:0 |
| ატლეტინო-გიმარაეში | 2:0 |
| ბრაგა-იანგ ბოიზი | 0:0 |

**ისლანდია**

| | |
|---|---|
| ტორი-რეიკიავიკი | 1:2 |

**ლიტვა**

| | |
|---|---|
| ჟალგირისი-დაინავა | 2:1 |

**კალათბურთი**

**ევრობასკეტი**

**საკვალიფიკაციო**

| | |
|---|---|
| უნგრეთი-პორტუგალია | 57:66 |

**აფრობასკეტი**

| | |
|---|---|
| მაროკო-სენეგალი | 65:79 |
| ანგოლა-ჩადი | 115:56 |
| ტუნისი-ტოგო | 103:56 |
| ს. აფრიკა-რუანდა | 89:61 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| საფრანგეთი-ჩინეთი | 76:59 |
| ავსტრალია-ხორვატია | 78:66 |
| ლიტვა-ესპანეთი | 88:76 |
| სერბეთი-ბრიტანეთი | 97:95 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ცინცინატი**

| | |
|---|---|
| მიურეი-**ბოგომოლოვი** | 6:2, 7:5 |
| **ნადალი**-ვერდასკო | 7:6, 6:7, 7:6 |
| **ფიში**-გასკე | 7:5, 7:5 |
| **ბერდიხი**-ალმაგრო | 6:2, 6:2 |

**WTA. ცინცინატი**

| | |
|---|---|
| ბარტოლი-**ჰანტუხოვა** | 3:6, 7:5, 3:6 |
| ნა ლი-**სტოსური** | 4:6, 6:3, 4:6 |
| **ზვონარევა**-მარტიჩი | 6:2, 6:2 |
| კუზნეცოვა-**შარაპოვა** | 2:6, 3:6 |
| **პეტროვა**-მაკჰეილი | 6:3, 6:3 |
| კვიტოვა-**პეტკოვიჩი** | 3:6, 3:6 |

● TV პროგრამა

**19 აგვისტო. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. II ტურის მიმოხილვა.
**11:00** ინგლისის ჩემპიონატი. I ტურის მიმოხილვა.
**12:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. II ტური. აიაქსი-ჰერენვენი.
**14:00** არგენტინის ჩემპიონატი. II ტური. რასინგი-გოდოი კრუსი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. II ტური. ოსერი-მარსელი.
**18:00** არგენტინის ჩემპიონატი. II ტურის მიმოხილვა.
**19:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. III ტურის წინ.
**19:30** კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი - ბეკოს თასი. თურქეთი-საბერძნეთი (LIVE).
**21:30** ესპანეთის ჩემპიონატი. სეზონის წინ.
**22:30** გერმანიის ჩემპიონატი. III ტური. ბორუსია (მ)-ვოლფსბურგი.
**00:30** საფეხბურთო პროგრამა - დაუბრუნდი დინამოს.
**01:00** ესპანეთის სუპერთასი. ბარსელონა-რეალი. საპასუხო მატჩი.

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი . მალმიო-მილანი.
**12:00** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. პლეი ოფი. მემფისი-ოკლაჰომა.
**15:40** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/8 ფინალი. ცინცინატი. აშშ.
**19:20** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
**19:40** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ. მიმოხილვა.
**20:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. ცინცინატი. აშშ (LIVE).
**22:15** კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი - ბეკოს თასი. თურქეთი-საბერძნეთი (LIVE).
**24:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. ცინცინატი. აშშ (LIVE).
**02:00** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. პლეი ოფი. მემფისი-ოკლაჰომა.

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**22:25** გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-ვოლფსბურგი (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

**23:00** რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. ბრედფორდი-უიგანი (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

**21:00** ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. ცინცინატი. აშშ (LIVE).
**03:00** ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. ცინცინატი. აშშ (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

**21:25** ამხანაგური მატჩი. ლიტვა-რუსეთი (LIVE).
**03:30** WNBA. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-კონექტიკუტი (LIVE).

**EUROSPORT**

**13:15** ნიჩბოსნობა. ბაიდარები და კანოე. მსოფლიოს ჩემპიონატი. სეგედი. უნგრეთი (LIVE).
**18:00** ნიჩბოსნობა. ბაიდარები და კანოე. მსოფლიოს ჩემპიონატი. სეგედი. უნგრეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**11:00** ფრენბურთი. უნივერსიადა. ჩინეთი (LIVE).
**14:00** ცურვა. უნივერსიადა. VI დღე. ჩინეთი (LIVE).
**16:00** მძლეოსნობა. უნივერსიადა. ჩინეთი (LIVE).
**23:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ცინცინატი. აშშ (LIVE).

● ჰოკეი

# ლიგა შეშფოთებულია

ჰოკეის ეროვნულ ლიგას ეროვნული საკალათბურთო ასოციაციისგან განსხვავებით ლოკაუტის პრობლემა არ აწუხებს, მაგრამ NHL-ის ხელმძღვანელობა სხვა საკითხით არის შეშფოთებული. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში გარდაიცვალა ორი ჰოკეისტი - **დერეკ ბუგარდი** და **რიკ რიპიენი**. ამ მოვლენებს რიგითს ვერ ვუწოდებთ და ამიტომაც ლიგა შეწუხებულია აღნიშნული პრობლემის გამო.

საქმე ისაა, რომ ბუგარდიც და რიპიენიც ნარკოტიკულ და ალკოჰოლურ დამოკიდებულებაზე მკურნალობდნენ. ეს პროგრამა ჰოკეის ეროვნული ლიგის მიერ იყო ორგანიზებული და როგორც ვხედავთ, ის ხელს ვერ უშლის სპორტსმენთა სიკვდილიანობას.

*„უახლოეს პერიოდში უნდა შევხვდე მოთამაშეთა პროფკავშირის წარმომადგენლებს, რათა გავარკვიო - მართლა შეუძლია თუ არა ჩვენს პროგრამას ადამიანების დახმარება, - ამბობს ლიგის კომისარი* **გერი ბეტმენი**. *- ბევრს ვაკეთებ ჰოკეისტებისთვის დახმარების გასაწევად, მაგრამ კიდევ უფრო მეტი ზრუნვაა საჭირო. ჩვენ ამისთვის მზად ვართ".*

*„ვფიქრობ, ჩვენ აუცილებლად უნდა გავაუმჯობესოთ დახმარების პროგრამის რამდენიმე მომენტი. უნდა გავარკვიოთ, დამატებით როგორ შეიძლებოდა დავხმარებოდით დალუპულ ბიჭებს. როცა ამას გავიგებთ, ახალი ძალებით ამოვუდგებით მხარში ყველას, ვისაც ეს სჭირდება",* - მიიჩნევს NHL-ის მოთამაშეთა პროფკავშირის წარმომადგენელი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● კალათბურთი



კობის ფეხბურთიც უყვარს

# კობის 43 ქულა

ქალაქ სან დიეგოს პოლიცია „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ მცველის **კობი ბრაიანტის** დაკითხვას აპირებს. გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ NBA-ის ვარსკვლავმა ეკლესიაში მომხდარი კონფლიქტისას ტრავმა მიაყენა უცნობ მამაკაცს. კალათბურთელს მოეჩვენა, რომ მსხვერპლი მას ტელეფონით ფოტოს ულებდა. ბოლოს მამაკაცმა მაჯის ტრავმის სამკურნალოდ საავადმყოფოს მიაკითხა.

ბრაიანტს ამ საკითხზე ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია, სამაგიეროდ, თავისი საყვარელი საქმიანობა გაიხსენა და ლოს ანჯელესში ორგანიზებული საზაფხულო ლიგის მატჩში მიიღო მონაწილეობა.

კობიმ თავის გუნდს 43 ქულა შესძინა, თანაც ბოლო წამზე გამარჯვების მომტანი ტყორცნაც ჩააგდო. უნდა აღინიშნოს, რომ მეტოქის რიგებში თამაშობდა „ოკლაჰომა-სიტის“ მცველი **ჯეიმს ჰარდენი**.

*„კობი ძალიან მხნედ გამოიყურებოდა. იოლად ასრულებდა ნახტომებსა და ტყორცნებს, ფარქვეშ კარგად შედიოდა. ყველაფერი შესანიშნავი იყო“*, - განაცხადა ლიგის კომისარმა **დინო სმაილიმ**.

# კლინსი დირკის ფანია



ორი ლეგენდა

ლეგენდარული გერმანელი ფეხბურთელი, ამჟამად აშშ-ის საფეხბურთო ნაკრების დამრიგებელი **იურგენ კლინსმანი** კალათბურთის დიდი ფანი ყოფილა. კლინსი ბოლო ცხრა წელია ლოს ანჯელესში ცხოვრობს, სადაც 2003 წელს დაასრულა ფეხბურთელის კარიერა.

კლინსმანის თქმით, ის დიდი ხანია „ლეიკერსს“ გულშემატკივრობს და პირადად იცნობს კალიფორნიული გრანდის აწ უკვე ყოფილ მწვრთნელს **ფილ ჯექსონს**. ხოლო 47 წლის იურგენის საყვარელი კალათბურთელი, რა თქმა უნდა, მისი თანამემამულე, „დალასის“ ფორვარდი **დირკ ნოვიცკია**.

*„ძალიან გამიმართლა NBA-ის პირველ მატჩთან მიმართებაში, რომელიც ცოცხლად ვიხილე, - ამბობს კლინსმანი. - ეს იყო დიადი მაიკლ ჯორდანის „ჩიკაგოსა“ და „ფინიქსის“ შეხვედრა. მატჩი ნამდვილ თრილერად იქცა და გამარჯვებული ორი ოვერტაიმის შემდეგ გაირკვა. დაუჯერებელი ემოციები მივიღე! მას შემდეგ შემიყვარდა კალათბურთი. ამჟამად გერმანიის ნაკრებში ბევრი ნიჭიერი კალათბურთელია. ვერ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ ისინი ნოვიცკის დონეს მიაღწევენ, მაგრამ მჯერა, რომ ლიტვაში ჩვენი გუნდი წარმატებით გამოვა“.*

● გამოკითხვა

# იაპონიაში სუმო აღარ უყვართ

ჩაწყობილი ორთაბრძოლებით გამოწვეული სკანდალის გამო იაპონელებს შორის სუმოს პოპულარობა დაეცა.

ქვეყნის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სააგენტომ საზოგადოებრივი აზრის ყოველწლიური გამოკითხვა ჩაატარა, რომლის მიხედვითაც გაირკვა, რომ სუმო იაპონელთა საყვარელ სპორტის სახეობებს შორის მეოთხე ადგილამდე ჩამოქვეითდა. მას გამოკითხულთა მხოლოდ 15-მა პროცენტმა მისცა ხმა. ეს ზუსტად ოთხი პროცენტით ნაკლებია შარშანდელ მაჩვენებელზე.

ყველაზე მაღალი რეიტინგი ისევ ბეისბოლს აქვს - 45.1 პროცენტი, მეორეზეა - ფეხბურთი (28.9), მესამეზე - გოლფი (19.9).

აგერ უკვე ექვსი წელია იაპონელთა საყვარელი სპორტსმენია ამერიკის პროფესიული ბეისბოლის ლიგის წევრი, 37 წლის **იჩირო სუძუკი**. მეორე ადგილზეა გოლფისტი **რე ისიკავა** (17.1), მესამეზე - მილანის „ინტერის“ 24 წლის მცველი **იუტო ნაგამოტო** (4.0). 3.3 პროცენტით მეოთხეა იოკოძუნა **ჰაკუჰო**.

● ფორმულა 1

# უილიამსში ვაკანსია გაჩნდა?

ბრაზილიური პრესის ინფორმაციით, **რუბენს ბარიკელო** მზადაა გაწყვიტოს კონტრაქტი „უილიამსთან“ და შესაძლოა, საერთოდ დატოვოს ფორმულა 1, თუ 2012 წლისთვის ახალი გუნდს არ იპოვის. გაზეთ Estado de Sao Paulo-ს ახალ ნომერში წერია, რომ ბრიტანული საჯინიბოს სუსტმა ბოლიდმა და არც ისე მყარმა ფინანსურმა მდგომარეობამ ვეტერანი პილოტი იმ აზრამდე მიიყვანა, რომ მომავალ წელს „უილიამსისგან“ პროგრესის ლოდინი უაზრობაა. არადა, ბრიტანელებმა 2012 წლის სეზონისთვის კონტრაქტი გააფორმეს „რენოსთან“, რომელიც ძრავებს მიაწვდის „უილიამსს“.

ბუნებრივია, ამ ინფორმაციამ ჭორების ტალღა ააგორა იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ დაიკავებს ბრაზილიელის ადგილს ბრიტანულ გუნდში. კანდიდატთა ნაკლებობა არ შეიმჩნევა: ბრაზილიელი ჟურნალისტები ასახელებენ GP2-ის პილოტსა და „ფერარის“ აკადემიის მოსწავლეს **ჟიულ ბიანკის**, აგრეთვე ახალგაზრდულ სერიაში მის კონკურენტებს - **სტეფანო კოლეტის**, რომელსაც თვით მონაკოს თავადი **ალბერ II** პატრონობს და „მერსედესის“ პროტეჟეს **სემ ბერდს**.

თუმცა თავიდან გასაკვევია, მართლაც გაჩნდა თუ არა ვაკანსია „უილიამსში“. რუბენს ბარიკელოს ფორმულა 1-დან წასვლის შესახებ ჭორი ადრეც გავრცელებულა, მაგრამ სახელოვანი ვეტერანი ჯერაც გადის სტარტზე და რეგულარულად ანახლებს საკუთარ რეკორდს ჩატარებული ეტაპების რაოდენობით. ამჟამად ბარიკელოს ანგარიშზე 318 გრანპრია. 11 რბოლაში მან გამარჯვება მოიპოვა, 2002 და 2004 წელს კი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა.



რუბენს ბარიკელო

# უებერმა პროსტს გაუსწრო

„რედბულის“ პილოტმა **მარკ უებერმა** გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ თანამედროვე რბოლებში ძალიან მნიშვნელოვანი გახდა სტრატეგიის ფაქტორი. ავსტრალიელი ნატრობს რომანტიკული სპორტის დაბრუნებას, როცა პილოტები მუდმივად რისკავდნენ და ტრასიდან გადავარდნის საშიშროების მიუხედავად უტევდნენ წინ მიმავალ კონკურენტს. საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე მყოფი უებერი დარწმუნებულია, რომ სწორედ ასეთი სპორტი მოსწონთ გულშემატკივრებს.

*„მე მხარს დავუჭერდი ნაკლები პიტ-სტოპის იდეას, შეტევების რიცხვის გაზრდასა და თუნდაც უფრო ხშირად ბოლიდების ტრასიდან გადავარდნას. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მეტი რბოლა და ნაკლები სტრატეგია*, - აცხადებს ავსტრალიელი. - *დავაბრუნებდი პიტ-სტოპების დროს საწვავის შევსებას - მანქანის მართვა უფრო იოლია, როცა ის ნაკლებს იწონის. ძრავებიც უფრო მძლავრი უნდა იყოს, რადგან მაყურებელს ხმაური მოსწონს. 80-იანი წლები - საუკეთესო პერიოდი იყო, რადგან ოპტიმალური ბალანსი არსებობდა უსაფრთხოებასა და ექსტრიმს შორის“.*

■ ■ ■

მარკ უებერი ამჟამად იტალიისა და საფრანგეთის საზღვარზე, მთებში ატარებს არდადეგებს. ცნობილია, რომ ავსტრალიელი სამთო ველოსპორტით არის გატაცებული და აქაც უარი არ თქვა ამ გასართობზე. თანაც „რედ ბულის“ პილოტს პარტნიორიც ჰყავდა - მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, ლეგენდარული **ალენ პროსტი**.

ისინი ერთმანეთს შეეჯიბრნენ და უებერმა დიდი მანძილით ჩამოიტოვა უკან 56 წლის მეტოქე. *„დღეს გავერთეთ. ძალიან ლამაზ ადგილას ველოსიპედით ალენ პროსტს შევეჯიბრე. მე უკვე კომპიუტერთან ვზივარ, ის კი ჯერ ფინიშამდე არ მოსულა“*, - დაწერა „ტვიტერზე“ მარკმა.

■ ■ ■

რაც შეეხებს უებერის თანაგუნდელს, მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს **სებასტიან ფეტელს**, ის გაცილებით კომფორტულ ადგილას ისვენებს. კერძოდ, „რედ ბულის“ ლიდერი ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერის **ბერნი ექლსტოუნის** პირად იახტაზე შეამჩნიეს.

მოყვარულმა ფოტოგრაფმა, რომელმაც შესაბამისი სურათი მიაწოდა გერმანულ ტაბლოიდ „ბილდს“, აღიარა, რომ არც კი იცოდა ვის ულებდა ფოტოს: *„წარმოდგენა არ მქონდა ვის გადავუღე ფოტო. უბრალოდ ახალ ობიექტივს ვამოწმებდი“.*

■ ■ ■

ამასობაში კი ბერნი ექლსტოუნს კვლავ პრობლემები აქვს. გერმანელი სამართალდამცავები აგრძელებენ ფორმულა 1-ის კომერციული უფლებების გაყიდვისა და **გერჰარდ გრიბოვსკის** მიერ ქრთამის აღების საქმის გამოძიებას, მაგრამ გუშინ ბრიტანულმა პრესამ დაწერა, რომ „სამეფო რბოლების“ ფაქტობრივ მფლობელს კიდევ უფრო სერიოზული სარჩელი წაუყენა კომპანია Constantin Medien AG-მა.

კომპანიის იურისტები ამტკიცებენ, რომ მაქინაციების შედეგად Constantin Medien AG-მა 100 მილიონი დოლარის ოდენობის პოტენციური მოგება დაკარგა. სწორედ ამ თანხის ანაზღაურებაზე შევიდა სარჩელი ლონდონის სასამართლოში.

● რალი

# ლოები: ორი წელი ისევ რალიში

კლასიკურ რალიში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა **სებასტიან ლოებმა** ორი სეზონით გაახანგრძლივა კონტრაქტი „სიტროენთან“. ამის შესახებ გუშინ ფრანგული გუნდის გენერალურმა მენეჯერმა **ფრედერიკა ბანზემ** გამოაცხადა.

როგორც წამყვანი ფრანგული გაზეთი „ეკიპი“ წერს, ახალი ხელშეკრულების გაფორმება დიდი სიურპრიზი აღმოჩნდა, რადგან ლეგენდარულ ავტომრბოლს სამომავლოდ სულ სამი ვარიანტი ჰქონდა: „ფოლკსვაგენში“ გადასვლა, რომელიც 2013 წელს ბრუნდება რალიში, სხვა სარბოლო სერიაში ძალების მოსინჯვა ან დიდი სპორტიდან წასვლა.

ახალი კონტრაქტის გაფორმება ლოებისთვის კარგი სტიმული იქნება გერმანიაში, სადაც უახლოეს უქმეებზე მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი ეტაპი გაიმართება. ეს არის პირველი ეტაპი წელს, რომელიც ასფალტის ტრასაზე ჩატარდება. ბოლო წლებში აქ მუდმივად ლოები იმარჯვებს, ასე რომ, მის კონკურენტებს წარმატების არც ისე დიდი შანსი აქვთ.

**გერმანიის რალი**

**შტაბი** - ტრირი
**საფარი** - ასფალტი
**სპეცმონაკვეთების რაოდენობა** - 19
**შარშანდელი გამარჯვებული** - სებასტიან ლოები

**საერთო ჩათვლა**

1. ლოები (სიტროენი) - 171 ქულა
2. ჰირვონენი (ფორდი) - 144
3. ოჟიე (სიტროენი) - 140
4. ლატვალა (ფორდი) - 96
5. პ. სოლბერგი (სიტროენი) - 83
6. ოსტბერგი (ფორდი) - 56

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ლოები ისევ სიტროენში იჯდება